ბარამიძე ნიკოლოზი

ლექსები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1966

8Г2
899.962.1.092 [ტაბიძე, გ]
ჩ 695

ამ წიგნის ავტორი წლების განმავლობაში მუშაობდა გალაკტიონთან და ასრულებდა ლიტერატურული მდივნის მოვალეობას.

წინამდებარე ნაშრომში ის მოგვითხრობს გალაკტიონთან გატარებულ დღეებზე: როგორ მუშაობდა გალაკტიონი, როგორი იყო დიდი პოეტი შინ და გარეთ; გვაცნობს გალაკტიონის შეხედულებებს პოეზიაზე, ხელოვნებაზე და ქართული ლექსის ფორმებზე.

გალაკტიონი ჩვენსას

როგორც ყოველთვის, გალაკტიონის მოსვლამ დღეს (26 მარტი 1950 წ.) ჩვენს ოჯახში დიდი სიხარული გამოიწვია. საყვარელი პოეტი ჩვეული თავაზიანობით მიესალმა ოჯახის ყველა წევრს. ერთხანს თავისუფალი საუბრით გავერთეთ.

მერე გალაკტიონი და მამაჩემი საწერ მაგიდას მიუსხდნენ და შეუდგნენ მასალების შერჩევას „რჩეულისათვის"[1]. მეც იქვე ვიყავი და ზოგ რამეში ვეხმარებოდი მათ. თან ვცდილობდი გალაკტიონის ყოველი სიტყვა, ნაკვთის ოდნავი მოძრაობაც კი აღბეჭდილიყო ჩემს მეხსიერებაში.

ჩემი შთაბეჭდილებები იმავე დღეს გადამქონდა ხოლმე ქაღალდზე და, ამრიგად, წელთა მანძილზე დიდძალი საინტერესო მასალა დამიგროვდა.

აი ამ ჩანაწერებიდანაა ამოღებული ქვემოთ გადმოცემული ეპიზოდები.

უნდა აღინიშნოს, რომ მამაჩემი — ბენედიქტე ექვთიმეს ძე ჩიქობავა, 1946 წლიდან მოყოლებული, ერთგვარ თანამშრომლობას უწევდა გალაკტიონს: უკეთებდა ლექსების პწკარედებს

---

[1] გალაკტიონის „რჩეული", რომელიც 1954 წ. გამოიცა.

რუსულად, შველოდა ახალ თუ წინათ დაწერილ თხზულებათა რედაქტირებაში.

მაგიდაზე მიდევს 1944 წელს გამოცემული გალაკტიონის რჩეული და ის ტომეულები, რომლებშიც მრავალი სიტყვასახეა გადასხვაფერებული, მოწესრიგებულია პუნქტუაცია, უსათაურო ლექსები დასათაურებულია, ნაჩვენებია დაწერის თარიღები.

ეს შესწორებები ფანქრითაა შესრულებული; რამდენიმე ადგილას გვხვდება გალაკტიონის საკუთარი ხელით ჩანაწერი სიტყვა-ფრაზები.

— თქვენ თვითონ ამბობთ, გალაკტიონ:

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!...

და განა შეიძლება უთარიღოდ ლექსის გამოქვეყნება?! — შენიშნავდა ხოლმე მამაჩემი.

ვერ ურიგდებოდა მამა აგრეთვე ლექსის უსათაურობას და ახალ რჩეულში შესატანი არა ერთი უსათაურო ლექსი იქნა „მონათლული“ გალაკტიონისა და მის მიერ.

გალაკტიონი ბეჯითად ასწორებდა თავის ლექსებს, შემდეგ კმაყოფილებით გადაათვალიერებდა აჭრელებულ ფურცლებს და იტყოდა:

— აი, ახლა კი ეს ლექსი უკეთ ჟღერს!

უნდა ითქვას, რომ თითოეული შესწორება გალაკტიონს მხოლოდ კარგად ჩაფიქრების შემდეგ შეჰქონდა, სტრიქონებს ბუტბუტით შეადარებდა ერთმანეთს და საუკეთესოს შეარჩევდა.

იმ დღეს შედარებით ცოტა ხანს იმუშავა. დავიღალეო, — განაცხადა და ამის მიზეზი, ალბათ, ისიც გახდა, რომ ვერ შეეგუა დედაჩემის სათვალეს, რომლითაც კითხულობდა, რადგან თავისი არ წამოეღო.

გალაკტიონმა მუშაობას თავი გაანება და მამაჩემთან ერთად სასადილო ოთახში გამოვიდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — შესძახა გალაკტიონმა, როდესაც დედაჩემმა ბოთლებით ლუდი შემოიტანა.

დიდმა პოეტმა ოჯახის დიასახლის-მამასახლისის სადღეგრძელოები წარმოთქვა და მერე ასე მადღეგრძელა:

— 1950 წელი ნახევარი საუკუნის მიჯნაა და ასეთ დროს იწყება ახალი ძალების გამოჩენა პოეზიასა და ხელოვნებაში... გისურვებ, ჩემო გოგი, გამარჯვებას პოეზიაში!

ჩემი სამი ლექსი წამაკითხა (ერთი მათგანი რუსული იყო). არც ერთი სიტყვა არ ეპარებოდა, რიტმის თავისებურებას საგანგებოდ აკვირდებოდა — მე რომ ვკითხულობდი, იგი დირიჟორივით იქნევდა ხელს.

ჩვენი საუბარი ლიტერატურულ მიმართულებებს შეეხო.

მამაჩემმა 1927 წელს გამოცემული ფუტურისტების ჟურნალი „მემარცხენეობა“ (№1) მომანახინა. გალაკტიონმა წაიკითხა იქიდან რომელიღაც ლექსი და გადამდები სიცილი აუტყდა.

ჩვენც ავყევით, გავმხიარულდით.

როდესაც სიტყვა ჩამოვარდა მწერალ-პედაგოგებზე, დედაჩემმა უამბო გალაკტიონს ზოგი რამ შესანიშნავი მწერლის ვასილ ბარნოვის შესახებ, რომელიც, უკვე მხცოვანი, დედაჩემ-

თან — დარია მიხეილის ასულ თინიკაშვილთან ერთად თბილისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში ყოფილა მასწავლებლად.

— მეც ყოფილი მასწავლებელი გახლავართ. სიამოვნებით ვიგონებ ჩემი ახალგაზრდობის იმ წლებს, — თქვა გალაკტიონმა, — მეც ძველი პედაგოგი ვარ. შენ კი, ჩემო გოგი — ახალი. შემდეგ ყველას გადაგვხედა და ისევ მომიბრუნდა, ჭიქა აიღო და მაღალი იდეების დაბადებისა და განხორციელების სადღეგრძელო თქვა.

საუბარი თანდათან უფრო გაცხოველდა და რა და რას არ შეეხო.

— გალაკტიონ, როგორ იყო, პარიზში რომ ვიღაც პოეტი გაკრიჭეთ? — შეეკითხა მამაჩემი.

— „ჰოო, ეს იყო 1935 წელს, — ღიმილით დაიწყო გალაკტიონმა. — მოგეხსენებათ, მაშინ პარიზში გახლდით მწერლები ანტიფაშისტური კონგრესის დელეგატებად... სხვათა შორის, ერთი პოეტი გვერია, მეხსიერება მღალატობს, გვარი არ მახსოვს. ჰო-და, ამ კაცს თმა ქალურად ჰქონდა მოშვებული. თავისი გაჩეჩილი თმით ამაყობდა. დიახ, ამიტომაც ამოვიღეთ ნიშანში მისი თმა და ერთხელ, როდესაც კაფედან შეზარხოშებულები გამოვედით, ვტაცეთ ხელი და გრძელთმიანი საპარიკმახეროში შევათრიეთ. იქაჩებოდა, არ გვნებდებოდა... ტლინკაობითა და ხელების ქნევით იცავდა სახეზე წამოშლილ თმას, რომელსაც ეტყობოდა მაკრატელი არ ენახა. მაგრამ, ვერაფერს გახდა... პარიკმახერმა, რომელსაც ჩვენ ვშველოდით, ჩინებულად ჩაატარა ოპერაცია. გადაკრეჭილი პოეტი გაგვებუტა, და სამოდე დღე გაოგნებულივით დაბორიალობდა დაკარგულ „მშვენებაზე“ მგლოვიარე“.

შემდეგ ჩვენს ახალგაზრდა პოეტებზე ჩამოვარდა სიტყვა. როცა გალაკტიონს რომელიმე ახალგაზრდა პოეტის ლექსი მოეწონებოდა, პათეტიკურად მიმართავდა ხოლმე: „ვეფხვი ხარ, ვეფხვი!“.

„ვეფხვი“ გალაკტიონის ცოცხალ მეტყველებაში თავისებურად ეღერდა. ვეფხვის სახეს, რომელიც ქართულ პოეზიაში სიმშვენიერისა და სიძლიერის სიმბოლოა, პოეტი თავისი მეგობრების შესაქებად, გასამხნევებლად ხმარობდა, როცა მათი საქციელი მოეწონებოდა, მათი გამარჯვება გაახარებდა. გალაკტიონის ბაგით წარმოთქმული „ვეფხვი“ მკაფიოდ ავლენდა ალერსს და სიყვარულს. ამიტომ იყო, რომ პოეტისაგან „ვეფხვობით“ მიმართვა მის მეგობრებს ეამებოდათ, როგორც გულის სიღრმიდან ამომსკდარი წრფელი ქება, როგორც ძვირფასი მეგობრის ნობათი.

გალაკტიონი რიდესაც წერდა

წერისათვის განწყობილი გალაკტიონი განმარტოვდებოდა ხოლმე. ყურადღებითა და ენერგიით აღტყინებული სახით, საშინაოდ გადაცმული მიუჯდებოდა თავის საწერ მაგიდას, რომელზეც მოფანტული იყო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ხელნაწერები, და ერთთავად ჩაეფლობოდა ქაღალდებში.

მთელი დღეობით არავის ღებულობდა, ტელეფონსაც კი გამოთიშავდა. მარტო ოჯახის წევრები თუ შევიდოდნენ მასთან ფეხაკრეფით, რომ საჭმელი შეეტანათ. დამაშვრალი პოეტი ცოტას ჭამდა.

სიამაყის გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ მუშაობაში გარ-

თული გალაკტიონის კაბინეტის კარები ყოველთვის ღია იყო მამაჩემისა და ჩემთვის — ჩვენ მასთან მისვლის მუდმივი „ვიზით“ ვსარგებლობდით.

რამდენჯერ მინახავს, რომ გალაკტიონის კაბინეტში ფანჯრის დარაბა მიხურული იყო და ბნელით მოცულ ოთახს საწერ მაგიდაზე დადგმული ერთი ან ორი სტეარინის სანთელი ანათებდა. შთაგონებული პოეტი წინწახრილი იჯდა და გამალებით წერდა. სანთლის მოლიცლიცე შუქი მის მაღალ შუბლს მკრთალ ნათელს ჰფენდა და ერთგვარ რომანტიკულ რიდედ ებურებოდა იქაურობას.

განა უცნაურობა არ იყო, რომ ელექტრონისა და ატომის ეპოქაში, სინათლის პრიმიტიულ წყაროს იყენებდა დიდი პოეტი უკვდავი სტრიქონების წერის დროს ჩვენს გაკაშკაშებულ თბილისში!..

ეგ თავისი საკვირველი საქციელი პოეტმა ასე ამიხსნა:

— სანთლის შუქი მყუდროებასა და სიმშვიდეს მგვრის, — მხოლოდ ვიწრო არეს ანათებს ჩემ ირგვლივ და ამიტომ ნათლად მარტო საწერ ქაღალდს ვხედავ და მასზე ვახდენ მთელი ჩემი ყურადღების კონცენტრაციას. ისიც უნდა ითქვას, ახალგაზრდობაში სულ ასეთ სინათლეზე ვწერდი... ნათქვამია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

ოლიმპიელის განსახიერება იყო გალაკტიონი შემოქმედების მომენტში ან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულის ცეცხლად გადაქცევის“ დროს, და მის შემხედვარეს უნებლიეთ მახსენდებოდა ხოლმე მისი ლექსი „შემოქმედება“, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც პოეტი ასე გადმოგვცემს თავის განცდებს, როდესაც იგი შემოქმედებითს პათოსში იმყოფება:

ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი,
ვიტყვი და თრთოლვად გადაიქცევა
ეერხვის ფოთოლი...
მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლისმოქმედი,
არე-მიდამო ნეტარების
ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი,
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება.

გალაკტიონი ექსპრომტად ქმნიდა შესანიშნავ სტრიქონებს. მისი ყოველი ფრაზა—დიდი ტალანტის ბრწყინვალე გამოსხივება იყო.

ქუთაისიდან მატარებლით მომავალმა პოეტმა პაპიროსის კოლოფზე წააწერა:

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს-ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ კი უთხრა — ვისი:
ისეც იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი!

შემდეგ ეს ლექსი ხალხმა აიტაცა და სიმღერად აქცია.

გალაკტიონის ექსპრომტის ამგვარი უსადარო ნიმუშები მაინც მხოლოდ პოეტური ნაპერწკლებია, ხოლო თავის უკვდავ თხზულებებს დიდი ხელოვანი ზემოთ აღნიშნულ საგანგებოდ შექმნილ პირობებში და დამშვიდებული სულიერი განწყობილების ქვეშ წერდა.

დიდოსტატ პოეტისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე უბრალო საწერი ხელსაწყოსა და უბრალო ქაღალდის გამოყენება. ჩვეულებრივ, გალაკტიონი წერდა ბლაგვი, ულაზათოდ წათლილი ფანქრით ან მოძველებული ავტომატური კალმისტრით.

— კარგი ხარისხის ქაღალდზე კარგი ლექსი არასდროს არ დამიწერია. უბრალო ნაგლეჯზე უკეთ ვწერ, ასე მაქვს დაცდილი, — იტყოდა ხოლმე გალაკტიონი ღიმილით.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1951 წელს დაწერილი გალაკტიონის ლექსი „ქაღალდი", რომლის გამოქვეყნება საკამათოდ გახადეს ვიღაცეებმა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ქარაგმის ენით გაწკეპლილია (და მართებულადაც) უნიჭო მჯღაბნელები.

ქაღალდი და მასთან ერთად უბადრუკი ავტორი ფიქრობს,

> რომ ყოველივე
> იწყება მისით,
> თავდება მისით!

ნამდვილად კი ნაწერის ღირებულება დამოკიდებულია დამწერზე, შემოქმედზე და არა ქაღალდზე:

> ქაღალდი მრავალს
> იჩენს მარიფათს,
> ქაღალდი მოდის
> რაგინდრაფერი:
> იყო, არის და
> რჩება ღარიბად...
> სწერთ? ქაღალდია,
> სხვა არაფერი!

სიტყვამ მოიტანა — მეტად საგულისხმოა, რომ ამ პატარა, ოცდაოთხტაეპიან ლექსს გალაკტიონმა შედარებით დიდი დრო მოანდომა, რამდენჯერმე გადააკეთა, ათიოდე დღე თვალწინ ედო საწერ მაგიდაზე სხვა გასაჩალხ ხელნაწერთა შორის.

როგორ იშვა „მთაწმიდის მთვარე“

გალაკტიონმა ერთხელ მიამბო, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, მას და გიორგი ქუჩიშვილს ქალაქ ფოთის მუშებმა შეხვედრა მოუწყვეს. წინა დღით პოეტებმა დაათვალიერეს კოლხიდის მშვენება ფოთი და პალიასტომის ტბის შემოგარენი. ღამის გასათევად ერთ მუშის ბინაზე მიიწვიეს ორივენი და ცალკე ოთახი დაუთმეს.

გალაკტიონს ძილი არ ეკარებოდა.

გიორგიმ რამდენჯერმე უთხრა, სინათლე ჩააქრე და დაიძინეო, მაგრამ ამაოდ.

ახალგაზრდა პოეტი ფიქრმა გაიტაცა.

ქართველ პოეტებს მომაკვდავი გედის სიმღერის თემაზე, მგონი, არაფერი დაუწერიათ... სიცოცხლეში გედი მხოლოდ ერთხელ მღერის... ისიც სიკვდილის წინ... მხოლოდ მაშინ ებადება თავისი სიმშვენიერისა და სილაღის განცდა... იშვიათი მოვლენაა ბუნებაში!.. უნდა ითქვას ეს პოეტური სიტყვით...

ამ ოცნებამ შეიპყრო მგოსანი, და ჩაამწკრივა თოთხმეტმარცვლოვანი ტაეპები.

—არ დაიძინებ, კაცო?!—ერთი პირი ძილის მოთავების შემდეგ უკმაყოფილოდ შეეკითხა გიორგი.

— მაცალე, თუ ძმა ხარ! — ჩაიბუტბუტა გალაკტიონმა და ლექსის გაჩალხვას შეუდგა.

სტრიქონები გადაიკაზმა, ზოგი ზევით ავიდა, ზოგმა ქვევით ჩაიწია. შავი ხაზებით გადაისერა რამდენიმე სიტყვასახე და ტაეპი. ლექსი უხვად იქნა შემკობილი ნატიფ მეტაფორა-ეპითეტ-შედარებებით.

ასეთ მოსაპირკეთებელ მუშაობას ცოცხლად წარმოიდგენს ის, ვისაც პოეტურ შემოქმედებითს წვასთან ერთად განუცდია წვალება, რაც თან სდევს მოხდენილი სიტყვის მონახვას.

* * *

ლექსთწყობა, რიტმი იგივე დარჩა, მაგრამ შინაარსი გადასხვაფერდა. სწორუპოვარი შემოქმედის მიერ ობოლ მარგალიტთა მძივებად იქნა ასხმული მომხიბლავი მხატვრული სახეები. თაიგულივით შეიკრა ჰარმონია ბგერებისა. შეიცვალა ლექსის მოტივიც. პოეტის წარმოსახვაში გასხივოსნდა თბილისისა და მთაწმიდის პროფილები, ცისფერი ლანდები, მტკვრისა და მეტეხის თეთრი ელვარება, აკაკის ლანდი, ბარათაშვილის „ობლად სიარული“ — და ყველაფერი ეს, მთვარის „შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით“, განსახიერდა ლექსში, რომ ქართული სიტყვის სამარადისო ძეგლად აღმართულიყო.

მთვარიან ღამეში თბილისის პეიზაჟი თავისი მთაწმიდით, მტკვრითა და მეტეხით რომანტიკულ ფერებში წარმოესახა მომაკვდავ გედზე შთაბეჭდილების ქვეშ მყოფ პოეტს და მის წინ მთელი სიმძაფრით დაისვა სიკვდილის პრობლემა.

შემოქმედი ჩასწვდა „თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“ და მთვარიანი ღამის პეიზაჟი და თავისი ფიქრები სიკვდილის ირგვლივ შესანიშნავ ლექს-სიმფონიად გადმოაფრქვია:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!..

...და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები.
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები...

...სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა;
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი..
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

ხატოვანობითა და ემოციის სიძლიერით ეს სტრიქონები გენიალური ხელოვანის ისეთივე ჯადოსნური სუნთქვაა, როგორიც ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, რომლის ჰანგები და გალაკტიონის პოეტური მეტყველება თანაბრად საუცხოო ჩუქურთმებს ქმნიან ღამისა და მთვარის ფონზე.

გალაკტიონმა იცის, რომ სიკვდილი ყველას მიმართ ულმობელია, რომ ის დიდ მგოსნებსაც არ ინდობს. ამით ჩვენი ეპო-

ქის დიდი პოეტი ეხმაურება გენიალური წინაპრის, შოთა რუსთაველის სიბრძნეს:

ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი-...

და სიკვდილის შიშს უქრობს, მხნეობას უნერგავს ადამიანს პოეტის ფილოსოფიური თქმა:

სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა...

* * *

„მთაწმიდის მთვარის“ შექმნის პროცესი პოეტური შემოქმედების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით დიდად საინტერესოა. მომაკვდავი გედის სიმღერამ სიკვდილის პრობლემა წამოაყენა მის წინაშე.

სიკვდილზე ფიქრი პოეტის წარმოსახვამ იმ დღეს ზღვისპირა ქალაქში ნახულ-გაგონილს დაუკავშირა, რაზეც გვანიშნებს ლექსში ნახმარი სიტყვები: ზღვა, ტბა, იალქნები და, განსაკუთრებით, მომაკვდავი გედი.

ამავე დროს სიკვდილის ფიქრით გართულ პოეტს თვალწინ წარმოუდგება დიდ ქართველ პოეტთა პანთეონი—მთაწმიდა. „აქ მწუხარე“ სასაფლაოში „მეფური ძილით“ სძინავთ აკაკის, ბარათაშვილს... სიკვდილს მათთვისაც სახე შეუცვლია — „სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს“ ყველას. მაშ სიკვდილის „გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“. მაგრამ, არა! პო-

ეტა ქედს როდი უხრის სიკვდილს და ვაქკაცურად აცხადებს: „მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“.

ამრიგად, მიუხედავად ლექსის საერთო სევდიანი ტონისა, მის აქცენტს პოეტის მებრძოლი ხმა ქმნის—სიკვდილის საშინელება დაძლეულია.

* * *

უკვე განთიადმა მოატანა, როდესაც პირვანდელი სათაური „მომაკვდავი გედის სიმღერა“ წაიშალა და ჩამოყალიბდა ახალი — „მთაწმიდის მთვარე“.

მეორე დღეს ფოთელი მუშების მიერ მოწყობილ შეხვედრაზე გალაკტიონმა პირველად წაიკითხა „მთაწმიდის მთვარე“, მეორედ კი — თბილისში, ორიგინალურ კონკურსზე, სადაც ამ ლექსით აღტაცებულმა ქართველმა პოეტებმა მას პოეტთა მეფე უწოდეს.

დიდოსტატ პოეტს ყველაფერი გამოადგება თემად, მასალად, შემოქმედებითი შთაგონების საბაბად: აწმყო და წარსული, მუსიკა და საუბარი, მოსწრებული რეპლიკა, უბრალო ამოოხვრა, მრავალჯერ ნანახის კიდევ ერთხელ ხილვა.

ერთი უბრალო პოეტი

დილას, რვის ნახევარზე პირობისამებრ გალაკტიონისას ვიყავი. როგორც წინა დღეებში, მის თხზულებათა რჩეულის დამზადებაზე უნდა გვემუშავა.

ჩემი მისვლა ესიამოვნა და გულითადად მომესალმა. სადღაც მიიჩქაროდა და მეც თავისთან მიწვევდა.

გალაკტიონი ადრე დგებოდა ხოლმე და ქუჩაზე გასვლას ესწრაფებოდა. უნდოდა ეცქირა, როგორ იღვიძებდა თბილისი.

მისი მეუღლე ნინო და მე ვთხოვდით, შინ დარჩენილიყო.

ვერ დავიყოლიეთ.

მუშაობისთვის არ მცალია, ათასი წვრილმანი მაწუხებს! — თქვა ნერვიულად და წავიდეთო მანიშნა.

8 საათზე ქუჩაზე გამოვედით. დინჯი ნაბიჯით მივდიოდით.

მარჯანიშვილის მოედანზე ფოტოატელიესთან შემაჩერა, ვიტრინისაკენ მიმითითა:

— ეს ჩვენი ძვირფასი გიორგია, ვენაცვალე სულში! — თქვა პროფ. გიორგი ახვლედიანის სურათზე.

ქუჩაში მიმავალნი ნაბიჯს ანელებდნენ ან ჩერდებოდნენ კიდეც და სმენად იქცეოდნენ.

— გორკის კლუბში მაქვს საქმე! — მითხრა გალაკტიონმა და იქითკენ გავეშურეთ. გზაში ვიღაც ჭაღარა კაცმა გადაკოცნა. შევდექით, ის კაცი გამაცნო და აღფრთოვანებით მიმართა მას:

— გახსოვს, ოქტომბრის რევოლუცია.. პეტერბურგი, მოსკოვი?. მიტინგი მოსკოვში... ბანკიდან ტომრებით გამოიტანეს ქაღალდის ფული და დასწვეს. ამბობდნენ, აწ ფული საჭირო აღარ იქნებაო.

ჭაღარამ დაუდასტურა ნათქვამი და იმ დღის თარიღიც გაიხსენა.

გორკის სახელობის კლუბის დირექტორმა გულთბილად მიგვიღო.

— ამ დღეებში გეძებდით და ვერ გიპოვნეთ, ბატონო გალაკტიონ!.. უთხრა,—თქვენთან შეხვედრის დღე უნდა დავნიშნოთ[1].

— მგონი, ამ თვის 10-ში მიწყობთ შეხვედრას? — იკითხა გალაკტიონმა.

რამდენიმე წუთს შეხვედრის თარიღს აზუსტებდნენ.

— საათს შეგატყობინებთ, მოსაწვევ ბარათებსაც მოგართმევთ ორ-სამ დღეში. — ეუბნებოდა დირექტორი. შემდეგ ახლად შემოსული ახალგაზრდა ქალი გაგვაცნო და დასძინა, — ჩვენი სახალხო პოეტი გალაკტიონი, ესეც მისი მდივანი.

ქალმა, რომელიც მე მიცნობდა, გრძნობით თქვა:

— ჩვენთვის დიდი სიხარულია, გალაკტიონ ტაბიძეს რომ შეხვედრას ვუმართავთ, ბატონო გალაკტიონ, მე გატაცებით მიყვარს თქვენი ლექსები.. და მათი ავტორი...

— მეც, მგონი, ნამდვილად შემიყვარდებით. თქვენ ისეთი კარგი ხართ! — უთხრა პოეტმა.

ქათინაურმა ქალი წამოაწითლა, თავი დახარა და მორცხვად ჩაიცინა.

— არ გეწყინოთ, გეხუმრეთ, გენაცვალოს გალაკტიონი. რა ვქნა, ერთი უბრალო პოეტი ვარ, მოხუცი პოეტი.. მაპატიეთ — გულთბილად მოუბოდიშა.

ქალმა გულღიად გაუღიმა.

კლუბის ბაღში გამოსულნი მერხზე დავსხედით. მუსაიფი გავაბით.

---

[1] ეს იყო 1958 წ. 4 თებერვალს.

ხეივანში ორი კაცი მოდიოდა. გალაკტიონმა შეაჩერა ისინი და მთხოვა:

— აბა, ამათ უთხარი ის ეპიგრამა, იმ დღეს რომ მომეწონა.

უცნობები მოსასმენად მოემზადნენ, მაგრამ, ცივი უარით გავისტუმრე.

— სწორი ხარ, ყველასთან არ არის საჭირო, — მხარზე ხელის დაკვრით მითხრა გალაკტიონმა.

ახლა, ამ მომენტის მოგონებაზე, გამახსენდა გალაკტიონის უსათაურო ლექსი:

გიორგი! ახლა
მზრუნველს და მომვლელს
საქართველოში ვინმე გამოლეეს?
მზად იყავ მისცე
ანგარიში ხალხს
და არა ყოველ
გამვლელ-გამომვლელს!

ეს ტაეპები მუდამ გაფრთხილებად მიელავს მეხსიერებაში, როცა მცონარენი გამომძიებლურ დაკითხვა-საუბარს გააბამენ ხოლმე.

კლუბიდან ერთი კაცი გამოვიდა. გალაკტიონს მისი პორტრეტის კლიშე სთხოვა მოსაწვევი ბარათისათვის.

პოეტის ბინამდე მცირე მანძილი იყო, მაგრამ სამივენი ავტოთი წავედით, რადგანაც გალაკტიონი დაღლილი იყო.

კლიშე მოვნახეთ და კლუბის მუშაკი გავისტუმრეთ. მე საჯარო ბიბლიოთეკაში წავედი გალაკტიონის საქმის გამო.

ერთი საათის შემდეგ კი გალაკტიონთან ერთად ავტოთი მივქროდი მთავრობის სახლისაკენ.

იქ მშენებლობის მინისტრის მოადგილესთან ამხ. ზ. ჯაფარიძესთან შევედით. მან პატივისცემით, გულთბილად მიიღო მბცოვანი პოეტი.

გალაკტიონი სთხოვდა მას, დახმარებოდა ზოგი ტექნიკური საკითხის მოგვარებაში.

— როგორც თქვენ გნებავთ, ისე გაგიკეთებთ, ძვირფასო გალაკტიონ!—და დასძინა გულშემატკივრულად—იმედი გქონდეთ, არაფერში შეგაფერხებთ, ნუ სწუხხართ!.

— რა ვქნა, ჩემო კარგო, პოეტი კაცი გახლავარ, განცდების კაცი...

ამხ. ჯაფარიძემ დაწვრილებით აგვიხსნა, თუ რა იყო საჭირო მშენებლობის დასამთავრებლად.

* * *

ქ-ნმა ნინომ სადილზე წითელი ღვინო გამოგვიტანა, მეორე ოთახიდან გამოვიდნენ ნუნუ და ზეინაბი.

ყველანი სუფრას მივუსხედით.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა და თუმცა ძალიან ცოტას ვსვამდით, სიმღერა შემოვძახეთ.

როდესაც პიანინოს მივუჯექი, ზეინაბმა დაკვრა მთხოვა და ჯერ ნუნუსთან, მერე გალაკტიონთან იცეკვა.

ცალი თვალი მოცეკვავეებისაკენ მეჭირა.

მხარზე გალაკტიონის ხელი ვიგრძენი და კლავიშებს თითები მოვაშორე.

— ჰო, ძამიკო! კარგი იყო, მაგრამ...

გალაკტიონმა თეთრი ხელსახოცი ბაღდადივით გაშალა, ზეინაბი გაიყოლია და ერთი წრე შემოიარა.

— არა, ბიძიკოებო, მაგი არ ვიცი კარგად, — ამბობდა სიცილით, თან მძიმედ სუნთქავდა, — კინტაურს ვირტუოზულად ცეკვავს ჩვენი დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი. ჩემო გოგი, შენ რომ მისი ცეკვა ნახო!..

—ორ-სამჯერ მინახავს პროფ. ალ. ფიცხელაურის ოჯახში.. ვქეიფობდით.. დავუკარი.. ლადომ, მართლაც შესანიშნავად იცეკვა.

— იცი, ჩვენ რომ ლექსი ვთქვით, ეგ წინათ კოტე მარჯანიშვილმა ამღერა არტისტებს სცენიდან... მოდი ჩვენც ვიმღეროთ.

გაგონილი მქონდა, ამ ლექსს ერთი ნეაპოლიტანური რომანსის მელოდიაზე (თბილისში რომ „პარახოდს“ ეძახიან!) მღეროდნენ. დავუკარი და ყველამ ვიმღერეთ.

— მაგონდება, მოწაფეობისას კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის გუნდში ვმღეროდი. ეგ, ხომ იცით, რომელი კომპოზიტორია? „სამშობლო ხევსურისა“, „მაშ, გაუმარჯოს“ და კიდევ ბევრი სიმღერის ავტორი. ნიკოს ძალიან ვუყვარდი... საკმაოდ კარგი ხმა მქონდა ბავშვობაში, — თქვა გალაკტიონმა. და „მაშ, გაუმარჯოს“ წაიმღერა. შემდეგ შეეცადა გახსენებოდა ის სიმღერა, რომელსაც მისი დედა უკრავდა ჩონგურზე და მღეროდა, მაგრამ ვერ გაიხსენა, სამაგიეროდ, თავისი დედის, მაკრინე ადეიშვილის შესახებ გვიამბო: თურმე პოეტის

დედას, ახალგაზრდობაში დაქვრივებულს, სახლიდან გაძევებით ემუქრებოდა და გათხოვდიო—ჩასჩიჩინებდა ქმრის ერთი ახლო ნათესავი. მაგრამ სათნო მაკრინემ შვილების — პროკლეს (აბესალომის) და გალაკტიონის გამოზრდას შესწირა მთელი თავისი ცხოვრება.

— ოდესმე გავიხსენებ იმ ძველ ქართულ სიმღერას, რომელსაც დედაჩემი მღეროდა და ვინმეს ნოტებზე გადავატანინებ... გაუმარჯოს მუსიკას, გაუმარჯოს ბეთჰოვენს — მუსიკის ღმერთს, გაუმარჯოს მოცარტს, ბახს, შოპენს და ჩვენი ერის სიამაყეს ზაქარია ფალიაშვილს!..

დამისხი, დამალევინე
ეგ ღვინო ოხერ-ტიალი...
ეგების წაღმა ვიფიქრო
ქვეყნის უკუღმა ტრიალი

დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მიერ ვაჟაფშაველას ამ უკვდავ სიტყვებზე დაწერილი მომხიბლავი არიით დაასრულა მან სადღეგრძელო და ფაიფურის პატარა ფიალა ზეაღმართა. ზეინაბს მიუბრუნდა და შემდეგი სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ეს გაუმარჯოს იმ უბანს, სადაც შენ ცხოვრობ, მთაწმიდას გაუმარჯოს, ჩვენი დიდი პოეტების პანთეონს! ილიასა და აკაკის, ბარათაშვილისა და ვაჟას სახელებს მოწიწება და სამარადისო ხსოვნა! გაუმარჯოს მთაწმიდას! ხომ გიყვართ ის უბანი? ჩვენი ნუნუ იქ ცხოვრობს... ნინოც იქ ცხოვრობდა წინათ... მთაწმიდა თბილისის გულია, საქართველოს გული!.. აბა, ჩემო ზეინაბ, ეს შაინეკ დალიე!

ზეინაბმა დრო იხელთა და სთხოვა. თქვენს პორტრეტს რომ დამპირდით, მისახსოვრეთო.

— დიდი სიამოვნებით!.. წამოდით! — წამოიძახა გალაკტიონმა და ზეინაბი და მე კაბინეტში გაგვიყვანა.

სანამ გალაკტიონი თავის სურათს მონახავდა, თვალი შევავლე ნაცნობ ნივთებს და მათ შორის ახალიც შევნიშნე, საწერ მაგიდაზე იყო კლიშე, გადაღებული იმ დაძველებული ფოტოსურათიდან, რომელიც ადრე მინახავს აქ: აკაკი წერეთელი ზის მოწაფეებში, უკანა რიგში, ფეხზე დგას ჭაბუკი გალაკტიონი მოკრძალებული, ჩაფიქრებული.

გალაკტიონმა მეც მისახსოვრა იმ ხანებში გადაღებული თავისი ფოტოსურათი წარწერით:

„ჩემს ძვირფას გოგის. გალაკტიონი. 1958 წ. 4 თებ".

ეს სურათი ჩემთვის განძია, რომელიც მიმშვენებს ოთახს. კარგია, მეტად კარგი! გალაკტიონის ზეშთაგონებული სახე პროფილით. შორს მზირალი ჭკვიანი თვალები, მაღალ შუბლზე ტალღებად გაწოლილი ღრმა ნაოჭები, ხშირი ფართო წვერი დიდებულების სხივებს ჰფენენ პოეტის მრავალმეტყველ სახეს, და გრძნობ იმ ტიტანურ ძალას და ბობოქარ სულს, რაც ესოდენ სჩქეფს მის უკვდავ შემოქმედებაში.

შემოვიდა შინამოსამსახურე ქალიშვილი და გაზეთები და წერილები შემოიტანა.

გალაკტიონმა თვალი გადაავლო გაზეთებს, რომელიღაც გაზეთიდან ხმამაღლა წაიკითხა ერთი კორესპონდენცია, სადაც ცოლ-ქმრის ვაი-ვაგლახური ურთიერთობა იყო გადმოცემული, და სასტიკად გაიცხა ზოგიერთი ქმრის უხეშობა. როდესაც ისევ სუფრას მივუბრუნდით, მეუღლეს მიმართა:

— მართალია, მე ხანდახან ჭირვეულობა ვიცი, მაგრამ შენ არ გაწყენინებ... ხომ სწორს ვამბობ? ნინომ დაუდასტურა და გალაკტიონმა განაგრძო, — მე მწამს რაინდული სიყვარული, რუსთაველური სიყვარული!... დავლიოთ ავთანდილისა და თინათინის სიყვარულის სადღეგრძელო. ქალი რომ საქმეს დაავალებს, ვაჟკაცმა ავთანდილივით პირნათლად უნდა შეასრულოს და მფარველობაც უნდა გაუწიოს ქალს. ეს აზრი მაქვს ჩაქსოვილი ჩემს ახალ პოემაში „მშვიდობის წიგნი“, რომელშიც აღწერილია, რომ ქალი აგზავნის ვაჟს ძნელად საპოვნი წიგნის მოსაპოვებლად. ეს არის ავთანდილისა და თინათინის სიყვარულის მსგავსი მიჯნურობა... მე და ნინოსაც ასე გვიყვარდა ერთმანეთი დღემდე და ასევე გვეყვარება, ხომ, ნინა?!.. სად წახვედი, ნინიჩკა?!.

— მოვდივარ, მე ყველაფერი მოვისმინე! — მოისმა სამზარეულოდან ნინოს ხმა. მალე თვითონაც გამოჩნდა და ლანგრით ინდაურის საცივი შემოიტანა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — მხიარულად თქვა გალაკტიონმა. შემდეგ დაუმატა:

— მოსკოვში საქართველოს დეკადაზე უნდა წავიდეთ მე, ნინა და გოგი... ახლა კი ვიმღეროთ და ვიცეკვოთ!.. ქართული... ქართული!..

ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა ცეკვა.

სემინარიის თანაკლასელი ამხანაგი ურეკავდა. სკოლის ამხანაგები ამ დღეებში ვახშამს ვაწყობთ (მგონი ქუთაისში) და მზად იყავიო.

— ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, მაგრამ თუ სიტყვას

მომცემთ, რომ ღვინოს არ დამაძალებთ, უსათუოდ თქვენთან გავჩნდები! — ჩასძახა ყურმილს პოეტმა.

— სმას დაგაძალებენ, აბა, რა იქნება?! არ წახვიდე, თავს გაუფრთხილდი, მე ასე გირჩევ! — უთხრა ნინომ.

— ბავშვობის მეგობრებთან მიშლი წასვლას? მაგი რავა შეიძლება. იქ უამრავი მასალა უნდა შევაგროვო ჩემი ამხანაგების მიერ მონაყოლი მოგონებებიდან...

ნინოც მალე დაეთანხმა.

— ჩვენს ნინას გაუმარჯოს! — წამოიძახა გახარებულმა გალაკტიონმა, მე ეს გოგონა ბაღდადში[1] გავიცანი... ხანის-წყალთან სამი ქალიშვილი მღეროდა. მომეწონა მათი წკრიალა ხმები. მივუახლოვდი და გამოვეცნაურე... ერთი მათგანი ნინა გახლდათ. მეგობრულად მიმიღეს. მეც ავყევი სიმღერაში. მერე დიდხანს ვისაუბრეთ. ძალიან მომეწონა ნინა, ჭკვიანი და ლამაზი გოგონა იყო. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. მოვიარე რუსეთი, რევოლუციის ქარიშხალი გამოვიარე. ვიყავი საფრანგეთში. სახალხო პოეტი გავხდი. ბედის უკუღმართობით საყვარელი მეუღლე ოლღა, ოკუჯავას ქალი, დავკარგე... ახალგაზრდობის მეგობრებიც დამეღუპნენ, დავრჩი მარტოდ...

და აი, ერთხელ, თბილისში, ვერის ხიდთან, შემხვდა ნინო შეწუხებული, დაღვრემილი. რა მოგვიდა-მეთქი, შევეკითხე. ქმარი დამეღუპაო, მითხრა. შემეცოდა ეს თვალცრემლიანი ქალი. აღარც ბინა ჰქონია, აღარც ცხოვრების სახსარი, ნათესავებს შეკედლებია.

---

[1] ახლანდელ მაიაკოვსკში.

მეც ნინასავით გულმოკლული ვიყავი... ეკონომიურად კი არა მიჭირდა. მოვკიდე ნინას ხელი და წამოვიყვანე ჩემს სახლში. მეორე დღეს ნინამ თავისი შვილი ნუნუც მოიყვანა, სულ პატარა იყო და შვილად მივიღე...

მას შემდეგ აი რამდენი წელია, მე და ნინა ვცხოვრობთ მეგობრულად. მაშ, გაუმარჯოს ჩემს ძვირფას ნინას!

თებერვლის სუსხიანი ღამე იმზირებოდა ფანჯარაში. ქუჩაზე შიშველი ხეები და ბურუსში გახვეული ლამპიონები მოჩანდა. გრანიტის პერანგიანი წიგნის სასახლის გვერდით „მრავალდროების“ მოწმე მოდუდუნე მტკვარი მოიზლაზნებოდა.

დიდი პოეტის ბინაში მხიარულება სუფევდა.

სუფრიდან წამოვიშალეთ. ცოტა ხანს მომავალ სამუშაოზე ვილაპარაკეთ. გამომშვიდობებისას სასწრაფოდ მივაშურე დერეფანს, სადაც ჩემი პალტო ეკიდა. არ მინდოდა გალაკტიონს რომ დაესწრო იქ გასვლა.

ვიცოდი, თავისი ხელით პალტოს ჩაცმას დამიპირებდა და არც ისე ადვილი იყო დაგეცვა თავი თავაზიანი მასპინძლისაგან.

თუ უარზე დადგებოდი, შეუვალად გეტყოდა: თქვენ ხომ ჩემი სტუმარი ბრძანდებითო... „На правах гостя, на правах гостя!“ — დასძენდა სიცილით.

ხეების სიმფონია

თბილისში პაპანაქება სიცხე იყო.

„დინამოს“ სტადიონთან ტრამვაიდან დავინახე გალაკტიონი და ვაგონიდან ჩამოვხტი.

მომეგება, მკერდში ჩამიკრა.

— თქვენსას მოვდიოდი სწორედ!.. მამაშენი შინ არის?.. აი, ინჟინრობა დავიწყე! — ამ სიტყვებთან მან ჩაიცინა და ლითონის „რულეტი“ (სიგრძის საზომი, მშენებლები რომ ხმარობენ) გაშალა. მე გაკვირვებული, ღიმილით შევაჩერდი.

— წყნეთში ვიშენებ პატარა სახლს საგარაკოდ, — ამიხსნა მან.

— ხომ წამობრძანდებით ჩვენსას?

— ფეხით წავიდეთ, თუ ძმა ხარ!

— სიამოვნებით.

სტადიონის გასწვრივ, ბაღში, ხეები მოეწონა. შემაჩერა. კარგა ხანს ათვალიერა. ჩაიცინა:

— გოგი, ბიძიკო, ზოგი ხე ზოგ კაცს სჯობია. აი, მაგალითად, რით არ სჯობია ეს სამი ჭადარი.. — და მან ორიოდე კაცის გვარი დაასახელა.

ჩვენს სიცილზე გამვლელები ღიმილით ჩერდებიან. გალაკტიონის კოლორიტულ გარეგნობას შორიდანვე სცნობენ.

დაბურდულ წვერზე ხელი ჩამოისვა, ჩაფიქრდა.

ისევ განვაგრძეთ გზა.

პოეტმა და მამაჩემმა გადაკოცნეს ერთმანეთი. გალაკტიონის ახალი წიგნის გამოცემის შესახებ ისაუბრეს და მასალებში „ჩაიძირნენ“.

ვთხოვეთ, მაგრამ სადილად არ დარჩა.

— შეჩქარება, ჩემს მშენებლობას უნდა მივხედო! — თქვა ღიმილით და დაუმატა, — გოგი, ბიძიკო, წამყევი. აქვე ახლოს კანტორაში პატარა საქმე მაქვს.

ამ დროს დედაჩემმა ბოთლი შემოიტანა. მამამ შესთავაზა:

— ყურძნის წვენია, გულისთვის კარგია, დავლიოთ!

— აჰ, არა. არა! — ხელი მომკიდა. სწრაფად გამიყვანა აივანზე, — მე ეს მირჩევნია ახლა! — თქვა სიცილით, მაგიდიდან სალათაში ჩაჭრილი კიტრის რამდენიმე ნაჭერი ამოიღო და შეექცა, თან მაჩქარებდა.

ფეხით გავისეირნეთ ქუჩაში გამოსულებმა.

ბაზართან, მშენებლობის კანტორაში მივედით. იქ საქმის მწარმოებელს მიმართა:

— მე ტაბიძე ვარ, სახალხო პოეტი.

— გიცნობთ, ბატონო, დაბრძანდით! — მოგვართვა სკამები ახალგაზრდა ქალმა.

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. მოგეხსენებათ, წყნეთში ვაშენებ სახლს.

— ვიცი. როგორ მიდის თქვენი მშენებლობა?

— კარგად, მაგრამ... მე მინდა ცოტათი შევცვალოთ პროექტი იმ გზისა, რომელიც ჩემი სახლის წინ უნდა გაიყვანოთ.

—???

— საქმე იმაშია, რომ იქ ლამაზი ხეებია, ძველი დაბურული ხუჭუჭა ხეები. თუ გზას პროექტის მიხედვით გაიყვანთ, ხეები უნდა განადგურდეს. არ შეიძლება, ჩემი ხათრით, იმ გზამ ოდნავი რკალი გააკეთოს, რომ ხეები გადარჩეს?

— ძალიან ვეცდები, ბატონო! თუკი თქვენი სურვილია იმ ხეების გადარჩენა, ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ გასიამოვნოთ, — მიუგო ქალმა.

გალაკტიონმა დიდი მადლობა გადაუხადა და კანტორიდან გამოვედით.

დავპირდი, წყნეთში გინახულებთ-მეთქი და დავშორდით ერთმანეთს, ეს იყო 1952 წლის ზაფხულში.

ქალაქში მყოფს, ბუნების წიაღს აგონებდა ყოველი ხე. ბუნების წიაღში ოლიმპიური სიმშვიდე მოეფინებოდა ხოლმე სახეზე.

ერთხელ დილაადრიან მოვიდა თავისი ავტოთი ჩვენსას. ფოტოაპარატიანი კაცი ახლდა. მამაჩემი წაიყვანა. ბაზალეთის ტბა და სანახები დაათვალიერეს. გზადაგზა სურათებს იღებდნენ. ფოტომოყვარულის გაუწაფავი ხელით დამზადებულ იმ სურათებს ახლაც სასოებით ვინახავ.

ტბათა სარკოვანი ზედაპირი, „ნათელი სავსე მთვარის“ თუ კავკასიონის ცად აღვლენილი მწვერვალები, შავი ზღვის ბობოქარი ტალღები იწვევდა პოეტში აღტაცებას და გატაცებას, ხოლო ყველა ამას გალაკტიონის პოეზიაში მწვანე ზოლად გასდევს ხეების სიყვარული.

აწ ჩემი ოცნება
და ჩემი ლირიკა
ობოლი ნაძვია —
ლარიქს სიბირიკა
(„ლარიქს სიბირიკა“)

და რადგან პოეტის ოცნება მუდამ მაღალი და განუზომელია, ამიტომ:

განდევნა მიწამა,
ცამ ვერ შეირიგა
მაღალტანოვანი
ლარიქს საბირიკა,

ხოლო ლექსში — „ევკალიპტი“, პოეტი ეალერსება მცენარეს და პარალელს ავლებს ადამიანის წმიდა გრძნობასა და ხის ფესვების ძალმოსილებას შორის. პოეტის აზრით, აქ არის „დიდი საერთო“ ნიშანი:

სულთქმით დიადით,
გულთქმის ხმაურით,
მხრების აზიდვით
და ძალშევსებით —
მცენარე მკვიდრობს
ფესვებით მძლავრით,
ადამიანიც —
ძმობის ფესვებით,

ასე, ვაჟა-ფშაველას მინდიასავით, პოულობდა დიდი პოეტი ადამიანის სულიერ მოძრაობასა და მცენარეთა შრიალს შორის საერთო ჰარმონიას, კაიკაცობისა და ავკაცობის ასოციაციებს.

ამიტომ იწვევს პოეტში სიხარულს არემარე, სადაც უნაპირო ნაყოფიერი ხეების ზღვა, მოლივლივე ფოთლების ჩერო და ნეშო. იქ კი, სადაც საბჭოთა ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან წალკოტებს, ვაჟკაცურ შრომას დროშასავით მიუძღვის წინ გალაკტიონის სიტყვები:

აქ აყვავდეს უნდა მხარე ფლორითა.
ბაღზე ბაღი გესალმება გორიდან —
აქ ასეა. მალე აშრიალდება
ფორთოხალის და ლიმონის ბაღები,
დაიქროლებს სიო ჩვენი შავი ზღვის
და პალმების აიწევა თაღები.
(„კოლხიდის დაბლობზე“)

ამავე სიმფონიაში შედის პეიზაჟების გამომხატველი ლექსები: „ტყემ წამიყვანა“, „საღამო ტბის პირად“, თუ მელოდიური „ატმის ყვავილები“,—სადაც ქართული კლასიკური ლექსის უმაღლესი ფორმებითაა აღღერებული ტყის მწვანე ჯუღმულში ატეხილი ხის რტოთა და ბალახების მწვანე ყანა და ჩამავალი მზის შუქით მოქათქათე ტევრი, რომლისგან იბადება სიცოცხლის საღამო.

და ჩრდილი ბინდისა, წერწეტა ხის ჩრდილი
ეცემა ბილიკზე შემკრთალი, დაღლილი.
(„საღამო ტბის პირად“).

სიყვარულის ფაქიზი გრძნობა ჩქეფს ქარით აქოჩრილ, თაიგულივით გაშლილ ატმის ხის ყვავილებსა და რტოებში. ეს არის პოეტური ნათელხილვა ნაზი სატრფოსი და მაღალი ოცნებისა, სიხარულისა და მწუხარების პოლუსთა მწვავე ჭიდილი:

ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში;
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი
და გრძნობათ ალი. სიმწუხარეში.
ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღტურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი.

(„ატმის ყვავილები“)

ათი სტროფისაგან შემდგარი ეს შედევრი, შინაგანი რითმე-

ბით ამღერებული მელოდია და ქართული ლექსის თეორიისა-
თვის საუკეთესო ნიმუშია.

გარდასულ დროთა გმირების აჩრდილებს ინახავენ ის
თვალწარმტაცი მიდამოები, სადაც

შემოდგომამ ყველაფერი
შესძრა ხელშეუხები —
წკრიალებენ, გრიალებენ,
მჭუხარებენ მუხები!

აქ ცოცხლდება ქართველი ხალხის მებრძოლი სულის უბადლო სიმბოლო — მარაბდელი ოძელაშვილი და კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს გასული საუკუნის ქართველების შემართებას დუხჭირი ბედის წინაშე:

„მუხებს ჩოხათ საქილეში
ჩაუწყვიათ რკოები,
აქ არსენას ნაბდის გაშლას
გრძნობენ მიდამოები.
(VIII ტ.)

საქართველოში ვის არ უნახავს სიცოცხლის ხისა და ციურ მნათობთა, ფანტასტიკურ ცხოველთა, ცისკენ აპყრობილი ადამიანის ხელებისა და ფრთა-ვაზების განმასახიერებელი ჩუქურთმებით მოხატული კარი ან დედა-ბოძი — ძველი საცხოვრებელი სახლების დარბაზთა საყრდენი სვეტი, ოჯახის წმიდათა წმიდა, წარმართობის დროინდელი სიმბოლოებით გრავირებული! რამდენ მამაპაპურ კარგ ზნე-ტრადიციას აგონებს პოეტს ბუხრის შუქზე ალიცლიცებული ასეთი გამოსახულებანი,

ფიქრიანი ცეცხლის ფრთიან ალზე ამოძრავებული და ამეტყველებული ამოკვეთილობანი:

ნაკვერცხლებო, თქვენც ზიარის
მოგონებით ენთებით —
სიცოცხლის ხის, ნათელ მთვარის
და მზის ორნამენტებით.

თქვენ დაგცქერით მოსახება
ვაზის ნელი სირმების,
და მედგარი დაჯახება
ჯიხვების და ირმების...

მსურს შევაღო სახლის კარი
და უეცრად დავდექი:
ო, ეს კარი კი არ არის,
ცისკრისაა დამდეგი!

თითქო ნაბდიანი მეგრი
ორნამენტად ეგება,
„მობრძანდიო“ — მისი ეგრე
მესმის შემოგებება.

და იღება ხმებიანი
ჰანგით თანამოგვარე,
კარი ჩუქურთმებიანი,
კარი სტუმართმოყვარე.
(„ბუხართან“)

ასეთ ასოციაციებს იწვევს პოეტში ხის ფიცრებით შეთხზულ კარზე ამოტვიფრული ძველქართველთა რწმენის ემბლემები, ხეთა ხანგრძლივი სიცოცხლე და ძალმოსილება.

გალაკტიონის ლექსში „მუხა“ (1914 წ.) ერთხელ კიდევ იღვიძებს ხალხური სიმღერა „მუმლი მუხასა“ და ბაჩანას „მუხა“—დეკაცურად მსუნთქავი და სტიქიასთან მებრძოლი კუნთოვანი რაინდი, რომელიც პირველი ეგებება ქვეყანაზე მოგლენილ ყველა დარტყმას, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით დაღლილი და დაბერებული ამაყად ეგებება სიკვდილის ულმობელ ცელს:

მუხა პირველი იგრძნობს ალიონს
და პირველ სალამს განთიადისას,
ამაყად დასცქერს მთას კავკასიონს,
მეფურ დუმილით დაჰყურებს მიწას.

მუხა პირველი მეხს ეგებება,
შეუშფოთებელ და მძლავრ რტოებით,
შეუშფოთებლად და მძლავრად კვდება,
ველზე მდგომარე განმარტოებით.
(„მუხა“).

პოეტი ეალერსება ქარის იმ სუნთქვასაც კი, რომელიც „ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის“, რადგან ტევრი „უშორეს ზღაპართა“, სიზმართა და ტკბილ ოცნებათა ამშლელი წიაღია, გარდასული სიჭაბუკის მოგონებათა მყუდრო სავანე:

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა.
დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა,
მე პაჟი ვიყავ, ის კი — პრინცესა.
(„ვერხვები“).

ცაცხვები და ჭადრები, ვერხვები და მუხნარი ხიბლავდა მგოსნის თვალსა და გულს გოლიათური იერით, ხეთა სახელები ზურმუხტის თვლებივით კამკამებენ მის ლექსებში: „წამყე ბეთანიისაკენ“, „დასძინებია ალერსიან ბაღს“, „ალვები თოვლში“, „შემოდგომის დღე“, „ტყის პირად“, „გაზაფხულია“, პოემაში „სინათლის ყვავილი“...

განა ლექსს სიკვდილი
დასძლევს? პირიქით!
ცა, მიწა სავსეა
მარადი ლირიკით.

ალვის ხე, მუხა თუ
„ლარიქს სიბირიკა“ —
ეს არის ლირიკა
და მხოლოდ ლირიკა,
(VIII ტ.)

მღეროდა პოეტი.

არ ვიცი, აღმოჩნდა თუ არა გულისხმიერი და მკლავდალოცვილი ქართველი, რომელსაც შეეძლო წყნეთში „იფნის შოლტივით მოქნეული გზა“ ოდნავ მოერკალა და ჩვენი სასახელო პოეტის მითითებული „ძველი დაბურული ხუჭუჭა ხეები“ გადაერჩინა... ერთი კი აშკარაა! — გალაკტიონი ისევე გზნებით უმღეროდა ხეებს, როგორც მათს მასაზრდოებელ ძუძუმკერდს, საქართველოს მიწას.

ლექსი „მერი“

მასწავლებელმა ქალებმა მთხოვეს, გამეგო „მერის“ ისტორია, — შეეხებოდა თუ არა გალაკტიონის ეს ლექსი რეალურ პიროვნებას.

უხერხულად მივიჩნიე მეკითხა პოეტისათვის. რადგან იმ ბანებში ყოველდღე მოდიოდა ჩვენსას და დიდხნობით მუშაობდა წიგნზე მამაჩემთან ერთად, ამიტომ მამაჩემს ვთხოვე ამ საკითხის გამორკვევა.

ერთხელ შესვენების დროს, როდესაც ყველანი შინ ვიყავით, მამაჩემმა ჰკითხა ზემოხსენებული ლექსის გამო.

პოეტმა განმარტა:

— საერთოდ, სატრფიალო ლექსებში იდეალური ქალი მყავს ხოლმე წარმოდგენილი. ჩემთვის რეალური მერი არ არსებობდა!...

— ხომ არ არის თქვენი ეგ ლექსი გამოხმაურება „მერის“ იმ კულტისა, რომელიც ბაირონმა და შელიმ წამოიწყეს, პუშკინმა განაგრძო.. შემდეგ „მერი“ და „მარი“ ენაცვლებოდა ერთმანეთს ბევრის პოეზიაში, გ. ერისთავის ჩათვლით, და რომელიც ბოლოს XX საუკუნის პოეზიამ გააიდეალა?

— დიახ, რა თქმა უნდა, ასე გახლდათ სწორედ.

აი, მერი ჯვარს იწერდა სხვაზე. ლექსის ლირიკული გმირისათვის კი ის ღამე „მწუხარე იყო, ვით შემოდგომა“. სანთელივით გაფითრებული მერის სახე ათქმევინებს შეყვარებულ ჭაბუკს:

მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს...
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონემიხდილი მივაწექ კედელს,

გალაკტიონმა ასე წარმოადგინა ქართულ ნაბადში გახვეული სასოწარკვეთილი გმირი, რომლის განცდას თვით ბუნებაც იზიარებდა და ეხმაურებოდა:

ასე მწუხარედ ვიდექი დიდხანს,
და ჩემ წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე — ვინ იცის?! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

ლექსის ფინალში ხდება მკვეთრი გაიგივება ლირიკულ გმირსა და ავტორს შორის. ისე მძაფრად განიცდის პოეტი სატრფოს სამუდამოდ დაკარგვას, რომ თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის განვლილი დღეები ამაო შრომად მიაჩნია და მის ღრმა კაეშანში გამოკრთის გამოძახილი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ისეთი დიდი ტრაგიკული ციკლისა, როგორიც არის შექსპირიადა:

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?

ან „გურიის მთებს“ რისთვის ვმღეროდი
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“?
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
მწყდებოდნენ როგორც მწყდებოდა გული
და... მე ავტირდი, ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული...

ასეთი ემოციით სუნთქავს ლექსი „მერი“, რომელიც ერთგვარ დასაწყისს წარმოადგენს იმ ციკლისა, რომელშიც შედის ლექსები: „გახსოვს?“, „მერის თვალებით“, „გზადაგზა“, „ო, დღეს შემოდგომაა“, „არდაბრუნება“, „ეს იყო ოქტომბრის ღამე“, „შენ ზღვის პირად“ და სხვ.

ეს ლექსები სხვადასხვა დროსაა დაწერილი და ყველაში მერის სახე წარმოდგენილია, როგორც უმწიკვლო, ჰაეროვანი მუზის, იდეალური ქალის განზოგადებული რომანტიკული გაგება.

* * *

— არც ერთ მერის არ ვიცნობდი არასდროს... არც მომწონებია. გოგი, თუ შენი მეორე შვილი გოგონა იქნება, მერი დაარქვი ჩემ მოსაგონრად, — სიცილით მითხრა იმ დღეს გალაკტიონმა.

— რატომაც არა?! მშვენიერი სახელია!

იმ დღიდან ორი წლის შემდეგ დიდი პოეტის მუხლზე დასკუპული ჩვენი პატარა მერიკო თითებით წვერს უვარცხნიდა და მხიარულად ტიტინებდა.

დიდ პოეტთან

1956 წლის იანვარ-თებერვალში გალაკტიონი ხშირად ავადმყოფობდა. იწვა, მაგრამ მაინც „მეცადინეობდა“, წერდა, კითხულობდა.

დილის საათებში ვინახულებდი და ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებს და ხელნაწერებს.

ერთხელ ჩაის ვსვამდით, იქვე, პოეტის საწოლთან, მაგიდობას წიგნებით დატვირთული სკამი გვიწევდა.

გალაკტიონმა ორი ფურცელი მომაწოდა. მანიშნა, წაიკითხეო. ერთი ლექსი ვაზის ერთ-ერთი ქართული ჯიშის ხოტბას წარმოადგენდა. ჩანაფიქრი ფრიად ორიგინალური იყო. აღტაცება გამოვთქვი.

გალაკტიონს თვალები აუციაგდა — მეორეც წაიკითხე — მითხრა წყნარად.

მეორე ლექსში აღწერილი იყო მცხეთის პეიზაჟი. იქ მტკვარი და არაგვი დებად იყო განსახიერებული.

მაგრამ შემდეგ გაახსენდა ლერმონტოვის „მწირიდან“:

«Там, где сливаяся шумят
Обнявшись будто две сестры,
Струи Арагвы и Куры».

ჩაიცინა. ხელნაწერი გამომართვა და რამდენიმე სტრიქონი გადახაზა.

* * *

თებერვლის ბოლო რიცხვებში გალაკტიონი მოკეთდა, მაგრამ სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. ერთხელ მე და მამაჩემი

მთელ საღამოს ვიყავით მასთან. ვისაუბრეთ ლიტერატურის საკითხებზე. შემდეგ ტიციან ტაბიძის ახალგამოსული წიგნიდან წავიკითხე რამდენიმე ლექსი.

— ტიციანის საუკეთესო ლექსები არ შეუტანიათ ამ კრებულში. აფსუს! — სინანულით თქვა პოეტმა და თავისი ბიძაშვილის, ტიციანის რამდენიმე ლექსი დაასახელა. აი, ესენი უნდა დაებეჭდათო.

— თუ დაგრჩა რამე ტიციანის ნაწერებიდან ხელნაწერის სახით? — შეეკითხა მამაჩემი.

— პირადი წერილები დამრჩა. ბევრი მათგანი ძალიან საინტერესოა. სოფელში უნდა მქონდეს შენახული, ასე მახსოვს. აი, წავიდეთ სამივენი ჩემთან სოფელში და წავიკითხოთ. იქ სხვა მასალებიც მეგულება, გადავხედოთ ოდესმე.

ბოლოს გალაკტიონმა წაგვიკითხა დიდი ნაწყვეტები თავის ახალი პოემიდან „მშვიდობის წიგნი“.

პოემის თემაა მშვიდობის წიგნის ძებნა. პოემის მთავარი მოქმედი პირი, დაბრკოლებებთან ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ, პოულობს დაკარგულ ლეგენდარულ წიგნს და უბრუნებს ხალხს.

ეს იყო მოვარდნილი ქარიშხალივით ბობოქარი ნაწარმოები, პოეტური სახეების უნაპირო ზღვა.

კედელზე, ეკატერინე გაბაშვილის სურათს ზემოთ, ხელნაწერის ფოტოგრაფია შევნიშნე.

— ეს რა არის, ძველებურ სიგელს რომ ჰგავს? — ვკითხე გალაკტიონს.

პოეტი წამოდგა. ჩამოხსნა კედლიდან ფოტოქაღალდი და ღიმილით აგვიხსნა:

— დიახ, ეს სიგელია ჩემი წინაპრებისათვის მიწების ბოძების შესახებ.

— ტაბიძეები აზნაურები იყავით, გალაკტიონ? — შეეკითხა მამაჩემი.

— არა, ჩემო ბენო, პირიქით, უღარიბესი გლეხები ვყოფილვართ. იმდენად ღარიბები ვყოფილვართ, რომ იმერეთის მეფეს შევცოდებივართ და ერთგული სამსახურისათვის მიწები უბოძებია. მოდი, წაგვიკითხოს გოგიმ.

ტექსტი წარმოადგენდა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის სიგელს, მიცემულს, ტაბიძეებისათვის, რომელიღაც ადგილიდან დაწყებული მდინარე რიონამდე მიწების ბოძების შესახებ. გუჯარი დადასტურებული იყო შვიდიოდე ხელმოწერითა და ბეჭდებით.

— ეს მიწები დაახლოებით უდრის ტერიტორიას აქედან (ე. ი. გალაკტიონის ბინიდან, — გ. ჩ.) კარლ მარქსის ხიდამდე, მაგრამ შიგ ბევრგან რიყეა და სახნავ-სათესად არ ვარგოდა, — ღიმილით თქვა პოეტმა — ეს სიგელი ჩემმა სახლიკაცმა ბესარიონ ტაბიძემ, ცენტრალური არქივის ფოტო-კინო განყოფილების უფროსმა, გადაიღო და სახსოვრად გამომიგზავნა.

გვიან ღამით წამოვედით ტაბიძეების სახლიდან.

* * *

11 მარტს, საღამოს გალაკტიონი შემოვიდა ჩვენთან და დიდი სითბო და ბუმბერაზული მხნეობა შემოიტანა. — ჩემს უძვირფასეს ძმას, ბენოს, გაუმარჯოს! — შესძახა მეორე ოთახიდან გამოსულ მამაჩემს.

ცალ ხელში ქუდს ატრიალებდა, მეორეში — წიგნს.

სათითაოდ მოიკითხა ოჯახის წევრები და ყველას მიეალერსა.

— ერთი შეხედეთ, რა დიდი და მეტყველი შუბლი აქვს ამ ბავშვს! — აღტაცებით სთქვა ჩემს პატარა ქეთინოზე, სათუთად მიეფერა და თავისი თბილი მზერით გადმოგვხედა.

პოეტი მხნედ გამოიყურებოდა. ჯანმრთელი კაცის ფერი ჰქონდა.

— თვითეული კარგი ქართველი ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის ძვირფასია. მით უმეტეს შენ, ქართველი ერის სიამაყე, ძალიან უნდა გაუფრთხილდე თავს, ჩემო გალაკტიონ, — ეუბნებოდა მამაჩემი პოეტს.

საწერი მაგიდის გარშემო დავსხედით. გალაკტიონმა თავისი მოტანილი წიგნი, ალ. აბაშელის ახალგამოცემული ლექსები, გადაფურცლა და წაკითხვა მთხოვა.

ხალისით წავიკითხე მინიშნებული ლექსები, მათ შორის, ერთი მიძღვნილი გალაკტიონისადმი, რომელიც ასე იწყება:

შენ ჩონგური გაამდიდრე
ახალ სიმთა რხევით,
ახალი ხმა დაამკვიდრე
და ასწიე ზევით.

გალაკტიონი ჩემკენ გადმოიხარა და... ამ სტროფის ქვეშ მთრთოლვარე ცერის ფრჩხილით განახაზი დღესაც დიდი სიცოცხლის სუნთქვასავით გამოკრთის.

კითხვა არ შემიწყვეტია:

... ხან შესცქერი ღამეს უჩვევს
და მთაწმიდის მთვარეს,

ხან პარიზის ხედავ ქუჩებს,
აღებ ლუვრის კარებს.

ხან იღვრება ჩუმ დაისში,
როგორც სუნთქვა წყნარი,
წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალი ქარი' ...

ბოლოს გამომართვა წიგნი და თავფურცელს სამახსოვრო წარწერა გაუკეთა.

— ეს წიგნი თქვენი იყოს! — თქვა ბოლოს გალაკტიონმა და მომიბრუნდა, — ახლა კი, შენი ახალი ლექსები წავიკითხოთ...

ჩინებული ახსნა-განმარტება იცოდა. ხავერდოვანი შთაგონებული ხმა ჰქონდა და თავისებური სინტაქსით მეტყველებდა. სწორედ ამიტომ მისი ნათქვამი ფრთაშესხმული ლექსის დარად დიდხანს სიტყვა-სიტყვით რჩებოდა მსმენელის მეხსიერებაში.

ნაწარმოების კითხვის დროს „მიკროსკოპულ" ნიუანსებსაც კი გრძნობდა. უამრავ ანალოგიურ მაგალითს გაიხსენებდა და პარალელებს გაატარებდა. გარდა ყველა სხვა მადლისა, ამ კაცში იყო მომავალი თაობის აღზრდის დაუშრეტელი წყურვილი, დაუღალავად მჩქეფარე პედაგოგიური სული.

ერთ საათს „ვიმეცადინეთ" ასე იმ საღამოს.

მუშაობა სტუმრებმა შეგვაწყვეტინეს. ორი ჩემი მეგობარი მეწვია: ინჟინერი გ. ზოზიაშვილი და სტუდენტი ჯ. ღუდუ-

შაური: მოჰყვნენ და იმდენი ახალი ამბები გვიამბეს, რომ კარგა ხანს ყურადღებით ვუსმენდით.

გალაკტიონმა გატაცებით ისაუბრა ახალგაზრდებთან. ხშირად წამოიჭრებოდა სკამიდან და ოთახში ბოლთას სცემდა, ისევ დაჯდებოდა. ხელებს შლიდა და ცეცხლიანი თვალებით უხსნიდა, შთააგონებდა, ეკამათებოდა და ეთანხმებოდა მათ. თავისი შეუდარებელი უბრალოებით ათამამებდა ჭაბუკებს, მაგრამ მსჯელობის „ლოტბარობას“ ბოლომდე ინარჩუნებდა.

ინჟინერი ჩქარა წავიდა.

ჩაის მივუსხედით, ღუდუშაურმა ისე ენამადლიანად გვიამბო სტუდენტური ცხოვრების ეპიზოდები, რომ გალაკტიონს თვალზე ცრემლი მოერია.

— შენ... შენ პოეტი ყოფილხარ, ბიძიკო! — უთხრა ჭაბუკს აღელვებულმა და შუბლზე აკოცა.

ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც მე და ჯიმშერმა გალაკტიონი „დინამოს“ სტადიონამდე მივაცილეთ, ტროლეიბუსის მოლოდინში ორიოდე ანეკდოტი ვთქვით, რაღაც წავიღიღინეთ და მოწყენით გავხედეთ ღამის ბურუსში ჩაჩუმებულ ქუჩას, რომელსაც უნიათოდ ანათებდა მოახლოებული ლიფლიფების შუქი.

* * *

თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე რომ დიდი სახლებია, საიუველირო მაღაზიის პირდაპირ, მესამე სართულზე კეთილმოწყობილ ბინაში გალაკტიონს მეორე სამუშაო კაბინეტი ჰქონდა. იქ იდგა ჩუქურთმებით დამშვენებული ავეჯი: შავი

ხის დიდი საწერი მაგიდა, ისეთივე კარადა, რბილი სავარძლები, ტელეფონი...

აქ მუშაობდა ამ სტრიქონების ავტორი გალაკტიონის ხელნაწერებზე. ერთი სიტყვით, ვასრულებდი ლიტერატურული მდივნის მოვალეობას. ოფიციალურ პირებთან საუბარში პოეტი თავის მდივანს ან თანამშრომელს მიწოდებდა.

გალაკტიონს იმდენად უყვარდა ლიტერატურაზე საუბარი, რომ გვიან ღამემდე არ დაიძინებდა, მწერლებისა და წიგნების შესახებ ლაპარაკობდა და პაექრობდა მახლობლებთან. იგი ყველა შემოქმედზე და ნაწარმოებზე მოხდენილად მსჯელობდა და დიდი დამაჯერებლობითა და ცოდნით აშუქებდა თავის შეხედულებას ხელოვნების რომელიმე ნიმუშის შესახებ.

XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსებიდან განსაკუთრებით უყვარდა აკაკი და ვაჟა. მის არქივში ერთი სურათიც კი იყო (კარგახანს კედლებზეც ეკიდა) უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული: აკაკის პროფილის სილუეტზე დახატულია გალაკტიონის სახე პროფილში.

თანამედროვე ქართული ბელეტრისტებიდან განსაკუთრებით მოსწონდა კონსტანტინე გამსახურდია.

— ეგ კაცი მარტო მწერალი კი არა, ნამდვილი პოეტია! მისი ნაწერების კითხვა ხშირად ახალ ლექსს შთამაგონებს, განწყობილებას მიქმნის.

— რომელი უფრო მოგწონთ მისი თხზულებებიდან?

— „დიდოსტატის მარჯვენა“. მაგ წიგნში არის სწორედ ის, რაც ესოდენ საჭიროა ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის. მე მინდა ვთქვა, რომ ნამდვილი ხელოვნება არაფრისგან რაიმეს

შექმნაა და როდესაც მხოლოდ სვეტიცხოვლის კედლის ბარელიეფმა, არსუკისძის მკლავმა და მცირე წარწერამ[1], მწერლის ფანტაზიაში საქართველოს მეათე საუკუნის მთელი ისტორია გააცოცხლა, ეს არის შემოქმედის გამარჯვება... მატიანეებში ვრცლად აღწერილი გმირების შესახებ (იქნება ეს ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი თუ თამარ მეფე), კიდევ ბევრს დაწერს ჩვენი შთამომავლობა, რომელიც, ცხადია, ეცდება აჯობოს ახლანდელ მწერლობას. მაგრამ უკეთესი რომანის შექმნა ხუროთმოძღვარ არსუკისძეზე, რომლის სახელი და ცხოვრება მხოლოდ კედლის ლაკონიურმა წარწერამ და ლეგენდარულ ბურუსში გახვეულმა ოთხტაეპიანმა ხალხურმა ლექსმა[2] შემოინახა, არა მგონია, მომავალშიც ვინმემ იკისროს და შესძლოს.

მეოცე საუკუნის ქართველი მწერლებიდან გალაკტიონი ხშირად ახსენებდა აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც დიდ ბელეტრისტსა და ჭაბუკობის წლების პირად მეგობარს.

ქართველი მხატვრებიდან ლადო გუდიაშვილი ხიბლავდა. მახსოვს, მისი დიდი სიხარული, როდესაც ლ. გუდიაშვილის საიუბილეო გამოფენა გაიხსნა. ინტერესით კითხულობდა პრესაში დიდი ქართველი მხატვრის გამარჯვებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გალაკტიონი კარგად იცნობდა კლასიკოს მხატვართა შემოქმედებას და „თავისთვის" თვითონაც ხატავდა. მის ხელნაწერებში ხშირია ჩანახატები: ადამიან-

---

[1] იგულ. „ხელი მონისა არსუკისძისაი, რათა შეუნდოთ".

[2] „ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია"... და სხვ.

თა სახეები, პეიზაჟი თუ ფანტასტიკური საგნები. ყველა ესენი ფანქრით ან კალმითაა შესრულებული და მეტად ორიგინალურ ხასიათს ატარებს.

პოეტს ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული მხატვრობის შესახებ და პატივს სცემდა ისეთ მწერალთა სახელებს, რომლებიც ამ თემაზე წერდნენ. მაგონდება, ერთ საღამოს ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ და „სიცრუის დაცემა“, ფოიჰტვანგერის „გოია“ და კიდევ რამდენიმე ამგვარი ნაწარმოები იყო მისი საუბრის თემა...

* * *

ზემოხსენებულ კაბინეტში ორ მეგობარს ვესაუბრებოდი, როდესაც მეწვია ლალი მჟავია და ლექსი გადმომცა.

ეს „ლურჯა ცხენებია“, ინგლისურად თარგმნა მხატვარმა ვახტანგ ერისთავმა. მას გალაკტიონის კიდევ რამდენიმე ლექსი აქვს თარგმნილი, სასურველია, პატივცემულმა გალაკტიონმა ეს თარგმანებიც ნახოსო...

ქალიშვილი მალე წავიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გალაკტიონი მობრძანდა. მხიარულად მოგვესალმა და სავარძელში ჩაჯდა.

ვისარგებლეთ მომენტით და „ლურჯა ცხენების“ ინგლისური ტექსტი ხმამაღლა წავაკითხეთ ერთ-ერთ მეგობარს გ. ჯაბაშვილს. გალაკტიონი, მხატვარი გ. კასრაძე და მე ვუსმენდით ლექსის განმარტებას. ორ-სამჯერ ტაეპები ქართულს შევადა-

რეთ. აშკარად ჩანდა შინაგანი რითმები. თარგმანის მაღალ-ჟღერადობა და ხარისხოვნება. გახარებული გალაკტიონი ათრთოლებული ხმით ამბობდა:

— როგორც კი საშუალება მომეცემა, პრესაში გამოვაცხადებ, რომ ჩემს ლექსებს ჰყავს კიდევ ერთი ნიჭიერი და მოსიყვარულე მთარგმნელი ვახტანგ ერისთავი, — შემდეგ მომიბრუნდა, — ეგ კაცი აუცილებლად უნდა ვნახოთ, ახლოს გავიცნოთ და ვესაუბროთ.

რასაკვირველია, დავეთანხმე და იმ დღის შემდეგ ხშირად შემიხსენებია მისთვის მხატვარ ერისთავის გაცნობა, მაგრამ ყოველთვის ან გამოსაცემ წიგნზე შრომა, ან მოგზაურობა, ან ახალი სამუშაო აფერხებდა იმ სასურველ შეხვედრას და მთარგმნელი-მხატვრის „პრესაში გამოცხადებას", რასაც დღეს სიამოვნებით ვკისრულობ, როგორც დიდი პოეტის ნაანდერძევს.

კარგად მახსოვს, ვ. ერისთავის ხელნაწერი გალაკტიონმა ცალკე საქაღალდეში შეინახა იმედით, რომ ახლო მომავალში შექსპირისა და ბაირონის ენაზეც აელვარდებოდა მისი კიდევ რამდენიმე ლექსი.

პოეტი წამოდგა. გაიარ-გამოიარა ოთახში. საწერი მაგიდის ის უჯრა, სადაც ჩემი ხელნაწერები ელაგა, ნახევრად გამოაღო და ღიმილით მკითხა:

— აქ რა გაქვს ახალი?

ფანქრით ნაწერი ფურცლები გავუწოდე.

გალაკტიონმა ხმამაღლა წაიკითხა მხიარულ ტონში დაწერილი ლექსი „აფიშების გამკვრელის სიმღერა" და სიცილით თქვა:

— ყმაწვილებო, წინათ აფიშების გამკვრელები მეტად კოლორიტული ხალხი იყო. ქუთაისში ორი ცნობილი მეაფიშე გახლდათ: შუხა და არტემა. ჰო-და, ერთხელ, 1914—16 წლებში გაიმართა შალვა შარაშიძის (თაგუნას) ლექსების კითხვის საღამო. წაიკითხა და წაიკითხა შალვამ თავისი ლექსები. შემდეგ არტისტები გამოვიდნენ. როდესაც რეპერტუარი ამოეწურათ, ისევ შალვა გამოვიდა სცენაზე და იხუმრა:

„ახლა რა ვიმღეროთ,
შემოგვაკლდა ტემა,
მოდი და ვამღეროთ
შუხა და არტემა!“

ამაზე დარბაზში დიდი სიცილი ატყდა. შუხამ და არტემამ კი „უკვდავება მოიპოვეს“ პოეზიაში.

გალაკტიონი ჩაფიქრდა. ხელნაწერი ხელში შეატრიალა და მოგონებებში ჩაძირულმა თვალების მილულვით სთქვა:

— ბედნიერებაა პოეტისათვის პრესაში გადადგმული პირველი ნაბიჯები... მახსოვს, ჩემი პირველი ლექსი „ღრუბელი“[1] რედაქტორმა ლადო დარჩიაშვილმა დამიბეჭდა 1908 წელს თავის ჟურნალში „ახალი კვალი“. ახლაც მახსოვს, სიხარულით ფრთები შემესხა... ენერგია შემემატა... სულ სხვა გავხდი!

შემდეგ ყურადღება შეაჩერა იუმორისტულ ლექსზე, სადაც

---

[1] ხოლო 1960 წ. მწერლების კავშირში მოწყობილ გ. ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ერთმა ორატორმა განაცხადა: გალაკტიონის პირველი ლექსი ჟურნალ „ფასკუნჯში“ დაიბეჭდაო, მეორემ კი ჟურნალი „ნიშადური“ დაასახელა.

პარიკების გამკეთებელზე იყო ლაპარაკი. ისევ გაიცინა და სთქვა:

— ამას, ალბათ, პარიკმახერები დაიტაცებენ! ეჰ, რარიგ არ მოვწონვარ დალაქებს! მე ხომ წვერს არ ვიპარსავ...

ლექსების საერთო სათაურს დახედა და დინჯად წაიკითხა:

— „ბოგირბანის მუშები". რა არის ბოგირბანი?

— Подмостки сцены, — ვუპასუხე მე, — ქართულში ეს სიტყვა შემოიტანა ერთმა ჟურნალისტმა.

გალაკტიონმა რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვა, რომ მეხსიერებაში ჩაეწერა.

— როდის დაიწყებ ჩემი პორტრეტის ხატვას? — მოულოდნელად მიმართა პოეტმა გივის.

— როდესაც მოიცლით. გოგი შემატყობინებს და... — მიუგო მხატვარმა, რომელიც ყოველ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა გალაკტიონის გარეგნობას და მისი სახის ნაკვთებს.

— აქამდე ვერ მოვიცალე... და ვერ შეგისრულე პირობა. დღეში თითო საათი რომ დაგიჯდე, საკმარისი იქნება?

— სავსებით. ბატონო გალაკტიონ, როდესაც მე ვიმუშავებ თქვენ შეგიძლიათ წეროთ ან იკითხოთ. მხატვრებს ხომ ჩუმი სამუშაო გვაქვს. ხელს არ შეგიშლით.

— მაშინ ხვალ ან ზეგ ჩემს ბინაში დაგიბარებთ, — თქვა პოეტმა. შემდეგ კი თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ალექსანდრე ბლოკის ცნობილი ლექსიდან:

«О, я хочу безумно жить:
Все сущее увековечить

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაზე საუბარში აღმოჩნდა. რომ გალაკტიონს კარგად არ ახსოვდა ლადო ასათიანის ლექსები... და ერთ საღამოს წყნარად, ყოველგვარი პათოსის გარეშე, ჩუმი ხმით ვკითხულობდი ასათიანის ლექსებს.

გალაკტიონი სავარძელში ჩაწოლილი მისმენდა, ტუჩთან მიტანილი მსხვილი ფანქრის ბოლო ოდნავ თრთოდა, იქ მეორდებოდა გაგონილი ლექსის რიტმი. დროდადრო შემაწყვეტინებდა და ხმამაღლა იმეორებდა:

რა ქართველი ხარ და რა ჯაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, —
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს...

ან კიდევ:

„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.

მეორე დღეს გალაკტიონი დღისით მოვიდა, ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა:

— ლადოს ლექსია. იმ დალოცვილს ჩემზეც დაუწერია, მაგრამ დღემდე მის კრებულებში არ შეუტანიათ. ამ დილით ჩვენს მწერლებთან ვაქებდი ასათიანის ლექსებს, ერთმა ახალგაზრდამ იქვე დამიწერა და მომართვა. თუ ძმა ხარ, შენ რომ იცი, იმ პაპკაში ჩადე... ძალიან მომწონს.

დაკვირვებით წავიკითხე ლექსი:

„გალაკტიონს“![1]

საქართველოში შენს გარდა მგოსანს
დღეს ქების შაირს არ ვეტყვი, არა,
შენა ხარ ლექსის მეორედ მოსვლა,
და, რომ არ გითხრა, ივარგებს განა?! და სხვ.
1939 წ.

დიდი ქართველი პოეტი ლადო ასათიანი ამ ლექსში მოხდენილად ძერწავს გალაკტიონის ხასიათს, მის პორტრეტს.

* * *

— ეს ბავშვი არასოდეს არ გახდება პოეტი! — წამოიძახა გალაკტიონმა, დივანიდან წამოდგა, მაგიდაზე გაზეთი დამიდო და ლექსზე მიმითითა:

— არა, გენაცვა, ლექსი, რომელსაც ერთი წაკითხვით გაიგებ, არ ვარგა. უნდა რჩებოდეს მასში ჩასაფიქრებელი და ამოსაცნობი აზრი... თუ დამიჯერებ, „მესაფლავე“ ახალგაზრდობაში დავწერე, თორემ ახლა არაფრად მიმაჩნია, რადგან იქ, ჯერ ერთი, ახალი არაფერია ნათქვამი... ფორმა პრიმიტიულია და ამოსაცნობიც არაფერი რჩება.

— თქვენ ეს წინათაც გითქვამთ, მაგრამ ეს ლექსი საზოგადოებას მოსწონს.

— საზოგადოებას ბესო ჟღენტმა აუხსნა პირველად, რომ

---

[1] ამჟამად ეს ლექსი შეტანილია ლ. ასათიანის კრებულში „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, 1959 წ.

ჩემს ადრინდელ ლექსებში ქვეტექსტების სახით პატრიოტიზმი და რევოლუციური სულისკვეთებაა მოცემული, თორემ... კრიტიკოსებს გააზრების თავი არ ებათ და მაშინათვე სიმბოლისტობას მომაწერდნენ, — ასე ატყუებდნენ საზოგადოებას, — გაცხარდა გალაკტიონი და შემდეგ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მის ლექსებში არ არის სიკვდილისა და ჭლექის აპოლოგია, თვითმკვლელობის აგიტაცია, ლოთობისა და სიმახინჯის კულტი — ეს სიმბოლიზმის ძირითადი და მუდმივი თანამგზავრები.

გალაკტიონმა ნერვიულად გაიარ-გამოიარა ოთახში, შემდეგ ისევ აიღო გაზეთი და ახლა მეორე ლექსი წამაკითხა.

წარბები შევჭმუსნე.

— ხომ ხედავ... ხომ გესმის? ამის ავტორს ზომიერების გრძნობა არა აქვს.

მაგრამ თუ ვისიმე ლექსი მოეწონებოდა, თუ შიგ პოეტური სულის ნაპერწკალს წააწყდებოდა, მთელ სხეულში აღტაცების ჟრუანტელი დაუვლიდა, იმ დღეებში ვინც შეხვდებოდა, ყველას ურჩევდა წაეკითხა, თვითონაც ხშირად წაიბუტბუტებდა მოწონებულ ტაეპებს, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის სტრიქონები — ძველისა თუ ახალის, პრესაში აღიარებულისა თუ ხელნაწერებში ჩაფერფლილი მივიწყებული პოეტისა.

* * *

მივიწყებული პოეტები... ჟამთა ვითარების ქარბორბალამ გარდასული წლების ფერფლი მიაყარა მათ წმიდა სახელებს.

ჩვენი სახელოვანი პოეტები და მწერლები, მეცნიერები და ჟურნალისტები სათუთად აცლიან მტვერს უცნობი პოეტების ხელნაწერებს და თუმც, ცოტა არ იყოს, უტემპოდ, მაგრამ კეთილსინდისიერად ამზეურებენ.

ქართული სიტყვის დიდ მესაიდუმლეს და ჩვენი საუკუნის პოეზიის პულსის განუყრელ ებგურს გალაკტიონს მუდამ თან სდევდა მაღალი იდეა—მოეხადა მოქალაქეობრივი ვალი იმ პოეტების წინაშე, რომლებსაც პირადად იცნობდა და რომელთა სიმღერას დიდი ექო დაეტოვებინა მის მგზნებარე გულში.

— ასი პოეტის სახელი და გვარი ჩამოვწერე, ასი დავიწყებული პოეტის! ყველას პირადად ვიცნობდი. თითქმის ყველა მათგანის თითო ან ორ-ორი ლექსი მახსოვს. ერთხელ დავსხდეთ და ჩავიწეროთ. ზოგს მე დავწერ, ზოგს გიკარნახებ, კარგი? — მითხრა ერთხელ ჩვენსას და დასძინა, — აღდგენა მათი სახელებისა, ვინც ცარიზმის ბნელ დროში პოეტურად ოცნებობდა ხალხის ბედნიერებაზე, წმიდა საქმეა. მოდი, შევადგინოთ მათი ლექსების კრებული, წარვადგინოთ, დავსტამბოთ.

— ალბათ მათ შორის ზოგი დიდი გაქანების ადამიანი იყო! — ჩაერია საუბარში მამაჩემი.

— ვერ წარმოიდგენ, ჩემო ბენო, რა ნიჭიერი იყო ზოგი მათგანი, — უპასუხა გალაკტიონმა, — მაგალითად, ჩემი სკოლის ამხანაგი ქუჩუ ქავთარაძე, ბრწყინვალე განათლებისა და ნიჭის კაცი იყო. სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. მახსოვს, მისი დაკრძალვა მიტინგად გადაიქცა... მე ლექსით გამოვედი იქ[1].

[1] გალაკტიონის სკოლის ამხანაგების გადმოცემით, ეს იყო: „მე დავიბადე განთიადისას".

რამდენიმე დღის შემდეგ მის ლაბორატორიაში ვისხედით (გალაკტიონის მეორე კაბინეტში). მაგიდაზე ქაღალდის თაბახი იდო. აქ გალაკტიონის ხელით ჩამოწერილი სიიდან შორეული ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ საუკუნის მიტოვებულ ბურუსში ჩაძირული ქართველი პოეტების სახელები და გვარები.

მდუმარედ დავცქეროდი ერთ თეთრ ქაღალდზე მოთავსებულ პანთეონს, რომელსაც მიუკარებლად მიჰყვებოდა გალაკტიონის შუათითზე დაყრდნობილი ფანქარი. დიდი მგოსანი გატაცებით მიამბობდა, მაცნობდა სრულიად უცნობ ან ძველ პრესაში ორ-სამჯერ განაელვებ მელექსეთა ვინაობას.

— ეს სათუთი ლირიკოსი იყო... სულ ახალგაზრდა დაიღუპა... ეს გააციმბირეს რევოლუციური ლექსებისათვის... ამას, საწყალს, ბედმა არ გაუმართლა, თორემ დიდი პოეტი გახდებოდა... ამასთან ერთად სემინარიაში ვსწავლობდი, ძალიან გვიყვარდა ყველას... ამან თავი მოიკლა, მძიმე დრო იყო, მძიმე, — ამ სიტყვებთან გალაკტიონი რამდენიმე ტაეპს ამბობდა ხოლმე ხან ერთისა და ხან მეორის ლექსებიდან.

იმ დღეს ვაპირებდით ასი (თუ მეტის!) პოეტის ლექსების აღდგენაზე მუშაობის დაწყებას, მაგრამ... მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა, გალაკტიონი სადღაც მიიწვიეს, ჩვენი ორიგინალური სამუშაო „გრაფიკიდან ამოვარდა“, იმ დღეს მოჰყვა რამდენიმე აფორიაქებული დღე — სხვადასხვა ორგანიზაციებში მოუწყვეს გალაკტიონს შეხვედრები და ბანკეტები. შემდეგ გამომცემლობაში სასწრაფოდ წარსადგენ წიგნზე დაძაბული მუშაობა და ოფიციალურ პირებთან საქმიანი საუბ-

რები, ისევ შეხვედრები და სხვ. მუდამ ცხოვრების რიტმთან ნაბიჯშეწყობილ პოეტს, რომლის ბუნება ჩამორჩენას ვერ ეგუებოდა, აღარ ჰქონდა უკან მოსახედი დრო, რომ ეფიქრა და ეზრუნა წარსულის მოგონებათა აღდგენაზე, ძველი პოეტების მიმქრალი ლექსები აეგიზგიზებინა. ყოველდღიური სიახლე და მომავლის პერსპექტივები ავსებდნენ მის მოუსვენარ არსებას, მისი პოეტური ნათელხილვის ყველა წერტილს.

* * *

და განა ერთი და ორი იდეა აწუხებდა მის მაღალ გონებას!

— მოუსვენრობა დამჩემდა... ბედნიერი კაცი იყო ბაიორონი, მოგზაურობდა... სულის სიმშვიდეს პოულობდა სივრცეთა გადალახვაში. ბოლო დროს ველარ მომისვენია... სიამოვნებით წავიდოდი ინდოეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში... ვნახავდი, დავწერდი და უფრო ხალისიანი დავბრუნდებოდი ჩემს ქვეყანაში — ამბობდა აღელვებული და ბოლთას სცემდა.

მამაჩემმა თავი ასწია წყნარად და ღიმილით უთხრა: — ჯერ ერთი ბაირონი ბედნიერი არ იყო, შენ კი ხარ... ჰო-და, — ვინ გიშლის მოგზაურობას, რა გიშლის?.. წადი, ნახე, გაეცანი, დაწერე!

— ეჰ, რა მიშლის და... რა მიშლის და ჩემი ავადმყოფობა! — ნერვიულად, მაგრამ ხმადაბლა სთქვა გალაკტიონმა.

მამაჩემმა გამხნევება დაუწყო. შეჰყვნენ საუბარს. მე კი დაკეცილ დარაბას მიყრდნობილი ფანჯრიდან მოწყენილად გავცქეროდი ქუჩას და ვფიქრობდი: „რა უხდა ახლა ამ კაცს

ეგვიპტეში? რამდენი წასულა იქ და დაბრუნებულა, მაგრამ რომელმა დაწერა ეგვიპტის თემაზე ისეთი კარგი ლექსები, როგორიცაა:

სარკოფაგიდან დგება მუმია.. რა სიჩუმეა... ჰაერი ლურჯი
აბრეშუმია...
ორხიდეები ეცემა ნილოსს, როს მხურვალება ქვიშაზე კვნესის,
უნდა, რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს რამზესის..
ის იყო მეფე. ახლაა მტვერი, რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს,
არ შეუძლია იყოს პირფერი, არ შეუძლია მტვერი არ იყოს...
და საუკუნეთ რიგს სთვლის მუმია: მზიანი დღეა თუ სამუმია.
(„სასაფლაონი")

ან კიდევ მეტად კოლორიტული „ვარდისფერი საფეხურები", სადაც პირველსავე სტრიქონებში გაისმის ძველი ეგვიპტის უკვდავი ძეგლის გამოძახილი:

აპყვე კიბეებს, სადაც სფინქსი ქვებს ეფერება,
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება

ასე ვფიქრობდი მაშინ. ახლა კი, ვამბობ: მართალი ყოფილა ჩვენი მბცოვანი პოეტი! იგი ოცნებობდა, უფრო მძაფრად აღექვა სურნელება აღმოსავლეთის ზღაპრული ძეგლებისა და ქართულ ენაზეც აემღერებინა ფარაონთა პირამიდების ფონზე მობობოქრე თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების ძლევამოსილი ჰიმნები.

მაგრამ პოეტის ჭაბუკურ შემართებას სუროსავით შემოტმასნოდა ხანდაზმულობა, პერიოდული ავადმყოფობა და ეს ოცნებებიც დაკარგულ პოეტთა აღორძინებაზე ფიქრივით გა-

ნუხორციელებელი რჩებოდა, როგორც ლტოლვა მეზღვაურისა, რომელსაც ერთ დროს ასე უმღერა გალაკტიონმა:

შორს ზურმუხტისფერ სივრცის იქით ნაპირი ჩანდა,
დასასვენებლად მიიწევდა იქ მეზღვაური.
ერთხელ ცა გაწყრა, აირია, გაყინიანდა —
ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურზაური...
და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დაუგვიანდა.
მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს...
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

(„სანთლები“)

— კაცი უნდა წაახალისო, გაამხნევო! ეს ყველას მოვალეობაა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ციცი, ბაბუაჩემს ვუყვარდი ძლიერ, ულვაშზე ხელს გადაისვამდა და იტყოდა ხოლმე:

ყველა კაცი კაცია,
გალა სულ სხვა კაცია.

უკეთესად ვერ გალექსავდა, მაგრამ ამას მაინც ხშირად იტყოდა საწყალი. მახსოვს, სიამაყით ავივსებოდი სულ პატარა ბიჭი... შინაურები ახლაც გალას მეძახიან, ბავშვობიდან მომწონდა ჩემი სახელი „გალაკტიონი“ და აკი ერთხანს ჩემს ლექსებს მხოლოდ სახელს ვაწერდი. ზოგს არ მოეწონა ეს — შოთას, ილიას, აკაკის და ვაჟას ბაძავსო... რა ცუდი პოეტებისათვის მიმიბაძავს?! კაცო, აბა ვის მივბაძო-მეთქი, ვეკითხებოდი. ახლა სახელსაც ვაწერ, გვარსაც, სახალხო პოეტობასაც

— ვითომ ეს უფრო თავმდაბლობაა? ქართველი მკითხველი თავისას მაინც არ იშლის — მხოლოდ სახელით მახსენებს...

ერთხელ მის კაბინეტში რამდენიმე აფიშა ვნახე. ზედ დიდი ასოებით ეწერა: „გალაკტიონოლოგია“. შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა.

— ეს, ხომ გახსოვთ, ჩვენი ბესო ჟღენტის შექმნილი ტერმინია. გზაზე შემხვდა, გადამკოცნა და მითხრა, დადგება დრო და შეიქმნება ლიტერატურის ახალი დარგი — გალაკტიონოლოგიაო. ეს სიტყვები გულწრფელად იყო თქმული. ერთხელ სტამბის მუშებთან გავიხსენე, ერთმა მათგანმა კი დიდ ქაღალდზე დაბეჭდა: „გალაკტიონოლოგია“ და მომართვა.

— კარგი ნათქვამია. ასეთი დარგი მომავალში მართლაც იქნება. ამის საფუძველია ის თეორიული ხასიათის სტატიები და სადისერტაციო ნაშრომები, სადაც შენი პოეზიის გაშუქებაა მოცემული, — უთხრა მამაჩემმა.

გალაკტიონი წამოდგა, ჩვეულებისამებრ გაიარ-გამოიარა ოთახში, წიგნების კარადაზე მიგვითითა:

— თუ აქ ჩემი ლექსების ძველი გამოცემებიცაა, ზოგს ჩემი სახელი სწორად არ აწერია და ახლაც დასანახად მეჯავრება... „კ“-ს მაგივრად „ქ“ დაუბეჭდიათ ჩემს სახელში!

მართლაც, ამ საუბრიდან რამდენიმე ხნის შემდეგ 1953 წ. 1 ნოემბერს სტუდენტებმა უნივერსიტეტში საიუბილეო საღამო გაუმართეს. გალაკტიონის ბინაზე მოვიდა ერთი სტუდენტი და მოსაწვევი ბარათები მოიტანა. ზედ „გალაქტიონი“ ეწერა.

— არ წავალ! — ყრუდ, სინანულით თქვა გალაკტიონმა და შეწყვეტილი მუშაობა განვაგრძეთ, მაგრამ როდესაც შეხ-

ვედრის დრო მოახლოვდა, თავისი მეუღლისა და ჩემი დაჟინებული თხოვნისა და დაყვავების შემდეგ ჩაცმა დაიწყო.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. გალაკტიონმა წაიკითხა ლექსი „განჭვრეტა ოცდაათი წლის“.

* * *

მართლაცდა, სიტყვამტკიცე იყო გალაკტიონი! იტყოდა რამეს და შემდეგ ცხრაკლიტულივით შეუვალი იყო. ეს კაცი როგორც იტყვიან, ბუზსაც არ დაიფრენდა, თუ საქმე მის პიროვნებას ან მის საკუთარ აზრს შეეხებოდა.

ასე მსურს და ასე იქნება! — ამბობდა მისი თვითეული მოძრაობა, მბრძანებლური გამოხედვა თუ სიტყვა და ამას ვერავინ შელახავდა, ვერც მახლობელი და ვერც გარეშე.

საზოგადოებაში სარდლობას იყო მიჩვეული და ეს ჩვეულებრივად მიაჩნდა.

მაგონდება, გალაკტიონმა თავისი მოსაწვევი ბარათი მოუცა და მითხრა:

— შენ წადი. მე პატარა საქმე მაქვს და, ალბათ, დაგვიანებით მივალ!...

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დარბაზში გაიმართა დისკუსია გრ. აბაშიძის „ლაშარელას“ გარშემო. ხალხი დაძაბულად უსმენდა გაცხარებულ კამათს. ტრიბუნაზე ერთ-ერთი ჩვენი მბცოვანი მწერალი იდგა.

მოულოდნელად პრეზიდიუმში შევიდა გალაკტიონი და ფეხაკრეფით მიაშურა სკამს. დარბაზი აშრიალდა.

— გაუმარჯოს გალაკტიონს! — წამოიძახა აუდიტორიიდან ვიღაცამ და საერთო ტაშის გრიალში პოეტი იძულებული გახდა ყოველი მხრისკენ თავაზიანად მისალმებოდა ხალხს.

რომლის ვაშა პრეზიდიუმს და ტრიბუნაზე მდგარ ორატორსაც მოედო.

* * *

ლირიკოსთა ლირიკოსი, პოეტთა მეფე, პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს სახალხო პოეტი — ასე ახსენებდნენ ძველი და ახალი კრიტიკოსები გალაკტიონს, რომელსაც, ცხადია, ეამაყებოდა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და მუდამ ურყევად იდგა ამ პოზიციაზე. მაგრამ პირად ცხოვრებაში მის მრავალწახნაგოვან ხასიათს ახლდა ერთი დიდი და განუყრელი ნიშანი — უბრალოება... უყვარდა, როდესაც ახსენებდნენ მხოლოდ სახელით — გალაკტიონი.

მთელი თბილისი იცნობდა გალაკტიონს, თვითონაც უამრავს იცნობდა პირადად: მწერლებს თუ მეცნიერებს, სტამბის მუშებსა თუ ჟურნალისტებს, არტისტებსა თუ ინჟინრებს, სამხედრო ოფიცრებს, ლიფტის მუშებს, მეპაპიროსეებს, მეყვავილეებს, სტუდენტებს, მოწაფეებს, ექიმებსა თუ მილიციის მუშაკებს, შოფრებსა და ქარხნის მუშებს, აგრონომებსა და სხვ.

უამრავი მოქალაქის ბიოგრაფია იცოდა და ყველა მათგანს სახელითა და გვარით იცნობდა, ხოლო განურჩევლად პროფესიისა აფასებდა მათ პატიოსანი შრომისა და პატრიოტული სულის მიხედვით. იცოდა მათი სევდა-სიხარული და ოჯახური მდგომარეობაც კი.

მაგრამ სტუმრად მისვლა არ უყვარდა. ხშირად იტყოდა:

— სხვის სახლში ყოფნა არ მიყვარს. ჩემი მახლობლებიდან თქვენთან, კორნელი კეკელიძესთან და ფედია ჩუდეცკისთან დავდივარ ხშირად...

განსაკუთრებით ფაქიზად ქალებს ეექცეოდა.

1952 წლის 11 მაისს გალაკტიონი დაესწრო დიდუბის პანთეონში იოსებ იმედაშვილის დაკრძალვას... შემდეგ ტაძრის ეზო დაათვალიერა. უცებ ორმა მანდილოსანმა მიაბრუნეს თავისკენ. გალაკტიონი დიდი სიყვარულით მიესალმა მათ.

— ესენი ჩემი ყრმობის მეგობრებია — გამაცნო უკვე ჭაღარა, მაგრამ ლამაზი დები მარო და ტასო ციციშვილები.

— მაგონდება თქვენი მშვენიერი დაბურული ბაღი. რამდენი კარგი საღამო გამიტარებია იქ! — იგონებდა გალაკტიონი.

ნაცნობ ქალიშვილებს შეხვედრისას შუბლზე აკოცებდა, ხოლო ასაკოვან ქალებს რომ შეხვდებოდა, სამხედრო კაცივით ქუსლს ქუსლზე მიიდგამდა, ქუდს მოიხდიდა, ოდნავ მოიხრებოდა და ხელზე ემთხვეოდა. თავმდაბლად მოიკითხავდა და მოკრძალებით შეუქებდა სილამაზეს (თუნდაც გარეგნულად შეუხედავი ყოფილიყო!). მანდილოსნებთან საუბარში ოჯახის მოყვარული კაცის შეხედულებებს ავლენდა მუდამ და, ამრიგად, ვერც ერთი ქალი ვერ დაიტრაბახებდა გალაკტიონისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

მუდამ გამქირდავად იცინოდა, როცა მოხვდებოდა ისეთი ნაწარმოები, სადაც ავტორები თვითკმაყოფილი პრანჭვით აღწერენ თავიანთ საკუთარ დონჟუანურ ამბებს.

— ნახე, რა დაუწერია ამ უსირცხვილოს! — მითხრა ერთხელ და ვილაცის მემუარებიდან წამიკითხა ვისრამიანული ეპიზოდი, თან ამბობდა: — ეს კაცი იაფფასიანი სახელისათვის ყველაფერზე თანახმაა, მაგისთანებს თავიანთ ცოლებზეც ალაყბებენ ხოლმე ძმაბიჭები და მერე დასცინიან...

გალაკტიონის ფაქიზი ხასიათი ვერ ეგუებოდა უხამსობას. ზოგს არ ეს'მოდა ეს და ცუდად სარგებლობდა მისგან თავის გაყადრებით.

მაგონდება, ერთი დრამატურგი მუდამ ცდილობდა „შინაურულად" შეხვედროდა გალაკტიონს. ხელს პირველი თვითონ გაუწვდიდა, მეორეს მხარზე დაჰკრავდა და რაიმე უახროს იტყოდა ხოლმე ორიგინალურის თქმას მოწყურებული. ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე შეგვხვდა. გალაკტიონს ბეჭებზე დაჰკრა ხელი და მიმართა:

— როგორ ხარ ჩემო გალაკტიონ? ჰა, ხომ ხარ კარგად?!. ერთ ანეგდოტს გიამბობთ. ერთი კაცი მივიდა ექიმთან და... მოყვა რაღაც უკბილო სკაბრეზულ ამბავს, თან ხითხითებდა. გალაკტიონი კი არ უსმენდა და ქუჩას გასცქეროდა. როცა დავშორდით, პოეტმა თქვა: — ვერ ვიტან მაგ ჩიტირეკიას ხითხითს და ნუთუ ვერ გრძნობს!

ვულგარული ყველაფერი სძულდა — ლაყბობაც, სიმღერაც და ტანისამოსიც.

ერთხელ მის კაბინეტში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა და გალაკტიონს ბარათი გადასცა. სანამ პოეტი პასუხს მისცემდა, ჭაბუკი ჩამოჯდა, ბრიოლინით გასლექილ თმებზე ვერცხლის ბეჭდიანი თითები მოითათუნა და ფეხი ფეხზე გადაიდო. სამაჯურის სიგანის შარვლის ტოტებიდან მოჩანდა ჭყეტელა ფერის წინდები, მკერდი ჩაეღეღა.

როდესაც მოსული გალაკტიონმა ჩვეული თავაზიანობით გააცილა, ჯერ ჩაიცინა, მერე ჩაფიქრდა და სთქვა:

— მძულს, როცა მამაკაცი უშნოდ იკლაკნება. ბეჭედი... დეკოლტე... ფუ, რა ვაჟკაცის საქმეა!

გალაკტიონს გასაგონად სძულდა უშვერი სიტყვა. ამ მხრივ მიუკარებელი იყო. თვითონაც არასოდეს იტყოდა რაიმე უხიაგს და სპეტაკი ცნებებით აზროვნებდა და მეტყველებდა.

მუდამ უბრალოდ იცვამდა. შინაურები ამაოდ ცდილობდნენ, რომ პოეტი ელეგანტურად ყოფილიყო ჩაცმული. აჩემებულად უყვარდა ერთი რომელიმე პალტო ან კოსტუმი.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩვეულებრივად ვადარებდით გამოსაცემად გამზადებულ ერთტომეულის ტექსტს, ოთახში ქ-ნი ნინო და ნუნუ შემოვიდნენ და გალაკტიონს ორი ახალი კოსტუმი მოუტანეს — ლურჯი და ნაცრისფერი.

— ოჰ, რა მშვენივრად გივაჭრიათ! — შესცინა გალაკტიონმა.

— უნივერმაღში მითხრეს, დაიზომოს და თუ არ გამოადგება, გამოგიცვლითო... მიიზომეთ! — სთხოვა ნუნუმ.

— ჩემო ნუნუშკა, ახლა მე ვმუშაობ. ხო-და, უნდა გავიხადო, ჩავიცვა... მერე უნდა მატრიალოთ აქეთ-იქით. თანაც მე ხომ ვერ დავინახავ, როგორ მომერგება. თუ არ ეზარება. გოგიმ დაიზომოს.

— მოიტათ! — წამოვიძახე სიცილით და წამოვიჭერი.

— ჩააცვით, მაგას ჩააცვით! — იცინოდა გალაკტიონი.

ყველანი მეორე ოთახში გავედით და სიცილით მოვარგეთ პოეტს ტანსაცმელი.

სამუშაოს რომ მივუბრუნდით, გალაკტიონმა ღიმილით მითხრა:

— მოდი და ელაპარაკე ქალებს... ეგ მინდა ახლა მე?

გუნებაში კი უხაროდა ცოლ-შვილის ყოველდღიური ზრუნვა და ოჯახური სითბო. თუმცა იმ კოსტუმებს ხშირად

არ ეღირსებოდა გალაკტიონის მხრებზე მორგება, თუ შეხვედრა-საღამოებზე არ მიიწვევდნენ მგოსანს და თუ არ გაჩრიდა მისი მეუღლის დაუღალავი შეგონება.

გალაკტიონი საათის ტარებას ვერ ეგუებოდა. რამდენიმეჯერ იყიდა მაჯის საათი. ან ხშირად უჩერდებოდა და გადააკდებდა, ან ეკარგებოდა, რადგან წამდაუწუმ იხსნიდა და მიაგდებდა სადმე.

ერთი ძველი პალტო უყვარდა. ახლის ყიდვაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა.

ვაჟას ნათქვამს გაიმეორებდა ხოლმე:

ოღონდ ვაჟკაცი ვარგოდეს,
რა უშავ ჩოხის ძველასა!

* * *

როგორ უყვარდა ხალხში ყოფნა! მას ნახავდით ყველა ბაზარზე, კოლმეურნეებთან მოსაუბრეს. გააჩერებდა თავის მაქანას წყნეთის გზაზე. გზისპირას არხთან ჩამომჯდარი მუსაიფს გაუბამდა ჩანთიან მოწაფეს თუ ჩიბუხოსან ბერიკაცს. წვეროსანი კაცი რომ ენახა, გააჩერებდა, მხიარულად შეესიტყვებოდა, ვინაობას გამოჰკითხავდა და ალერსიანად შეახებდა ხელს წვერ-ულვაშზე.

განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა ხალხის მეტყველებას. ხშირად იტყოდა: — ბაზარში სიარული საჭიროა, ათასნაირ გამოთქმას გაიგონებს იქ კაცი.

სხვადასხვა ხალხის ჩაცმულობის, ქცევის, ადათ-წესების დაკვირვება და შესწავლა მისი ნამდვილი სტიქია იყო და ყველა ჯურის მოქალაქეს გულთბილი უბრალოებით თავისადმი

მეგობრულად განაწყობდა, გულწრფელად მოაქცევდა, სულის სიღრმიდან ნათქვამს მოუსმენდა და ნათესაურად გაიზიარებდა.

აუდიტორიის წინაშე ყოფნა, აქტიური მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ ღონისძიებებში, ლიტერატურული საუბრები, შეხვედრები, გამოფენები, დილა-საღამოები პოეტს ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ჰქონდა წარმოდგენილი. მუდამ ხალისით მიდიოდა და ყოველთვის მზად ჰქონდა ახალი ლექსი.

პოეტის სახლის წინ, პატარა სკვერში რამდენიმე წიწვიანი ხეა. ერთი მათგანი, ყველაზე მომცრო ნაძვი, გალაკტიონის ხელითაა დარგული.

— ისე ვუვლიდი, როგორც პატარა ბავშვს, მაგრამ მაინც დაჩაგრული ტანისაა! — შემომჩივლა ერთხელ.

მეორე სართულზე გალაკტიონის ბინის კარზე მხოლოდ ელექტროზარის თეთრი ღილაკი გამოირჩეოდა, არავითარი წარწერა არ იყო.

აქედან შეიძლებოდა შესვლა პოეტის ბინაში.

მყუდრო კაბინეტს ამშვენებდა უბრალო საწერი მაგიდა, ლითონის რეფლექტორიანი მოძველებული ფორმის, ხანაც პლასტმასის მქრქალ შუქფარიანი ლამპით.

პალეხელი ოსტატების ნახელავ ორიგინალურ საწერ მოწყობილობაზე, რომელიც თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა უსახსოვრეს, გამოსახული იყო პუშკინის „ჭინკები“.

მაგიდაზე, ტელეფონთან, ელაგა: ხელის ფარანი (სტუდენტ ჰ. კობიძის ნაჩუქარი), ფაიფურის ოთხკუთხედი საფერ-

ფლე. რომელზეც აღბეჭდილი იყო გაზეთ „იზვესტიის“ ერთ-ერთი ნომრის სათაური და რამდენიმე სტრიქონი. ეს საფერ-ფლე პოეტისათვის რუსეთში უჩუქებიათ. იქვე იდო ტარიანი გამადიდებელი შუშა, რომელსაც პოეტი ძველი ხელნაწერე-ბის ან გეოგრაფიული ატლასის ამოკითხვისას ხმარობდა.

იატაკზე იდო გელათის ტაძრის სვეტისთავი, დამშვენე-ბული ვაზის მტევნების ორნამენტებით. ეს ჩუქურთმა პოეტს თავისი „პობედით“ ჩამოუტანია ქუთაისიდან. დევის ნასხეპი-ვით გალურსულიყო იგი და თითქოს ბუტბუტებდა გალაკტი-ონის უკვდავ ლექსებს:

ნახე ნანგრევთა ქვები დიადი:
რა სიმაგრეა მასში ჩართული.
ო, ეს ჩუქურთმა, ეს იშვიათი
მშვენება, სივრცით შემოკვართული“.
(„სიძველენი“.)

ქვა, განა ქვაა? ეს რთული
ნიშნები, ჩემთვის ნათელი —
გაცოცხლებული ქვის გული
ეღერს, როგორც კორიანტელი.
ქვა, მოწყვეტილი აქ კლდეებს,
ქვა კი არ არის — სიმია.
გარდასულ საუკუნეებს
ეტყვი: ეს თქვენი ღიმია.
აქ ბევრი სისხლი დაღვარეს,
მებრძოლი, ბევრჯერ მინახავს,
ჩუქურთმის ნატეხს საყვარელს
ომის დროს უბით ინახავს.
(„ქართული ორნამენტი“.).

იატაკიდან ჭერამდე აღმართული თაროები სავსე იყო საქაღალდეებით. აქ დაცული იყო გალაკტიონის ხელნაწერთა ფასდაუდებელი კოლექცია: ლექსები, მოგონებები, შთაბეჭდილებანი, ფოტოსურათები, პოეტისა და მხატვრების ჩანახატები, ესკიზები, ეტიუდები, ციტატები და სხვა ჩანაწერები. გალაკტიონის სიტყვით, ქართული კულტურის ამ განძს უბრალოდ „მასალები“ ერქვა.

ერთ კედელზე გაკრული იყო ორი წყრთის სიგანის სახაზავი ქაღალდი, რომელიც გამოსაცემად წარდგენილი ლექსების მდგომარეობის ერთგვარ კარტოთეკას წარმოადგენდა.

გალაკტიონის დედის სურათი მუდამ ამშვენებდა პოეტის კაბინეტს. სხვა სურათები კი იცვლებოდა. პოეტის შთაბეჭდილება მუდამ სიახლეს მოითხოვდა და მისი კაბინეტის კედლებს სხვადასხვა დროს ახალისებდა სურათები: „დროშები ჩქარა“ — ალისფერ-წითელი დროშების ფონზე ფერწერით ეხატა რევოლუციური სულისკვეთებით გაცისკროვნებული გალაკტიონის სახე... გალაკტიონის პორტრეტი, გრაფიკა — პოეტს დოინჯი აქვს შემორტყმული და ყელზე კაშნე უკეთია.— ხშირად უხუმრია. ამის დამხატავი კარგი მხატვარია, მაგრამ ამ სურათში ყაჩაღს ვგავარო. აქვე იყო ეკატერინე გაბაშვილისა და პოეტის ოჯახის წევრთა ფოტოსურათები.

წიგნების პატარა კარადაზე იდგა თაბაშირის თეთრი ბიუსტი — გალაკტიონი საშუალო ასაკში.

მართალია, გალაკტიონს ბიბლიოთეკა არ ჰქონდა მდიდარი, მაგრამ ჰქონდა მთელი რიგი უნიკალური წიგნები, მათ შორის მაგონდება აკად. კორნელი კეკელიძისგან ნასახსოვარი

ძველი ქართული წიგნი, ნუსხახუცური ხელნაწერი, რომელიც ხშირად მინახავს პოეტის ხელში.

დაალაგებდა ამ ოთახს ქ-ნი ნინო, ყველა ნივთს დააკრიალებდა, თავის ადგილს მიუჩენდა.

— ყველაფერი მოვაწესრიგე, შვილო! დაჯდეს ახლა და მყუდროდ იმუშაოს, მაგრამ...

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გალაკტიონის სამუშაო ოთახი ისევ არეული იყო.

ყველაფერი ხელთან ახლოს უნდა ჰქონოდა პოეტს, ყველაფერი „მოძებნილი“ უნდა ყოფილიყო, მისი არქივის ყოველი სტრიქონი ხელქვეით უნდა ჰგულებოდა. მერე ჩაიძირებოდა ამ ორომტრიალში, ჩაიფლობოდა ქაღალდებში, შუბლზე ნათელი მოეფინებოდა და წერდა. წერდა...

ბუმბერაზული შემართებით იჯდა მაგიდასთან, უბრალოდ ჩაცმული, ზაფხულში — ზოლიან პიჟამაში, ზამთარში — მოყვითალო სვიტრით (და არა ისე, როგორც ჩვენმა კინოოპერატორებმა გადაიღეს ერთხელ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „ჩაპიჯაკებული“). დინჯად მუშაობდა. უცებ თავს ასწევდა, აღელდებოდა, წვერწატეხილ ფანქარს ან დაცლილ ავტოკალამს მიაგდებდა:

— რა იქნა... აქ ერთი წესიერი კარანდაში მქონდა! — დაუწყებდა ძებნას (ფანქარს და კალამს ორივეს ასე უწოდებდა)... იპოვნიდა.

— ოჰ, ეს მშვენიერია! — იტყოდა ღიმილით რომელიმე უშნო ფანქარზე და წერას განაგრძობდა.

— ნინა! — გასძახებდა მეორე ოთახში მეუღლეს, — შენი ჭირიმე, ერთი ის მასალა მომიძებნე, იმ დღეს რომ...

და ნინო ნახევარ სიტყვაზე გაუგებდა, მაშინათვე უპოვნიდა, მიაწოდებდა. მან ხომ ზეპირად იცოდა, სად რა ინახებოდა პოეტის დაწყობილსა თუ აწეწილ არქივში, რადგან თვითონ უვლიდა იქაურობას და დაუღალავად თავს ევლებოდა თვითეულ ფურცელს.

* * *

მხოლოდ კაბინეტში როდი მუშაობდა გალაკტიონი. ის წერდა თავისი ბინის ყველა ოთახში, ყველა მაგიდასთან.

შუშაბანდში ერთი მაგიდა ედგა, ძველისძველი, თითებს დაჰკრავდა მასზე გადაკრულ მუშამბას, იტყოდა: რამდენი კარგი ლექსი დამიწერია ამ საცოდავ მაგიდაზე, ძალიან მიყვარსო.

პოეტის საწოლის თავზე მსხვილი ძაფით ფანქარი იყო მიბმული, იქვე სკამზე რამდენიმე ბლოკნოტი ეგდო. გალაკტიონი მწოლიარეც წერდა.

ქუჩაში, ბაღში, მატარებლის ვაგონში, ვაგზალში, ტყეში თუ ველზე პოეტს მუდამ თან ჰქონდა ბლოკნოტი და ფანქარი და ყველგან წერდა.

თუ დიდ თემაზე აპირებდა მუშაობას, წინა დღეებში აღელდებოდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, შფოთავდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის თემაზე გალაკტიონს ბევრი ლექსი შეუქმნია, მაინც 1958 წელს 1 500 წლის იუბილარი ქალაქისათვის უნდოდა ორიგინალური ნაწარმოები მიეძღვნა. და მეტად თავისებურად ემზადებოდა ახალი ლექსის (თუ ლექსების ციკლის) დასაწერად. დაიქირავებდა ავტოს და საათობით სეირნობდა ქალაქის ძველ ნაწილში. ალაგ-ალაგ აჩერებდა მანქანას და აკვირდებოდა ქუჩებს, შენობებს, ხედებს...

ზოგადად თუ იტყოდა, ამა და ამ თემაზე ვწერო, თორემ ნაწარმოების დასრულებამდე არავის წააკითხებდა ხელნაწერს.

ხშირად პოეტი „ისე უსვამდა ფანქარს“ ქაღალდზე და წერდა მხოლოდ რითმებს ან ხატავდა (საკმაოდ კარგად!). იმ წუთებში იგი ფიქრობდა და თან ღიღინებდა ან ესაუბრებოდა ვინმეს... ესეც ერთგვარი სამზადისი იყო ახალი ლექსის შესაქმნელად.

* * *

წერა-კითხვაში გალაკტიონი სათვალეს ხმარობდა. შორ მანძილზე კი უსათვალოდაც კარგად ხედავდა. პაპიროსს, საერთოდ, ეწეოდა („ყაზბეგს“, „საკურორტოს“, ან „რეკორდს“), მაგრამ ხანდახან ორ-სამ კვირაობით შესვენებას გამოაცხადებდა და თამბაქოს არ გაიკარებდა. პოეტს ძალიან მახვილი სმენა ჰქონდა, ჩურჩულით ნათქვამიც კი მკაფიოდ ესმოდა.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გალაკტიონის ხელები. ბევრი მუსიკოსი ინატრებდა მისებრ ჩამოქნილ თითებს. ვაჟკაცური ძალა და ძველქართული ფრესკის ჰაეროვნება იყო შეზავებული მისი ხელის მტევანში. იმ დროგამოშვებით მთრთოლვარე თითებში კი იმდენი გრძნობა-განცდა მეტყველებდა, რომ დიდი სიმფონიის ყღერად იკმარებდა... და ვინც ერთხელ მაინც მისალმებია ხელის ჩამორთმევით, არასოდეს დაავიწყდება გალაკტიონის ოდნავ დაძარღვული, მშრალი და თბილი ხელი.

გალაკტიონი საშუალოზე მაღალი ტანის კაცი იყო. წარმოსადეგი შესახედაობა ჰქონდა და ყველგან ყურადღებას იპყრობდა თავისი ორიგინალური სიარულითა და მიხრა-მოხრით. მიუხედავად ხანდაზმულობისა, საკმაოდ კარგად შენა-

ხულ მუქ წაბლისფერ თმაში მხოლოდ აქა-იქ ჰქონდა გამორეული ჭაღარა. ოდნავ ჟღალი, ღაწვისთავებთან ჭაღარანარევი წვერი მოხდენილად ფარავდა მის სახეზე ნაყვავილარის ნაშთებს და პატრიარქალურ შეხედულებას აძლევდა პოეტს. წვერ-ულვაში პირველად მაშინ მოუშვა, როდესაც ძმა პროკლე გარდაეცვალა (1947 წ.) და მას შემდეგ სულ ასე ატარებდა ფართო წვერსა და თამბაქოსაგან შეწითლებულ დაფანჩულ ულვაშებს.

ღრმა, შუქიანი და ბრძნული თვალები აგვირგვინებდა გალაკტიონის ღვთაებრივ სახეს, მოხდენილ წარბ-წამწამთა ჩეროდან გამომზირალი მუქი თაფლისფერი თვალები!.. თუ თვალები სათაურია იმ წიგნისა, რომელსაც ჰქვია ადამიანი, ეს კანონი განსაკუთრებულად იყო შეზავებული გალაკტიონის პიროვნებაში. სიხარულის წუთებში მისი თვალები ისე აენთებოდნენ, როგორც მოგიზგიზე კოცონი და ცისარტყელად მოეფინებოდნენ სახეს, ხოლო სევდიანობისას მიილულებოდნენ. მიინისლებოდნენ, და ისეთი ზღვა-კაეშანი დაისადგურებდა მათში, რომ მზერას ვერავინ გაუჩერებდა. ხოლო აღშფოთებისა ან გაჯავრებისას ასპარეზზე გასული რაინდის გულისწყრომა იფეთქებდა მათში და გამარჯვებას ჩვეული სარდლის მნუსხველი ძალა.

თუ ჩუმად კითხულობდა, ტუჩებს ოდნავ ამოძრავებდა. უყვარდა დაბალი ხმით კითხვაც. ყოველი ათი-თხუთმეტი სტრიქონის შემდეგ შეჩერდებოდა, ჩაფიქრდებოდა და ისევ განაგრძობდა. საოცარი სიდინჯით და დაკვირვებით იცოდა წიგნზე მუშაობა.

დეკლამაციას იშვიათად მიმართავდა. თავისი ლექსებიდან

ძალიან უყვარდა: „მთაწმიდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „მერი“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ქებათა ქება ნიკორწმიდას“... ამ ლექსებს ორიგინალურად კითხულობდა და მსმენელს ღრმად აგრძნობინებდა.

რბილი, ხავერდოვანი და გულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა. მისი ორიგინალური სინტაქსით მეტყველება მკაფიოდ რჩებოდა მეხსიერებაში. რამდენჯერ გვიფიქრია მე და ჩემს მეგობრებს, მაგნიტოფონის ფირზე ჩაგვეწერა მისი ხმა, მაგრამ ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

საერთოდ, გალაკტიონი არ იყო ცნობილი პოეტ-დეკლამატორად, მაგრამ მუდამ თავის მოვალეობად მიაჩნდა აუდიტორიებში მასებთან გამოსვლა, ხალხის წინაშე მხატვრული სიტყვის ილუსტრირება, ამ მხრივ იგი ქართული პოეზიის დაუღალავი ტრიბუნი იყო.

* * *

თუ სცენაზე ან ტრიბუნაზე არ იდგა, გალაკტიონს არ უყვარდა თავისი ლექსებიდან ამოკრეფილი ფრაზების წამოძახება. მახლობლებთან არასოდეს „დაიღვრებოდა ლექსად“, შაირ-ლექსაობა, საერთოდ, არ ახასიათებდა. სხვათა ლექსებს კი ხშირად მოიმარჯვებდა მაგალითისათვის. ხშირად გამიგონია მისგან ხალისიანად თქმული ირ. ევდოშვილის ცნობილი ლექსის დასაწყისი:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული!

ამ ლექსის ხასიათი, ძმობისა და წინსვლის ჰანგი, მაღალი იდეალებისათვის თავდადებული ბრძოლა ხომ მთლიანად ემ-

თხვეოდა გალაკტიონის სიჭაბუკის წლებში რევოლუციურად მობობოქრე ხალხის სულს და პოეტის მაშინდელ გუნებ-განწყობილებას.

განსაკუთრებით უყვარდა აგრეთვე რუსთაველის აფორიზმების თქმა და ძალიან ბევრიც ახსოვდა ზეპირად.

XX საუკუნის რუსული პოეზიიდანაც უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად. კარგად ახსოვდა: კ. ბალმონტი, ა. ბელი, ა. ბლოკი, ი. ანენსკი, ნ. გუმილევი, ვ. მაიაკოვსკი, ნ. ასეევი, გ. შენგელი, ს. ესენინი და სხვ.

რაღა თქმა უნდა, XIX საუკუნისა და ძველ კლასიკურ მსოფლიო პოეზიას ძალიან კარგად იცნობდა და ზეპირად ახსოვდა უთვალავი ლექსი.

რუსული ენა გალაკტიონმა ბრწყინვალედ იცოდა და როდესაც მსჯელობა ეხებოდა ლექსის თეორიას, რომელსაც იგი შესანიშნავად ფლობდა, უმეტესად რუსულად საუბრობდა (თუ უშუალოდ ქართულ ლექსზე არ იყო ლაპარაკი!). თუ თანამოსაუბრე რუსულში მოიკოჭლებდა, ბოდიშივით ეტყოდა: „რა ვქნა, რუსულ შკოლაში ვსწავლობდი და ასე მემარჯვება!“

გალაკტიონმა საკმაოდ კარგად იცოდა ფრანგული ენა. შესანიშნავად იცნობდა საფრანგეთის ისტორიას და ხშირადაც უამბია ჩემთვის საფრანგეთის რევოლუციისა და ლუდოვიკოების ცხოვრების შესახებ. ყოველთვის იცინოდა, როდესაც ვეტყოდი, ფენომენალური მეხსიერება გაქვთ, რომ იმ ლუდოვიკოების ნუმერაცია ასე გახსოვთ-მეთქი.

სცენიდან ან ვიწრო წრეში საუბრის დროს გალაკტიონი ლიტერატურული ქართულით მეტყველებდა. მოხდენილად და ზომიერად ხმარობდა ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმას.

შინაურულ „საყველპურო“ საუბარში კი პოეტი არ პურისტობდა. თბილისურად მოუქცევდა სიტყვას, ხანაც იმერულ დიალექტს მოიმარჯვებდა. ასეთ მომენტებში მის ხმას განუმეორებელი იუმორი და ხშირად წინააღმდეგობებით სავსე ფრაზები ახასიათებდა. აი, ეს გამოთქმანიც:

„მე, ბიძიკო, ერთი საწყალი პოეტი ვარ!“
„ზოგიერთი საწყალი პოეტი კი არ გეგონო!“
„ჯანმრთელობა არა მაქვს, თორემ“...
„რაცხა გრიპი დამეტაკა, თვარა ჩემისთანა ჯანმრთელი კაცი არ მინახავს!“
„გული არ გეიტეხო... მაი აფერია — სთქვა გურულმა“.
„ეს ოხერი, ყველამ კი არ უნდა წეროს ლექსი!“
„ლექსი ყველამ უნდა წეროს, ვისაც ეწერება!“
„ყველა პოეტი საპატიო კაცია — ერის განძია!“

* * *

— გალაკტიონი გეძებდათ!.. — ორჯერ შემოიარა... აუცილებლად დამირეკოსო, გთხოვათ, — გაბრწყინვებული თვალებით მეუბნებოდნენ ჩემი თანამშრომლები რკინიგზელის სახლში*.

სასწრაფოდ გავემგზავრე.

ტროლეიბუსიდანვე დავინახე, გალაკტიონი თავისი სახლის ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას.

პოეტის ბინაში ქაოსი სუფევდა. დიქტის დიდი ფურცლები, სქელი ქაღალდები, სასურათო ჩარჩოები, სტენდები და სხვა საგამოფენო ექსპონატების მოსაწყობი მასალა ერთმანეთში იყო არეული და აფორიაქებული. მათი მფლობელიც

* 1955 წ. სექტემბერი.

აფორიაქებულიყო — სოჭის მატარებლით აპირებდა გამგზავრებას სოხუმში და თუმცა მხნედ და მხიარულად გამოიცქირებოდა, მაინც ღელავდა, რადგან ოჯახი წყნეთში ჰყავდა და ყველაფრის თადარიგს ვეღარ იჭერდა.

— როგორ გამეხარდა შენი მოსვლა. ბევრი რამ უნდა დაგავალო, — მითხრა და სკამი შემომთავაზა, მაგრამ მალე ისევ აღელდა, აბობოქრდა. მივხვდი, მოთმინება არ ჰყოფნიდა — ადრე უყვარდა სადგურზე გასვლა, როცა სადმე მიემგზავრებოდა.

—გზადაგზა ვილაპარაკოთ, — ვუთხარი.

ხუთი წუთის შემდეგ ტროლეიბუსში ვისხედით და ხმადაბლა ვსაუბრობდით. ყველა თანამგზავრი სიყვარულით და მოწიწებით შესცქეროდა გალაკტიონს. მებადებოდა სურვილი, მეთქვა:

— მოდით, დაელაპარაკეთ, ეს კაცი ხომ უბრალოებაშიც ისეთივე დიადია, როგორც — პოეზიაში!

სადგურის ბაქანზე რომ გავედით, მორიგე ქალს ძველი ნაცნობივით მხარზე ხელი დაჰკრა და შეესიტყვა:

— Ну, как живёте, припеваючи? А? — მერე მითხრა, ასეთი შეკითხვა ძალიან მიყვარსო, ისევ ქალს მიუბრუნდა და მატარებლის გასვლის დრო ჰკითხა. შემდეგ კი მეორე რკინიგზელ ქალსაც გაუმეორა იგივე შეკითხვა და მხიარული საუბარი გაუბა.

სადგურის მოსაცდელ დარბაზში ვიცდიდით.

— ეჰ, ეს ათი წელიწადია, მოუსვენრობას ვგრძნობ, — ამბობდა წყნარად გალაკტიონი, — მყუდროდ სამუშაო პირობები არა მაქვს... მართალია, ნინა ხელს მიწყობს, მაგრამ

როცა ახალგაზრდა ვიყავი და დედა ცოცხალი მყავდა, მეტი შემოქმედებითი სიხარული და აღტაცება მქონდა. როცა ვმეცადინეობდი, დედაჩემი ფეხაკრეფით სიარულს აიძულებდა ყველას და სტუმრებს იმ ოთახში, სადაც ვწერდი, არ უშვებდა...

ცხადია, პოეტის ამ სიტყვებში მთავარი იყო: „რ ო ცა ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ვ ი ყ ა ვ ი“, თუმცა ზოგიერთივით არ სჩვეოდა თავის ხანდაზმულობაზე წუწუნი, რადგან, საერთოდ, არ იყო მოწუწუნე.

თვალწინ წარმომიდგა გალაკტიონის დედის მაკრინე ადეიშვილის სურათი, რომელიც წყრთის სიმაღლის შავ ხის ჩარჩოში ჩასმული იდგა პოეტის კაბინეტში კარადაზე. ძაძებით შემოსილი მანდილოსნის სახე ჭკვიანი და ნაღვლიანი თვალებით იმზირებოდა. გარდასულ ჟამთა დიდი ზრუნვისა და ქვრივ-ობლობის მძიმე ბეჭდად გაწოლილიყვნენ შუბლზე მკრთალი ნაოჭები.

—თბილისში ჩვენი ბინა არ არის სამუშაოდ მარჯვე, — წუხდა პოეტი, — მასალები ვერ დამიჯგუფებია წესიერად. ხომ ნახე, რა არეულობა იყო დღეს. რუსეთიდან ჩემი მეგობარი მწერლები ჩამოდიან... სახლში ვერ მიმიპატიჟია, მერიდება...

— ახალ ბინაზე იზრუნეთ, თქვენთვის არ იქნება ძნელი...

— დრო და ხლაფორთი უნდა... ისე კი მაინც ვფიქრობ...

მატარებელში მგზავრების ჩასხდომა დაიწყო. გალაკტიონს რბილ ვაგონში ავყევი, კარგახანს მესაუბრა, რამდენიმე დავალება მომცა და მითხრა:

— ახლა გული მშვიდად მაქვს... დაბრუნდი შინ. აბა, გამარჯვებით გნახე!

გადავკოცნე და კეთილი მგზავრობა ვუსურვე.

* * *

ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე ცხოვრობდა ძველი საზოგადო მოღვაწისა და მწიგნობრის შვილი ებეჭდავი-მემანქანე ნინო მელიტონის ასული კელენჯერიძე. ეს იყო განათლებული მანდილოსანი, რომელიც მშვენივრად ბეჭდავდა ქართულად გალაკტიონის ხელნაწერებს თუ რუსულად — პუშკარედებს. პოეტი კარგად იცნობდა ნინოს ოჯახს და ნინოს გადაბეჭდილი ტექსტები მოსწონდა.

კარგად უბეჭდავდა აგრეთვე ქართულ ნაწერებს მარინე ტოგონიძე (ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში), რომელთანაც სასწრაფოდ გადასაბეჭდ მასალას გამატანდა ხოლმე. იცოდა, რომ ახალგაზრდა ქალი ყველა სამუშაოს გადასდებდა და პირველ რიგში გალაკტიონის ლექსებს მოუვლიდა.

— ახლა ჩავუსხდეთ და ჩავასწოროთ!.. მერე ნიკო შველიძეს ჩავაბაროთ, — მეტყოდა პოეტი, როდესაც გადაბეჭდილ „ხელნაწერს“ მივუტანდი შინ და ჩავუსხდებოდით ხოლმე... გადიოდა დღეები, საღამოები და ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფო გამომცემლობაში შევივლიდით. ნიკო შველიძე მუდამ გულთბილად მიიღებდა გალაკტიონს, დასაბეჭდად გამზადებულ მის წიგნს ჩაიბარებდა, კარადაში დააბინავებდა და ღიმილით ეტყოდა: „პატივცემულო გალაკტიონ, არ მოვაკლებ ცდას, რომ თქვენი წიგნი დროზე გამოვიდეს“.

— ნიკოს ტიპიური ქართული სახე აქვს, აბა, დააკვირდი!.. საქმითაც კარგი ქართველია, ღირსეული და საიმედო კაცია — მეტყოდა, ქუჩაზე რომ გამოვიდოდით.

კაცის შექებაში გალაკტიონი ძუნწი იყო. იშვიათად მოეწონებოდა ვინმე, უფრო იშვიათად დაუახლოვდებოდა. პრესის მოღვაწეთაგან ახლო დამოკიდებულებაში იყო აგრეთვე „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობის მუშაკ მარკ ზლატკინთან. პატივისცემით ახსენებდა და მეგობრობდა. ამავე გამომცემლობაში რუსულ პწკარედებთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ მომიხდა შეხვედრა და საუბარი ჩვენს ცნობილ კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტთან. გალაკტიონი მისი სიჭაბუკის მეგობარი იყო და ბესარიონი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა პოეტის ლექსების რუსულად გამოცემას.

საქართველოს მწერლების კავშირში გალაკტიონს, რა თქმა უნდა, ჰყავდა მეგობრები. მათგან შედარებით ახლოს გაცნობა მომიხდა ლიტერატურულ კონსულტანტ თამარ ანდღულაძესთან. მასთან მიმავალს პოეტი გულითად მოკითხვას დამაბარებდა და ყოველთვის მოწიწებით ახსენებდა, როგორც საქმის მცოდნესა და პოეზიის პატრიოტ მანდილოსანს.

ახალგაზრდებიდან გალაკტიონთან ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ ფ. ნიშნიანიძე, ვ. გურგენიძე და რამდენიმე პოეტი და მწერალი. ნიშნიანიძის ქალი ხშირად გამოდიოდა გალაკტიონის შეხვედრა-საღამოებზე და კითხულობდა მოხსენებას თემაზე — „ცნობილი ადამიანები გ. ტაბიძის შესახებ“, ხოლო ვახტანგ გურგენიძე საქართველოს რამდენიმე კუთხეში მოგზაურობისას თან ახლდა პოეტს და უამრავი ფოტოსურათი გადაუღო.

გალაკტიონის თავისებურ ხასიათს შეიძლება მივაწეროთ ის გარემოება, რომ ზოგ რედაქციაში არასოდეს შეუვლია, ბევრ რედაქტორს არც იცნობდა პირადად. მაგრამ რედაქტორებს შორის მეგობრებიც ჰყავდა. მათთან უბრალო და გულახლდილი იყო, ყველაფერზე საუბრობდა და რჩევასაც ეკითხებოდა.

შორეული მეგობრებიც ჰყავდა ჩვენს გალაკტიონს. მახსოვს, 1957 წლის ზაფხულში ავტოთი მოქროლდა ჩვენსას და სწრაფად ამოვიდა კიბეზე. მთელ ოჯახს გვახარა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის (აწ განსვენებულის) წერილი გადმომცესო ჩვენმა ტურისტებმა. ეს იყო საპასუხო წერილი გალაკტიონის ბარათზე, რომელიც თან ახლდა პრეზიდენტისათვის გაგზავნილ ლექსების კრებულს. გალაკტიონმა გვიამბო, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი მან და ა. ზაპოტოცკიმ მოსკოვში 1927 წ. კომინტერნის მეექვსე კონგრესის დღეებში, როგორ დამეგობრდნენ და ერთად იმოგზაურეს საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან რაიონებში, ხოლო შემდეგ პრეზიდენტი მეუღლითურთ ჩამოვიდა საქართველოში და პოეტის თანხლებით დაათვალიერა თბილისის მიდამოები.

* * *

სიჭაბუკის წლების მეგობრებიდან გალაკტიონს აგონდებოდა ხოლმე თავისი პირველი კრებულის რედაქტორი ტუტკუ გვარამია, რომელმაც 1914 წ., ქალაქ ქუთაისში, გამოსცა ეს წიგნი. გალაკტიონის გადმოცემით, დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერები მოპარეს პოეტს და ორ-სამ დღეში ჩავუჯექი და ახალი ვარიანტებით წარვადგინეო. ტ. გვარამიას

მოწიწებით ახსენებდა, როგორც მისი გზის პირველ გამკვლევსა და დიდ მოამაგეს.

პოეტის მოგონებათა არეს არ სცილდებოდა ქუჩუ ქავთარაძისა და თედო სახოკიას სახეები. ეს უკანასკნელი, უკვე ღრმად მოხუცებული მწერალი, გალაკტიონმა პოეტ იასამანის — მიხეილ კინწურაშვილის დაკრძალვისას გამაცნო.

მოძმე ერების პოეზიას გალაკტიონი მუდამ თვალს ადევნებდა. სომეხი პოეტებიდან საამაყო მეგობრად მიაჩნდა ავეტიკ ისააკიანი.

ს. ესენინი, მ. გორკი, ბ. პასტერნაკი — აი, გალაკტიონის რუსი მეგობრების არასრული სია. აქვე უნდა ვახსენოთ ნ. ტიხონოვი და ი. ერენბურგი, რომლებთანაც პოეტს ხშირი შეხვედრები და ამხანაგური მიმოწერა ჰქონდა.

ამგვარი იყო მთაწმიდაზე შემოღამება

ერთ დილას გალაკტიონმა თავისი ახალი პოემა მოიტანა ჩვენსას[1]. ნაწყვეტები წავიკითხეთ. გალაკტიონი მხნედ გრძნობდა თავს და კარგახნის საუბრის შემდეგ მითხრა:

— წყნეთში წავიდეთ, ჩემს აგარაკზე.

რამდენიმე წუთში მზად ვიყავი.

ჩვენი სახლის წინ გალაკტიონის „პობედაში“ ჩავსხედით. გზაში უბის წიგნაკი ამოიღო, მაჩვენა თავისი ახალი პოემის სტროფების სტრუქტურა და ამიხსნა წინამდებარე ჩვენი საუბარი.

წყნეთამდე ვისაუბრეთ მარჯანიშვილის თეატრზე, გავიხ-

[1] 1955 წ. 20 მარტს (კვირას).

სენეთ მცხეთის არქეოლოგიური გათხრები... შემდეგ სიმღერაც შემოვძახეთ.

გზადაგზა გალაკტიონი მიხსნის:

— ეს ჩვენი გოგლა ლეონიძის სახლია, ეს... — ჩამოთვალა რამდენიმე, — აქ შარშან არ იყო სახლები. ხედავ ახლა რამდენია.

მანქანა წყნეთის ორღობეებს მიჰყვება.

— კარგი ჰაერია!

— ჩემს აგარაკზე უკეთესია! — თქვა ღიმილით. — მე ერთი უბრალო ქოხი მაქვს აქ, ხისაა, მაგრამ კარგ ადგილზე დგას.

აი, მივედით კიდეც! პოეტის „უბრალო ქოხი“ ხის ორსართულიანი შენობაა.

სახლის გარშემო ბაღია. ბილიკებზე ფხვიერი აგური მოუბნევიათ.

— მომავალ კვირასა ე მანდა ვენახს ჩავყრით, — მიხსნის იქაური მოხუცი ქალი, რომელიც პოეტის სახლ-კარს უვლის და მაჩვენებს დამუშავებულ ფერდობს.

კუთხეში გამომწვარი ნაკელი ყრია, სახლის ყურეში — ჩალა. იქვე აგურით ნაგები გარაჟია. წინ ონკანით წყაროს წყალი მოდის.

სახლის უკან იწყება შერეული ტყით დაფარული მთები, გამოირჩევა უძო.

ბილიკს შევყევით ტყეში. დინჯად შევუდექით აღმართს.

— უძოზე მინდოდა ერთხელ ასვლა. შუამდე მივედი, დავიღალე და დავბრუნდი, — მოწყენით მითხრა გალაკტიონმა.

— ტალახია, თორემ დღეს ავიდოდით, — ვუპასუხე.

უძო! მთა, რომელზეც ადიოდნენ უწინ უძეო მანდილოსნები და სალოცავად მიჩნეულ ერთ ხეზე სტოვებდნენ შესაწირავს იმედით, შვილი შეგვეძინებაო:

ამ ოდესმე მხიარული
გზით უყვარდათ სიარული;
აწ გზა მიტოვებულია,
როგორც ძველი სიყვარული.
მაგრამ ყველაფერი ძველი
ამოა და სასურველი:
ძველი პური, ძველი ღვინო,
ძველი სტუმარ-მასპინძელი.

(ტ. VIII, გვ. 155)

უძო! მისი მწვერვალიდან დღეს სულ სხვა სურათი იშლება: საქართველოს ამღერებული მიდამოები:

სამგორის მთას სულ სხვაგვარი
ამოძრავებს დრო და ხანა,
მიჰქრის ავტო, გავიარეთ
აზეულა, ოქროყანა...:
მივიჩქარი: მე მახარებს,
რომ ეს მთაა ასაღები
და დავცხრები, როცა ვიტყვი:
ხელთ მაქვს უძოს გასაღები.

(„უძო“, რჩეული, 1954 წ.)

მზიანი დღე იყო, მაგრამ ნაწვიმარი... წყნეთში კი ისეთი ტალახი იცის, რომ გალაკტიონს აქ მუდამ ჰქონდა ჩექმები და ნაბადი.

ისევ სახლში შევედით. პირველ სართულში ტახტზე ჰყრია გაზეთების დასტები და არქივის ნაწილი. დგას ჩალის მოძველებული საქანელა-სავარძელი, რკინის საწოლი, კიდევ ერთი ხაკისფერი სამხედრო საწოლი. ყველა ოთახს ფანჯარა აქვს.

— გასარემონტებელია! — მეუბნება მასპინძელი.

მეორე სართულიდან მოჩანს ვრცელი ჰორიზონტი: დედაქალაქის მიდამოები, თბილისის ზღვა, შორს კი — ლურჯად მოკამკამე კავკასიონი.

ამ სახლში იწერებოდა ლირიკული ლექსების კიდევ ერთი წიგნი (ტ. VIII). აქაურობაზე ითქვა:

ჩვენი იფნის ტყიდან ისმის
ხმაურობა უძოს ხევის,
გადმოისმის, გადაისმის
ხმა ზვირთების მიმორხევის.
რაღაც ნაცნობ სიხარულს მგვრის,
უძოს ხევო, ეღერა შენი,
შინდისიდან ნიავი ჰქრის
ტყის ფოთლების ამაზრზენი.
მოსვენებას შესთხოვს ვისმე?
კი, მაგრამ ვის? ჰე, ვის? ჰე, ვის?
აივანზე ტყიდან ისმის
ხმაურობა უძოს ხევის.

— იცი, ძალიან მომეწყინება ხოლმე. ბოლო დროს მარტოკა ვეღარ ვჯდები სამუშაოდ. ორნი უფრო ხალისიანად ვიმუშავებთ. საბეჭდი მანქანა გვაქვს. ერთ მბეჭდავ ქალს ავიყვან და ხან აქ ვიმეცადინოთ, ხან ქალაქში. — თქვა გალაკტიონმა.

— როგორც თქვენ გემარჯვებათ, ისე მოვაწყოთ.

— ჩემი ახალი პოემა სექტემბერში უნდა ჩავაბარო... დღეში ორი-სამი საათი რომ ვიმუშაოთ, საკმარისია, შემოქმედებითი მუშაობა რთულია და კაცს ღლის...

ჭიშკართან მდგარ მოძველებულ „პობედას“ მივაშურეთ. პოეტის შოფერმა, წყნეთელმა ბიჭმა, საჭესთან მოიკალათა და გვიცდიდა.

შარაგზიდან კიდევ შევავლე თვალი იქაურობას: უბრალო ეზო, უბრალო სახლი, პატრონიც იქაურობისა უბრალოდ ჩაცმული წვერმოშვებული კაცი, რომელსაც 10-15 წლის წინათ ნაყიდი პორტფელი ეკავა ხელთ. იგი ოხუნჯობს, ბავშვივით ხითხითებს და წუთით მავიწყდება, რომ ჩემ გვერდით დგას გენიოსი და... ასე გულუბრყვილოდ თავს იწონებს უბრალოებითა და ასაკოვნებით:

შემოდგომავ, მოდი, გელი, მომაწოდე შენი ხელი,
მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი!

შემდეგ ისევ ნათლად ვგრძნობ, რომ ქართველი ერის დიდებას ვესაუბრები და ვფიქრობ, ყველა ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ბაჯაღლო ოქროსიც რომ იყოს, ამ ადამიანის ღირსებას ვერაფერს შემატებდა.

ავტოში ჩავსხედით და გალაკტიონი ისევ მიხსნის:

— აქვე ჩემს ჭიშკართან ავტობუსი ჩერდება... აი, აქ, სამი ხე იყო. ახლა ერთი-ღა დარჩა, ამას ღვთისმორწმუნე მოხუცები უძოს ნიშს უწოდებენ. მოდიან ხოლმე, ლოცულობენ, ქეიფობენ... აქ მაია წყნეთელის სახელობის მოედანი უნდა მოვაწყოთ. გმირი ქალი იყო, ეკუთვნის ხომ?

...სხვა ქალი კერად დგა დღე-ღამითა,
ან მიუძღოდა მშრომელ მამითადს
მშვიდობიანი დღის სამაია.
სხვა ისევე ჩნდა ლალ-მარგალიტად.
რა ძვირფასია სხვათ მაგალითად
შენი უკვდავი ხმალი, მაია!

(ტ. VIII)

ასე მთავრდება გალაკტიონის ერთი სონეტი, რომელშიც კვლავ გაცოცხლდა სახე ამხედრებული, ამორძალივით შეუპოვარი ქართველი ქალისა.

მანქანა გააჩერებინა. ჩამოვედით. მდინარე ვერეს ხევს გადავხედეთ.

— აი, იქ ცხრა კუნძულია მდინარე ვერეზე. მოდი, ერთხელ დავიაროთ ეს მიდამოები. მერე შევყვეთ ვერეს აღმა და ვიაროთ სანამ დავიღლებით... ერთხელაც ბეთანიაში წავიდეთ. კიდევ სადაა კარგი ადგილები? — მეკითხება პოეტი.

— ვარძიაში.

— იქაც წავიდეთ! უსათუოდ წავიდეთ როდისმე. წავიყვანოთ მამაშენი და ერთიც ფოტოაპარატიანი ვინმე.

ისევ მივქროდით დაღმართზე.

* * *

კვლავაც ხშირად ვყოფილვარ წყნეთში.

გალაკტიონის ეზოში თანდათან გაჩნდა გაზონები, ხეხილი, პატარა ვენახი... ერთ ადგილას კვარცხლბეკზე იდგა პუშკინის თეთრი ბიუსტი.

სახლიც დასრულდა და გალამაზდა.

შესვენების დროს აივნიდან გავცქეროდით მომხიბლავ სანახებს, ვოცნებობდით, „როცა დრო გვექნება“, ერთად გვენახა ახლომახლო მდებარე ყველა ისტორიული ძეგლი, პირველ

ყოვლისა — ბეთანიის ტაძარი, რომლის მიდამოებს პოეტმა ასეთი გზნებით უმღერა:

წამყე ბეთანიისაკენ! იქ სადღაცა ახლო-მახლო
იყო ორბელიანების და ირაკლის სამოსახლო.
გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს ადგილები უკეთესი!
ადგილები ასე მშვენი ვარდისაგან, იისაგან...
სანადირო ადგილები... წამყე ბეთანიისაკენ!
მოდი, სადმე უდაბური ეპოვოთ კუთხე ქედმომაღლო,
გადმოვხედოთ მაღლით თბილისს — მე აქ უნდა დავესახლო!
წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადღაცა ახლო-მახლო
იყო ორბელიანების და ირაკლის სამოსახლო.
(„წამყე ბეთანიისაკენ").

საღამოხანს[1] შინიდან გავდიოდი. კარის ზღურბლზე გალაკტიონი გადამეხვია:

— გოგი, ქუჩაზე ავტომობილში ერთი საწყალი კაცი ზის. ჩემი მეგობარია. თუ ძმა ხარ, ამოიყვანე...

კაცი, რომელიც შინ ამომყვა, იყო „ქართველი მხატვარი. აწ განსვენებული თედორე ჩუდეცკი, რომელმაც თავისი შესანიშნავი ტილოების მეტი წილი სვანეთში მოგზაურობის შედეგად შექმნა"[2], მამამისი მეფის დროს ლეჩხუმის მაზრის ექიმი ყოფილა. ფედიას განათლება პეტერბურგში მიუღია, სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია.

---

[1] 1953 წ. 15 იანვარს.

[2] იხ. ქ. ქიქოძე. „უშბაზე პირველი ქართვ. ალპინისტების ასვლის გამო", ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1960 წ., № 2, გვ. 79.

გალაკტიონმა გააცნო ჩემს მშობლებს ახლადმოსული და სიცილით აგვიხსნა თავისი მდგომარეობა:

— მედიკომბინატში[1] ვიწექი... სეირნობა მომინდა და ექიმებს გამოვეპარე. შინ არ მინდა მისვლა ღამემდე, თორემ ჩვენებს ეწყინებათ, მკურნალობა რატომ შეწყვიტეო... ეს ჩემი მეგობარი ფედია შემხვდა და თქვენკენ წამოვედით.

დედაჩემი სუფრის გაწყობას შეუდგა. გალაკტიონმა განაცხადა, ღვინოს აღარ ვსვამო, მაგრამ თითო ჭიქა შამპანურზე დაგვეთანხმა.

სუფრასთან სიმხიარულის მეთაური და თამადა გალაკტიონი იყო. შუშხუნა ღვინოს ოდნავ მოსვამდა, ლაღობდა და საკმაოდ კარგად მღეროდა...

— მე სულ ორიოდე მეგობარი მყავს.... შენ ხომ იცი, ბენო. აქ ისე მოვდივარ, როგორც ჩემს ოჯახში. სიხარულით ვარ მთვრალი, თორემ გულის ტკივილი მაწუხებს და ღვინოს ვერ ვსვამ. ვიმღეროთ, გოგი, ფედია, ვიმღეროთ! მრა

როდესაც რვეულიდან ვკითხულობდი უკანასკნელ სტრიქონებს:

როგორც სპილენძის საყვირის ხმა, გაფრინდნენ დღენი.
ეს მოწოდება აერთებდა მთელ ქვეყნის ხალხებს,
ქუხდა სიმართლე და მსოფლიო უსმენდა ლენინს,
შტურმით იღებდნენ მშრომელები ზამთრის სასახლეს,
ოცდაათი წლის დიდებულთა მანძილთ განკვრეტით
ბევრი შევქმენი ლექსი ლაღი და სასიმღერო,
ყველაში ისმის მძლავრ საბჭოთა სამშობლოს ხმები,
შენი ქუხილი და გუგუნი, მძლე ოქტომბერო!

გალაკტიონი მხნედ გაიმართა ბეჭებში, შესძახა:

— ფედია, გახსოვს, იმ დროს ხელით დავყავდი ხალხს?! ჰა, ხომ გახსოვს?

„ოზურ-გე-თი და მერია!“ — წამოიწყო გალაკტიონმა...

კედლიდან გიტარა ჩამოიღო. თვითონ არ უკრავდა. რაღაც ვიმღერეთ რუსულად. მგონი, «Я вас любил...»

— მიხარია აქ ყოფნა, პედაგოგები რაინდულ საქმეს ემსახურებით და როდესაც თქვენთან ვარ, მაგონდება ჩემი სიჭაბუკე, 1910-იანი წლები. იმერეთში, ერთ სოფლის სკოლაში, მასწავლებლად ვმუშაობდი რამდენიმე წელს, ჩემი ძმაც, საწყალი პროკლე[1], პედაგოგი იყო, მამაჩემიც... — გვიამბობს გალაკტიონი.

— შენ რეჟისორიც იყავი, ხომ, გალაკტიონ? — ეკითხება ფედია.

[1] პროკლე (აბესალომი) ტაბიძე საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის რკინიგზის № 7 საშ. სკოლაში. მან დააახლოვა ერთმანეთს გალაკტიონი და მამაჩემი.

— მართალს ამბობ! — შეესიტყვა გალაკტიონი — 1917 წელს, პეტერბურგში ყოფნისას, სარეჟისორო გამოცდები ჩავაბარე. მახსოვს, სადიპლომო შრომად მქონდა ალ. ოსტროვსკის პიესა „лес". „ხუთზე" შემიფასეს. ოვაციები გამიმართეს. ასე რომ... თუ პოეტობას ამიკრძალავენ... რეჟისორი გავხდები... ვათამაშებ არტისტებს და ვიქნები რეჟისორი... — გულუბრყვილოდ ჩაიხითხითა, დაფანჩულ წვერზე ხელი ჩამოისვა და მომმართა:

— გოგი, ბიძიკო, ჩემი იუბილე იქნება მალე. სადიპლომო ნაშრომზე გამახსენდა, შენი სადიპლომო ხომ ჩემი პოეზიის შესახებ არის. თუ სიტყვად[1] გადააკეთებ ზოგ ადგილს და სცენიდან წაიკითხავ, კარგი იქნება. ამას გარდა, ჩემი შემოქმედების გამოფენის მოწყობა უნდათ. უნდა დამეხმარო მასალების დაჯგუფებაში.

— მეც დაგეხმარებით, — ჩაერია მამაჩემი, შემდეგ გამომატანინა გალაკტიონის წიგნი, რომ წამეკითხა ზოგი ლექსი.

— აჰა, არა, ბენო, შენი ჭირიმე... რად გინდა ჩემი ლექსების კითხვა?.. აჰ, არა, მაგას ჯობია, ვიმღეროთ, კარგი?

მოხევის ქალო თინაო,
ჩემთან წამოდი შინაო...

— დაიწყო პოეტმა სიტყვების თამაშით...
პაპიროსი მივაწოდე, არ გამომართვა.

---

[1] წაიკითხე 1957 წ. 25 მაისს თბილისის საფინანსო ტექნიკუმში.

— წავიდეთ, ავტოთი ვისეირნოთ ქალაქში! — კვთხოვა გალაკტიონმა, როდესაც სუფრიდან ავიშალეთ.

მამაჩემმა სამუშაო მოიმიზეზა. მე და ჩუდეცკი წავყევით.

ქუჩაზე გალაკტიონმა ჩაიღიღინა, მე და მხატვარს ჩაგვავლო ხელები მკლავებში და... გავისეირნეთ. ავტოს ძებნაში კარგა ხანს ვისაუბრეთ და ვიარეთ ღამეში ჩაძირულ ქუჩებში. საიდანღაც ტლანქი მუსიკა და თბილისური სალაღობო სიმღერა მოისმა. გალაკტიონმა სიცილით გვთხოვა, „ლათაიები“ მოვისმინოთო და... სასაუზმეში შეგვიყვანა.

კაბინეტში მოგვათავსეს. ნაცნობი (და ვინ არ იცნობდა გალაკტიონს!) მომტანი, იერით ტიპიური ქართველი, დათიკო ლაშხი დატრიალდა, „თავი მოიქაჩლა“, შამპანური მოგვართვა და შამფურებიდან მწვადები ჩამოხსნა.

— ისევ ჩვენსას გაგვეგრძელებინა, რაღა აქ მოვედით? — ვუსაყვედურე გალაკტიონს.

— ხანდახან ასეთ ადგილსაც უნდა ეწვიოს კაცი, — გამიცინა მან, — მოვისმინოთ ასეთი მუსიკაც. ხომ ხედავ, რა დღეშია ეს ჩვენი მედოლე. ხო-ხო-ხო, რას მღერის! გადასარევია პირდაპირ! არ მოგწონს?

თამადა დამარქვეს და დოლ-გარმონის ჭყივილში დავიწყეთ საუბარი... გალაკტიონი ისევ ეთამაშებოდა სასმისს. მიატანდა ტუჩებთან, ცოტას მოსვამდა.

მხატვარი თანდათან ბრუვდებოდა. უცბად გამოფხიზლდა და ორიოდე სიტყვით ახსენა მაიაკოვსკის შემოქმედება. გალაკტიონი შეედავა.

— რა გწყინს, შე კაცო? გეუბნები, შენ მაიაკოვსკის ოდენა პოეტი ხარ და შენი პოეზია ძალიან ჰგავს იმის ლექსებსჰეთქი. შენ კი ამაყობ და ყოყოჩობ! — უტევდა ფედია.

— შენ რა გესმის, ლენჩი ხარ! — გაგულისდა პოეტი, ღონივრად დაჰკრა მუშტი მაგიდას და ამაყად განაგრძო, — მე ქართველი კლასიკოსების ტრადიციებს ვაგრძელებ. მაიაკოვსკიმ კი რუსული ლიტერატურის ტრადიციები უარყო. მე ვამბობ, რომ ის დიდი პოეტია, მაგრამ ჩემი და მისი შემოქმედება სულ სხვადასხვაა.

ისევ შეუტიეს ერთმანეთს და თუმცა ორივენი მომმართავდნენ ხოლმე თავთავიანთი აზრის დასტურისათვის, ნეიტრალიტეტს ვიცავდი, რადგან მაიაკოვსკიზე ჩემი შეხედულების გამოთქმა კიდევ უფრო გაართულებდა პაექრობას. გარდა ამისა, მიტაცებდა მოსმენა ყმაწვილკაცობის მეგობართა მოურიდებელი კამათისა, რომელშიც სიცოცხლეშივე გენიოსად აღიარებული პოეტი ტოლსავით უცქეროდა ძველი დუხჭირი ცხოვრებისაგან ხელმოცარულ უასპარეზო მხატვარს.

ფედიამ ჩათვლიმა.

ნაცნობმა ახალგაზრდებმა დაგვლოცეს, შემდეგ უცნობი რუსი ოფიცრები მოვიდნენ, გალაკტიონის ლექსები თქვეს რუსულად, თხოვეს დაელია მათთან, მაგრამ ავუხსენი, შეუძლოდ არის-მეთქი.

გალაკტიონს ჩემი ნაცნობებიდან მიშა გოკიელი მოეწონა. გვერდით მოისვა. მერე ჩაძინებულ მხატვარს შეხედა და თქვა:

— საწყალი ფედია, უფალმა მიიღო!

— სახელითა მამისათა და ძისათა... უფალო, შეიწყალეეე! — წავიმღერე.

— ააამინ! — ჩაიბუბუნა გალაკტიონმა.

— ჰა, ფედია! გესმის?.. არ გესმის?.. როგორ სძინავს საწყ-

ალს... იცი, ეგ მარტოკა ცხოვრობდა ბაღდადში... ცალკე ბინა ჰქონდა, ახალგაზრდობაში ამხანაგები თავს ვიყრიდით იქ, ვკითხულობდით, ვხატავდით, ვქეიფობდით, — სიცილით მიამბობდა პოეტი.

დოლ-გარმონი აიბარგა. ხალხიც თანდათან გაიკრიბა. მყუდროება დასადგურდა. ღრიჭედ დარჩენილი კარიდან იანვრის საღი ჰაერის ჭავლი შემოიღვარა.

ღამის პირველ საათზე ელექტროშუქი ჩაქრა. ოფიციანტებმა ორი სანთელი აანთეს. კედლებზე და ჭერზე ორიოდე ლანდი დაღოღავდა. სიჩუმე დაგუბდა.

ფედიას სძინავს. გალაკტიონი ჩაფიქრდა. მე უგემურად ვაბოლებ უკანასკნელ პაპიროსს. შევცქერი დიდი პოეტის სახეს და უნებურად მაგონდება მისი სიტყვები:

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება...

დაქანცული ფიქრებით ვეძებ დღევანდელ თარიღს. იბადება კითხვა, რომელი საათია? და ვიდრე საათს დავხედავდე, უხმოდ გუნებაში ვამბობ მეორე ლექსსაც:

ახლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.
გულში მწუხარებამ ღამე გაათია...
მაინც არ მასვენებს მწარე სინანული,
რომელი საათია? რომელი საათია?
იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი
თრობის საათია, ღვინის საათია!“
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე:
რომელი საათია?

— „ამგვარი იყო მთაწმიდაზე შემოღამება!“ — წარმოსთქვა გალაკტიონმა ნ. ბარათაშვილის ტაეპი. — ჰა, რას იტყვი? ხომ დიდი პოეტი იყო! გენიოსი, Чудотворец в поэзии!

* * *

გალაკტიონი ამაყობდა, რომ მისი შემოქმედება ქართული კლასიკური ლიტერატურის საძირკველზე იდგა.

— ევროპელი ფორმალისტების უშნოდ მიმდევარი ერთი პოეტი ჩამაცივდა, ლექსში ფორმა უპირველესი რამ არისო. მაშინ, მახსოვს, დავწერე ლექსი „აი, რა მზის სიზმარია“... და ვუთხარი იმნაირ პოეტებს, აბა, თუ ბიჭები ხართ, მეორე ასეთი ლექსი თქვენ დაწერეთ-მეთქი! — მიამბობდა გალაკტიონი. — აქ სიტყვები წალმა-უკულმა იკითხება:

აი, რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია,
აი, დროშა, აშორდია,
აერების სიბერეა.

ეს ლექსი მხოლოდ ფორმისათვის დავწერე, ისე, სათამაშოდ. მერე კი ზოგმა კრიტიკოსმა ჩემი მსოფლმხედველობის განსახიერებად, საპროგრამო ნაწარმოებად, ლამის შემოქმედების მთავარ ძარღვად ჩამითვალა სიტყვების ეს უბრალო ზმათამაშა და ისე შემომიტია, თითქოს აზრიანი არაფერი დამეწეროს ამ ქვეყანაზე.

...და არ ეპიტნავებოდა ყველა ისინი, ვინც ცდილობდა „ორ პერიოდად“ დაეყო მისი შემოქმედება და მისი რევოლუ-

ციამდელი ლექსები სიმბოლისტურად მოენათლა. მაგრამ იყვნენ ისეთი კრიტიკოსებიც, რომლებმაც სათუთად გააანალიზეს გალაკტიონის ჩანგის ნაჟღერი, არაერთხელ აღუნიშნავთ პრესაში, რომ „მის ადრინდელ ლექსებში გამოხატული მწუხარებისა და სულიერი ობლობის დრამას თავისი წარმომშობი და მასაზრდოებელი ფაქტორებით საერთო არაფერი აქვს დეკადენტური პოეზიისათვის დამახასიათებელ სკეპსისთან და ანტიხალხურ, ანტირეალისტურ მისწრაფებებთან“[1], ხოლო მკვლევართა ნაწილმა მეცნიერულ ნაშრომებსა და სტატიებში კატეგორიულად უარყო პოეტის შემოქმედების დაქუცმაცების ცდა და საკითხი პირდაპირ დააყენა, რომ „გ. ტაბიძის გზის ორ საპირისპირო პერიოდად დაყოფისას იჩქმალება პოეტის „გაუტეხელი სულისკვეთება“, რომლითაც იგი მიჰყვებოდა „ახალ ეპოქის საფეხურებს მძლე იდეათა“[2].

მართალია, გალაკტიონი ლექსის უმაღლესი ფორმების შემქმნელი პოეტია, მაგრამ მხოლოდ ფორმისათვის შექმნილი, შემეცნებითს ღირებულებას მოკლებული ნაშრომები მას შემოქმედების სრულფასოვან ნიმუშად არ მიაჩნდა. ამიტომაა მისი ლექსები ესოდენ ღრმააზროვანი, განზოგადებული იდეებისა და პრობლემების შემცველი. სწორედ ბევრი მისი ნაწარმოების ფილოსოფიურმა სიმაღლემ დააფრთხო ნაწილი კრიტიკოსებისა. მათ დეკადენტური უწოდეს და გააპრიმიტიულეს იმ ლექსების გაგება, რომლებშიც, ბესარიონ ჟღენტის

---

[1] ბ. ჟღენტი. „საქ. სახალხო პოეტი გ. ტაბიძე“, 1953 წ. (ბროშურა).

[2] ა. ჩაჩიბაია. „გ. ტაბიძის ორი ლექსის დათარიღებისა და სწავლების საკითხისათვის“, გაზ. „სახალხო განათლება“. 4 მაისი. 1960 წ.

სამართლიანი თქმით, არის ერთგვარი ქვეტექსტი — ფარული, ამოსაცნობი აზრი, რომელიც ალეგორიების ბურუსშია გახვეული და... ხშირად სწორედ აქ ჩანს ხოლმე გალაკტიონი, როგორც მხატვრული სახეების დიდოსტატი და პოეტი-მოაზროვნე.

* * *

გალაკტიონ ტაბიძეს თავისებური შეხედულებანი ჰქონდა პოეზიაზე, პოეტიკაზე, წერის სტილსა და მანერაზე.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი აზრები იერსახეებით აზროვნების შესახებ...

ერთხელ გვიან ღამით, ჩვეულებისამებრ, გავაცილე ჩვენი სახლიდან „დინამოს“ სტადიონამდე. გალაკტიონი წყნარად მიაბიჯებდა მდუმარე ქუჩაზე, ხშირად ჩერდებოდა და ხელების გაშლით მესაუბრებოდა.

— რა კარგი იქნება, რომ დაწეროთ წიგნი, რომელშიც ასახული იქნება თქვენი შეხედულებანი იერსახეებით აზროვნების, ჟანრებისა და ნიუანსების შესახებ, რომ მკითხველისათვის და ახალგაზრდა პოეტებისათვის ცნობილი გახდეს გალაკტიონის მიერ ახალ სალექსო ფორმათა ძიების ზოგიერთი პროცესი მაინც, — ვუთხარი პოეტს.

— იმ დღეს შენ წიგნი მაჩვენე, ა. ბელის «Поэзия слова»... იმდაგვარი რომ დავწერო, ხომ? — შემეკითხა პოეტი.

— დიახ, ან უფრო ვრცელი.

გალაკტიონი ჩაფიქრდა და მოწყენით მიპასუხა: — ამ იდეის განხორციელება ცალკე მუშაობას მოითხოვს. უჩვეულო სამუშაოს განსაკუთრებული მყუდროება სჭირდება... მე კი, აბა, სადა მაქვს ასეთი, სულ გაწამაწიაში ვარ, ხომ ხედავ!

ბოლოს თითქოს დამეთანხმა კიდეც, რომ ნელ-ნელა იმუშავებდა ასეთ წიგნზე და იმ ჩანაწერებსაც გამოიყენებდა, რომლებიც თავის არქივში ეგულებოდა.

* * *

ხშირად, ტექსტზე მუშაობის დროს, გალაკტიონი ქაღალდებში ჩაფლულ კალმისტარს მოიძევდა, ვერ იპოვნიდა... ჩემ ავტოკალამს მივაწოდებდი. რაც უნდა „მაგარი" სამუშაო გვქონოდა, გამიღიმებდა, მეასეჯერ შემეხუმრებოდა: „პოეტმა თავისი კალმისტარი მხოლოდ პოეტს უნდა ათხოვოს, ან იმას, ვინც ძალიან უყვარს და პატივს სცემს, თორემ სხვა დაუთარსავს, მაგრამ... ერთი ძველი ჩვეულებაა კიდევ — არაპოეტმა პოეტს არ უნდა სთხოვოს კალამი". ისე იტყოდა, თორემ, ცხადია, კალმისტრები და ფანქრები არასოდეს მიუჩნევია ფეტიშად. ხშირად კარგავდა, აქა-იქ გააბნევდა და არც აგრერიგად ფატალისტი კაცი იყო, რომ „თარსი ხელი" სწამებოდა.

დაუმთავრებელ ნაწარმოებს ძე-ხორციელს არ წააკითხებდა. არც რჩევას ჰკითხავდა ვინმეს, როგორ წარემართა ლექსის შინაარსი თუ იდეა. ვიცოდი მისი ეს ჩვევა და მარტოც რომ ვიყავი ხოლმე ოთახში, მის დაუმთავრებელ ხელნაწერს არასოდეს არ წავიკითხავდი, არც გავეკარებოდი — გუნებაში ტაბუდ მქონდა მიჩნეული.

ახლად დამთავრებულ ნაწარმოებს ორი-სამი დღით „მიაგდებდა", მერე გაჩალხავდა, გადაათეთრებდა და მხოლოდ

ამის შემდეგ წააკითხებდა მახლობლებს, ისმენდა მათ რჩევას. დაბეჭდვა კი არასოდეს არ ეჩქარებოდა.

* * *

1958 წლის 21 იანვარს გალაკტიონი ავადმყოფი იწვა. შესრულებული ნამუშევარი ჩავაბარე, ბლოკნოტში ჩავიწერე შენიშვნები და წასვლა დავაპირე, მაგრამ არ გამიშვა, ვისაუბროთო...

საუბარი ექიმის მოსვლამ შეგვაწყვეტინა. იგი გალაკტიონის ძველი ნაცნობი აღმოჩნდა. დიდხანს სინჯა ავადმყოფი, რომელიც ჭრელი პიჟამას შარვლით, წელს ზევით გახდილი იდგა შუა ოთახში, ირონიულად იღიმებოდა, თვალს მიკრავდა და ექიმზე ისე მიმითითებდა, რომ მთელი მისი სახე ამბობდა: „საქმეშია, რაღა!“ თან მარმარილოსავით პიტალო მკერდი ექიმისაკენ მიეშვირა.

— კიდევ მაჩვენე მაჯა!.. სიზმრები გქონდა?

— კი!

— რას ხედავდი?

— ავდიოდი მაღლა-მაღლა, მთაზე, სოხუმში. ავდიოდი დიდი ტანჯვით, ვაი-ვაგლახით და... ვერ მივაღწიე. — ჩაფერფლილი ხმით თქვა გალაკტიონმა.

იმ წუთში ეს პატრიარქალური წვერით დამშვენებული კაცი, დიდი პოეტი და ჩვეულებრივი ავადმყოფი, მომაგონებდა რაფაელის ცნობილ ნახატს, რომელზეც ასახულია მაცხოვრის მსვლელობა გოლგოთაზე.

ექიმმა ბევრი შეკითხვა მისცა, რეცეპტები დაწერა და ურჩია, სხვა ექიმებსაც მიმართეო.

ნინომ კარებამდე მიაცილა მკურნალი, რომელმაც გასამრჯელოს მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

— ხომ გაიგონე, რა გითხრა? თავს უნდა გაუფრთხილდე, წამლები უნდა მიიღო... ასე არ შეიძლება, არა! — გულისტკივილით მიმართა ნინომ. გალაკტიონი სდუმდა, ოხრავდა:

— ეხ, ექიმი მიშველის მე? წამ-ლე-ბი!.. რა იცის ექიმმა, რა მიშველის?..

— ექიმს თუ არ დაუჯერებთ... — ვერ დავაბოლოვე, რადგან ისეთი მწუხარე თვალებით შემომხედა, რომ გავჩუმდი.

როდესაც ნინო მეორე ოთახში გავიდა, გალაკტიონმა დაიკვნესა და ჩუმად მითხრა:

— იცი, ისეთი საწყენი რამ შემხვდა... ველარ მოვითმინე... სხვა დროს გეტყვი, აუცილებლად გაგიმხელ.

შევცქეროდი მის მოწყენილ სახეს, და გალაკტიონთან მუშაობის ამ ხნის მანძილზე მხოლოდ იმ ერთხელ გამახსენდა ზოგი მკითხველის მიერ ყბადაღებული მისი სტრიქონები:

სადაც უნდა შევიარო,
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო,
ღვინოს დააბრალებენ...

თებერვალში გალაკტიონი მომჯობინდა. სახლიდან იშვიათად გადიოდა. მეცადინეობამ გაიტაცა. ხშირად ერთადაც გვიხდებოდა მუშაობა მის ბინაზე, ან მის ლაბორატორიაში, სადაც ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, ვწერდით პასუხებს კორესპონდენციებზე, ვღებულობდით სტუმრად მოსულ ორიო-

დე მეგობარს. ასე გადიოდა დაუვიწყარი დღეები, რომლებსაც ამშვენებდა გალაკტიონის მოგონებანი წარსულისა, მსუბუქი იუმორის კილოთი რომ მიამბობდა ხოლმე.

...და იმ თებერვლის სისვიან საღამოებში, როდესაც ტელეფონში მის ხმას გავიგონებდი, ლამაზი ავეჯით მოწყობილ ლაბორატორიას სითბო და სინათლე ემატებოდა.

— ხომ არ მოგიწყენია, ბიძიკო? მოვდივარ... ახლავე მანდ გავჩნდები! ახალ ამბებს გეტყვი! — იძახდა შინიდან ყმაწვილურად ხალისიანი და რამდენიმე წუთის შემდეგ დერეფანში ზარის წკრიალზე ვცდილობდი, დიასახლისისათვის დამესწრო კარის გაღება.

გალაკტიონი კრაველის ქუდს მოიხდიდა, პალტოს მოიშორებდა და იმდენ სიახლეს შემოიტანდა ზამთრის უფერულ საღამოში, რომ განცვიფრდებოდით, სად მოასწრო დღის განმავლობაში ამ კაცმა ამდენის ნახვა, წაკითხვა, გააზრება, დაწერა!

10 თებერვალს, მთავრობის სახლში მშენებლობის სამინისტროში ვიყავით. იქიდან საქმის წარმართვით კმაყოფილნი გამოვედით, გალაკტიონი გაჩერებასთან დაძრულ ავტობუსს შეახტა. დროზე მივაშველე ხელი, თორემ... კარგახანს ვიმგზავრეთ.

სადღაც ჩამოვედით და დიდხანს ვიარეთ ფეხით. მოგვშივდა. ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ მდებარე სარდაფის „კაბინეტში“ მოვთავსდით და სადილი მოვითხოვეთ.

როცა შევნაყრდით, თვალი თვალში გამიყარა და მკითხა:

— რატომ არ შემეკითხე, იანვარში როგორ გავხდი ავად, კინაღამ რომ მომკლა?.. ხომ დაგპირდი, სხვა დროს გიამბობ მეთქი?

— შეხსენება მომერიდა...

— ჩემი არ უნდა მოგერიდოს. პირიქით, აზრს რომ გაგიზიარებ, გულზე მომეშვება ხოლმე, მამაშვილობას გეფიცები!

უხერხულება დამეუფლა. თურმე ამოდენა კაცი ელოდა ჩემს თანაგრძნობას, ელოდა ერთ უბრალო შეკითხვას, რა გაწუხებსო და მე კი...

როდესაც გამოვერკვიე, ის თვალცრემლიანი მიამბობდა თავისი ცხოვრების წარსულს.

შემდეგ გაიხსენა ძველი მეგობრები: ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი...

დიდხანს იჯდა თავდახრილი და ცრემლიანი, როგორც ნამდვილ ჭირისუფალს შეფერის. მე კი ერთხელ კიდევ ჩავმარცვლე ხმადაბლა: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. თავი ასწია...

ოფიციანტს დაუძახა და ძველი ნაცნობობა შეახსენა. წინათ იმ კაცს[1] თურმე რესტორან „ქიმერიონში“ უმსახურია, სადაც ხშირად იკრიბებოდა ლიტერატურული ბოჰემა, მხატვრები და არტისტები. ხნიერმა ოფიციანტმა ახალგაზრდობის წლები გაიხსენა, კინაღამ ატირდა, ჩამოთვალა ძველი მოღვაწეები და დაილოცა.

გალაკტიონს გუნება შეეცვალა. წელში გაიმართა და წამოიძახა:

— მოდი ვიქეიფოთ! მე მინდა ბევრი სიმღერა და მხიარულება!

---

[1] ლაპარაკია გრ. მირიანაშვილზე.

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს!

— დრონი მეფობენ... დაე, იმეფოს დიდხანს დღევანდელმა და ხვალინდელმა დღემ! — წუხილი აღარ განმეორდება! გაუმარჯოს სიხარულის დღეებს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბრწყინვალე მომავალს! — სთქვა გალაკტიონმა... ჩემ ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოზე მიმითითა და თავისი საყვარელი სიმღერა მოიმღერა:

გეშვია, გეშვია,
ახალი დო ჯვეშია,
უჩარდია, უჩა კოჩი,
ვაშუნდიდა, მუშა მორთი?!

დამაცლევინა და მეგრულად გამესაუბრა. ისევე თავისუფლად მეტყველებდა, როგორც მღეროდა. სუფთად, ყველა ინტონაციის დაცვით.

— კიდევ ვიმღეროთ! — თქვა გალაკტიონმა და დაიღიღინა:

ორთავ თვალის სინათლევ,
რაზედ მოგიწყენია?!

ხმადაბლა, წყნარად, გულის სიღრმიდან მღეროდა, არავის ვაწუხებდით, არც თავს ვაწონებდით ვისმე. ქართული სიმღერის წყურვილს ვიკლავდით, მშობლიურ ჰანგებს ვეთაყვანებოდით...

— „ამგვარი იყო მთაწმიდაზე შემოღამება!“

რუსთაველის გამზირზე გამოსულთ, მართლაც, თებერვლის თბილისური შემოღამება გვეფინებოდა მხრებზე. პალტოს საყელოები ავწიეთ. გალაკტიონი დინჯად მიდიოდა.

სახალხო პოეტი ხალხში

ხანში შესული პოეტის ცხოვრებაში მეტად დიდი ადგილი ეკავა შეხვედრა-საღამოებს. ცხადია, ამას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ხალხით სავსე მიტინგებზე და აუდიტორიებში ყოფნა ხშირად დამღლელად მოქმედებდა გალაკტიონზე, ურღვევდა შემოქმედებითი შრომისათვის აუცილებელ ხანგრძლივ მყუდროებას და... ჯანმრთელობასაც. დღე არ გავიდოდა, რომ სადმე არ ყოფილიყო მიწვეული: თათბირზე აკადემიაში ან მწერლების სახლში, სტუდენტებთან, მოწაფეებთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან და სხვ.

გალაკტიონის მთელი ცხოვრება გენიალური შემოქმედისა და დაუღალავი ტრიბუნის რევოლუციური ტრიუმფი იყო. სიტყვამძიმე ორატორი, მაგრამ წარმოსადეგი გარეგნობის პოეტი, ორიოდე ლექსს წაიკითხავდა ხოლმე მოხსენებებითა და მისასალმებელი სიტყვა-ლექსებით გამოსულთა საპასუხოდ და მის მთრთოლვარე ხმაში ჩაღვრილი სითბო, სილაღე, უშუალობა და მუსიკა ერთ რიტმში მოაქცევდა ათასობით ადამიანთა სუნთქვასა და გულისძგერას.

ხშირად იგი მიწვეული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქებში, სოფლებში და იქ სტუმრად ჩასვლა მისი ეთნოგრაფიის მოყვარული ბუნებისათვის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიისა და ყველა კუთხის

ქართველთა ტრადიციების მცოდნე და მოტრფიალე პოეტმა ასეთ მოგზაურობებში არაერთი საინტერესო პატრიოტული გზნებითა და ლირიკული სითბოთი აღსავსე ლექსი შექმნა...

1948 წლის 18 სექტემბერს თბილისი-ფოთის მატარებლით ქ. ცხაკაიაში ჩასულ გალაკტიონს ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყვეს რკინიგზის სადგურში. ნანატრ სტუმარს უამრავი თაიგული უძღვნეს მოწაფეებმა და მშრომელებმა.

პოეტმა სასტუმროში შეისვენა და ქალაქის ბაღს მიაშურა გიორგი ჭალადიდელის საფლავის სანახავად, რომელიც ყვავილებით შეამკო. აქვე მოიგონა აკაკი წერეთლის სიტყვები გ. ჭალადიდელის შესახებ.

იმ ღამით საზაფხულო თეატრში გალაკტიონს მოუწყვეს შეხვედრა... პოეტმა მგზნებარე პათოსით წაიკითხა ლექსები: „ორი ლელო“ და „მადლობა, დიდი მადლობა“, რომლებიც ჩამოსვლის დღესვე დაეწერა. ხალხმა პოეტი კვლავ მქუხარე ტაშითა და ყვავილების თაიგულებით დააჯილდოვა. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას გალაკტიონ ტაბიძის სახელი მიეკუთვნა... კონცერტზე რემა შელეგიას ეთნოგრაფიული გუნდი გამოვიდა.

მოულოდნელად ვარსკვლავებით მოკენჭილ ცას ღრუბელი გადაეფარა და შხაპუნა წვიმამ ხალხი დაასველა, მაგრამ ფარდის დაშვებამდე ადგილიდან არავინ დაძრულა, სიყვარულით ადევნებდნენ თვალს დიდ პოეტს.

დიდი სუფრა გაიშალა შალვა ალანიას სახლში. გალაკტიონის მოსალხენად საუკეთესო მომღერალ-მოცეკვავენი, მეჩონგურენი, დაირასა და სხვა ხალხურ საკრავებზე დამკვრე-

ლი ქალაქის მშრომელნი მოვიდნენ... დაღლილმა პოეტმა მცირედი ხანი დაჰყო სუფრასთან, მელხინეთ მადლობა გადაუხადა და დასასვენებლად გაეშურა.

მეორე დილით ქალაქის თეატრში პიონერებმა და მოსწავლეებმა მიიწვიეს, საპატიო პიონერად აირჩიეს და კონცერტი გაუმართეს.

იმავე დღეს პოეტი მრავალსაუკუნოვან ნოქალაქევს ათვალიერებს. ძველის-ძველი „ციხე-გოჯის“ გალავანი, ჟამთა ქარბორბალათი შელეწილი ბურჯები, ქონგურები, საიდუმლო გვირაბები, ახლაც რომ ინახავენ ძველ ქართველ რაინდთა საბრძოლო ყიჟინის ექოს, ტეხურის ლეგენდარული ხეობა — პოეტის მეოცნებე თვალს უალერსებს.

გალაკტიონმა კურორტი მენჯიც მოინახულა... ცხაკაიას რაიონულმა გაზეთმა „ავანგარდმა“ სპეციალური გვერდი მიუძღვნა პოეტს, ადგილობრივმა რადიომ სპეციალური გადაცემა მოაწყო, სარაიონო ბიბლიოთეკაში მოეწყო გალაკტიონის წიგნების გამოფენა. (დაწვრილებით იხ. ბორის შენგელიას წერილი „მადლობა, დიდი მადლობა“, გაზ. „ავანგარდი“, 1959 წ. 16 დეკემბ.).

ცხაკაიაში დაწერილი ლექსებიდან „ორი ლელო“ პოეტის თხზულებათა VI ტომშია შეტანილი, ხოლო მეორე ლექსი პირველად დაიბეჭდა „ავანგარდის“ 1948 წ. სექტემბრის ნომერში, მეორედ — ამავე გაზეთის 1959 წ. 16 დეკემბრის ნომერში, სადაც აღნიშნულია, რომ „ამ პატარა ლექსმა თავისი ადგილი უნდა დაიკავოს სახალხო პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდ საუნჯეში“. აი ის ლექსიც:

მადლობა, დიდი მადლობა!

კაცს უგულობა შეაკრთობს, როგორც დღეს უსინათლობა,
გულწრფელი ყვავილებისთვის, მადლობა, დიდი მადლობა!
მადლობა ახალგაზრდობას, ვაჟკაცებსა და ხნოვანებს,
მე თქვენი სიხარულის გზა მარადის აღმაფრთოვანებს.
დღეს ჩემი ჩანგი, თქვენი ხმა საქართველოა მზიანი,
იმისი წინსვლა მედგარი, იმისი ადამიანი.
აღმშენებლობის ხანაში ჩანგის ხმა არ გვიანდება,
ჩემი ჩანგი და თქვენი ხმა აქ მტკიცედ ერთიანდება.
სიმართლის ნათელს დიდება, ძირს ბნელი უსამართლობა,
კოლხიდის მზეო მგზნებარევ, მადლობა, დიდი მადლობა!

* * *

პოეტის გამოსვლას მუდამ თან ახლდა გულწრფელი ტაში, თვით ისეთ ტრაფარეტულ და უღიმღამო საღამოზეც კი, როგორიც 1953 წელს მოუწყვეს თბილისის ოპერის თეატრში. იმ ერთხელ ვნახე გალაკტიონი თავისი „შეხვედრით“ უკმაყოფილო.

— მაიაკოვსკისაც ასე აღიზიანებდნენ პოეზიის მტრები და ბოროტი ადამიანები. — ამბობდა მეორე დღეს წუხილით.

— ხალხისთვის მთავარი იყო თქვენი ბრწყინვალე გამოსვლა, — ვანუგეშე პოეტი, — აი, ნახავთ, მომავალ შეხვედრებს მშვენივრად მოაწყობს ჩვენი საზოგადოება. თუმცა...

— რა, თუმცა?

— თუ არ გეწყინებათ...

— სთქვი, კაცო!

— რა, და... გაცდენენ, თავიანთი ტრაფარეტული მოხსენებებით და ბავშვური ლექსებით. მიგიწვევენ და... წინა დღეებშიც ვერ მუშაობთ, იმ საღამოზეც ღელავთ, განიცდით, დრო

გიცდებათ. დადგებიან ტრიბუნაზე და ამბობენ, გალაკტიონი ყველაზე დიდი პოეტიაო. ვის სჭირდება ეს? — მივუგე ნერვიულად.

— თითქოს მართალი ხარ, — მითხრა ჩაფიქრებით, — მაგრამ ჩემი ხნის რომ იყო, ასე არ იმსჯელებდი. იცი, რა უხერხულია უარის თქმა, როდესაც ხალხში ხარ მიწვეული? მართალია, მომაცდენენ მეცადინეობას, მაგრამ ხომ ხედავ, ყველაფერს თავს ვანებებ ხოლმე... რომ არა სთქვან, უკადრისიაო.. მე ხომ, მართლაც მიყვარს ხალხში ყოფნა!

გულთბილი საღამო გაუმართეს 1953 წ. პირველ ნოემბერს გალაკტიონს უნივერსიტეტში, სტუდენტური ორიგინალური ლექსები წაუკითხეს. გალაკტიონმა წაიკითხა ლექსი „განჭვრეტა ოცდაათი წლის“. შემდეგ კარგად შედგენილი პროგრამით ჩაატარეს კონცერტი.

მეორე დღეს რკინიგზის მხატვრული აღზრდის სახლში, სადაც იმ დროს ლიტწრეებს ვხელმძღვანელობდი, ჩავატარეთ გალაკტიონისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საღამო.

წინა დღეებში გალაკტიონმა დაათვალიერა ახალთახალი თეატრალური დარბაზი და მიწვევისათვის მადლობა უთხრა დირექციას. ამ საღამოს ჩასატარებლად ორი თვის განმავლობაში ვემზადებოდით.

ბავშვების გულწრფელი გამოსვლებით აღტაცებულმა გალაკტიონმა ტრიბუნიდან სამი ლექსი წაიკითხა. შემდეგ პარტერის პირველ რიგში ჩაჯდა ბავშვებში, ხელი გადახვია პატარებს და სიამოვნებით ისმენდა ნიჭიერი ბავშვების მონაწილეობით გამართულ დიდ კონცერტს.

მხატვრული აღზრდის სახლის უფროსის კაბინეტში ახლაც

სათუთადაა დაცული გალაკტიონის საიუბილეო საღამოს მასალები, მოსაწვევი ბარათი პროგრამით, რომელსაც ამშვენებს პოეტის პორტრეტი და ავტოგრაფი:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ!

11 ოქტომბერს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოუწყვეს შეხვედრა პოეტს.

ერთი წლის შემდეგ, 1955 წ., ჩემი ლიტწრის წევრი ბავშვები მიიწვია შინ, კარგახანს ესაუბრა და იმდენად დაინტერესდა მათი შემოქმედებითი მუშაობით (განსაკუთრებით ლექსებით), რომ ორჯერ გვესტუმრა რკინიგზელის სახლში, ერთხელ პოეტურ საღამოზე, რომელსაც ერქვა „ჩვენი პირველი ლექსები“ (20 თებერვალი) და მეორეჯერ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოზე, სადაც მოულოდნელად შემოვიდა დარბაზში. ტაშმა იქუხა, აუდიტორიამ გალაკტიონს მიაპყრო მთელი ყურადღება. პოეტი დინჯად მიესალმა ხალხს და პარტერში დაჯდა. ამ დროს ტრიბუნაზე იდგა მოსწავლე რევაზ მაღლაფერიძე, რომელმაც ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი დაამთავრა, და თავმჯდომარის დასტურით, ლექსით მიესალმა გალაკტიონს. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშითა და შეძახილებით აიტაცა ეს მისალმება.

ამავე წელს შესრულდა 1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავი. გალაკტიონმა მოაგროვა პირველი რევოლუციისადმი მიძღვნილი ლექსები და ცალკე წიგნად გამოცემას აპირებდა.

პროექტისა და კრებულის შედგენაში ვეხმარებოდი და რამდენიმეჯერ მესტუმრა მხატვრული აღზრდის სახლში. ჩვენს საშუშაოს რომ დავასრულებდით, ენერგიულად ჩაერეოდა ხოლმე ლიტერატურის წრის მუშაობაში, კითხულობდა მოსწავლეთა ლექსებსა და რეფერატებს, საუბრობდა მათთან, რჩევას აძლევდა და უამრავ საინტერესო ამბავს უყვებოდა თავისი თაობის მწერალთა ცხოვრება-შემოქმედებიდან.

* * *

— მეც მყავს ლიტერატურის წრე, — მითხრა ერთხელ გალაკტიონმა და ა. წერეთლის მოსაგონარი საღამოს მოსაწვევი ბარათები მომცა.

იმ დროს გალაკტიონი მწერალთა კავშირის პოეტთა სექციის გამგე იყო. არაერთხელ მიამბობდა, თუ როგორი სიცხოველით ჩაატარა „ერთი ლექსის“, „ერთი ბალადის“ და სხვა საღამოები, სადაც ძველი და ახალი ქართველი პოეტები თითო-თითო ახალ ნაწარმოებს კითხულობდნენ და შემდეგ განიხილავდნენ. ეს იყო უაღრესად საინტერესო, გულთბილი საღამოები, რაც დიდ როლს ასრულებდა ქართველ პოეტთა „ძმობის ორდენის“ რაინდული სულისკვეთებით განმტკიცების, შემოქმედთა შორის სამშობლოსა და ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში შერყეული ურთიერთპატივისცემის აღდგენისა და, რაც მთავარია, ახალთაობის საბჭოთა რომანტიკის სულით აღზრდის დიად საქმეში. ამ სალონური სიმყუდროვით გარემოცულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ აგრეთვე მხატვრები და მუსიკოსები, კინოსა და თეატრის მუშაკები, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელნი. ერთი სიტყვით, ეს

იყო თანამედროვე კულტურის ერთ-ერთი ძვირფასი კერა, რომელსაც დევიზად ჰქონდა არჩეული გალაკტიონის აზრი:

— არ ვარგა მომღერალი, რომელსაც ჰგონია, რომ მის მეტს არავის ეძლევა სიმღერის უფლება. არც პოეტი ვარგა, რომელიც ხელს უშლის პროფესიით არაპოეტს, ლექსები წეროს. წეროს ყველამ, იმღეროს ყველამ... მაშინ უფრო მეტად ეყვარება თვითეულს სამშობლო, ხალხი და შრომა, ხოლო უკეთესთა შემოქმედება გამოვაქვეყნოთ კიდეც, სახალხო გავხადოთ.

აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოზე გალაკტიონთან ერთად მივედი (1955 წ. 2 ივლისს). მწერალთა სახლის სხდომათა დარბაზის გვერდით სალონში, კართან, ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ი. გრიშაშვილმა ხელი ჩამომართვა, გალაკტიონს თვალი აარიდა (უმძრახად იყვნენ!) და გვერდის აქცევა დააპირა, მაგრამ ისე მაგრად ჩავავლე ხელი, რომ ორი კაცი ვერ წამართმევდა. მეორე ხელი გალაკტიონს მოვხვიე წელზე და ორი პოეტი დამნაშავე მოწაფეებივით დავუპირისპირე ერთმანეთს. მხოლოდ ერთი ფრაზა ვთქვი აღელვებით:

— სირცხვილია, მთელი საქართველო შემოგცქერით, თქვენ კი...

— ჩემო სოსო, ჩემო სოსო! — გულში ჩაიკრა გალაკტიონმა.

აბა, რა ფიქრი უნდა, გრიშაშვილს ცრემლები წამოუვიდა, ბუტბუტებდა:

— გალაკტიონ, ჩემო ძვირფასო, როგორა ხარ?

მაშინვე საუბარი გააჩაღეს. შეუმჩნევლად გავინაპირე და მოშორებით სავარძელში ჩავეშვი.

გალაკტიონის თაოსნობით აკაკის საღამო მეტად პოეტურად ჩატარდა.

წამოსვლის წინ ვიღაცამ ლარნაკიდან დიდი თაიგული ამოიღო და გალაკტიონს მიართვა.

გალაკტიონმა მანქანით მიმიყვანა შინ. თაიგული გადმომცა და თავისი ხავერდოვანი ხმით მითხრა:

— ეს შენს პატარა ქეთინოს მიართვი გალაკტიონისაგან!

* * *

იმავე თვეში გალაკტიონი გაემგზავრა ვანში. თავისი დედის გარდაცვალებიდან ოცი წელი იქნებოდა გასული, რაც იქაურობისთვის არ მიეკითხა. სამტრედიიდან ვანამდე ყვავილებს უფენდნენ, ტაშითა და სიმღერით ხვდებოდნენ პოეტს ყოველ სოფელში. ზღვა ხალხის გამო კლუბში ჩასატარებელი თემატური საღამო ღია ცის ქვეშ ჩატარდა და მიტინგად გადაიქცა... შემდეგ სოფელი სალხინო, ფერადი ელნათურები პ. ლორთქიფანიძის ეზოში, ძველთაძველი ჭადრის ტოტებს ქვეშ გრანდიოზული ბანკეტი და ვარსკვლავეთში გაგორებული მოქათქათე სავსე მთვარე.

მოგონებები ცვლიან მოგონებებს. ამ მიდამოებში გატარებულმა ბავშვობისა და ყრმობის წლებმა კინემატოგრაფიის ლენტივით გაირბინეს გალაკტიონის თვალწინ. მის ხელში გიტარა აეღერდა და მეზობლებისა და მეგობრების ხილვით აღტაცებულმა პოეტმა წყნარად წამოიწყო სიმღერა: „მახსოვს პირველად სასწავლებელში“. შემდეგ გიტარა გადადო და სადღეგრძელო წარმოსთქვა:

მეორე დღეს გალაკტიონის და მისი თანამგზავრების ავტომანქანებმა სოფელ შუამთის მიაშურეს, გეზი პოეტის მშობლიურ სოფელ ჭყვიშისკენ ჰქონდათ აღებული.

შუამთაში მანქანების ქარავანს პიონერებმა თაიგულები და შეძახილები შეაგებეს... სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეზოში მიტინგი, ლექსების კითხვა და ცეკვა გაიმართა. შემოიტანეს წინადადება, იმ სახლში, სადაც პოეტი დაიბადა, სახლ-მუზეუმი მოეწყოთ, ხოლო შუამთის კულტურის სახლს გალაკტიონ ტაბიძის სახელი ეტარებინა. პოეტმა აქაც თავისი მგზნებარე ლექსებითა და გულითადი მადლობით უპასუხა საზოგადოებას.

ჭყვიში. გალაკტიონის კარ-მიდამო. გულში იკრავენ, კოცნიან პოეტს 86 წლის ბიძა დიმიტრი ტაბიძე, ბიძაშვილი — ტიციან ტაბიძის ძმა, სიმონ ტაბიძე და უამრავი ნათესავი და მეზობელი. მხიარული ყიჟინით ჩაუარეს მდინარე რიონს და ისევ პოეტის ეზოში დაბრუნდნენ. აქ ისევ მეგობრები და ნათესავებია, მათ შორის პოეტის ღვიძლი ბიძაშვილი, ხნიერი მანდილოსანი ეთერი, რომელიც ცრემლიანი სიცილით უამბობს დამსწრეთ „პატარა ბუთხუზა გალაკტიონის“ ბავშვობაზე.

ალვის ხეები აშოლტილა ჭყვიშის გზაზე. ბროწეულებშ ჩაფლული იმერული ოდა-სახლები და ყანები გასდევს რიონის ნაპირს.

გალაკტიონის სახლის გვერდით ძველი სასაფლაოა. იქ, ათასწლოვანი მუხის ძირას, წერდა სიჭაბუკეში იგი ლექსებს: „რიონის პირად“, „მესაფლავე“... ახლაც ხალხის შეუმჩნევლად განმარტოვდა და თვალცრემლიანი დიდხანს იდგა დედის საფლავთან.

ცაცხვის, მსხლისა და თუთის ხეებითაა დაბურული ტაბიძეების კარ-მიდამო. დაბალ ფიცრულ სახლს აივანი ამშვენებს.

უნაპირო სუფრა გაიშალა პოეტის ეზოში. მხიარული მასპინძელი გალაკტიონი მამაპაპურად ილხენდა მახლობლებში.

თბილისელმა კინოოპერატორებმა გალაკტიონის მოგზაურობის საყურადღებო მომენტში გადაიღეს და შექმნეს დოკუმენტური ფილმი „გალაკტიონი ვანის მშრომელებთან". ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა აღნიშნეს გალაკტიონის მოგზაურობა მშობლიურ კუთხეში.

* * *

1955 წლის 30 ივლისს გალაკტიონი ახალქალაქშია, კულტურის სახლში მოუწყვეს შეხვედრა, სცენა ყვავილებში ჩაეფლო... გალაკტიონი კითხულობს ლექსებს. მომდევნო დღეებში მოგზაურობს მესხეთ-ჯავახეთში, ფარავნის საძოვრებზე ეს-ტუმრა კახელ მწყემსებს, ფარავნის ტბის შემოგარენი მოიარა და დაწერა ლექსი „მესხეთ-ჯავახეთი". მწყემსებს დაუმეგობრდა, ნაბადი მოიხურა, კომბლით ხელში გაჰყვა ცხვარს, ცხენზე ამხედრდა, ჭაბუკივით გააჯირითა...

ჭობარეთის ტყეში პიონერთა ბანაკმა მიიწვია, პიონერთა რაზმში ჩარიცხეს პოეტი, ლექსები და თაიგულები მიართვეს.

დაუღალავი იყო გალაკტიონი იმ დღეებში. ახალქალაქში პურის აღება-გალეწვას დაესწრო, კოლმეურნეებში გაერია, ბევრი ისაუბრა. კუმურდოს ტაძარი მოინახულა, სოფლებში ისეირნა, ასპინძაში დაბრუნდა და 4 აგვისტოს, სოფელ საროში მიწვეული, იქაური სკოლის შენობაში მიესალმა ხალხს. ერთი დღის შემდეგ ადიგენში ჩაფიქრებული ათვალიერებდა ზარზმის მონასტერს. შემდეგ ისევ გაუმართეს შეხვედრა. პოეტმა წაიკითხა მოგზაურობის დღეებში დაწერილი ლექსი:

„...ხარობდეს და დღეგრძელობდეს ვინმე მესხი ახალ ხანის,
მესხი მესხეთ-ჯავახეთის, მესხი „ვეფხისტყაოსანის“.

აბასთუმანი... ბორჯომ-ბაღი. იქაური კულტურის სახლი, კვლავ ყვავილები, გრძნობით სავსე მისალმებანი და პოეტის მადლობით აღსავსე ლექსი „ბორჯომის მუხა“:

...სალამი სიმღერას! ის მრავალძალია
იქ, სადაც განთქმული ბორჯომის წყალია...
სალამი ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას,
მის ტურფა ბუნებას და მოსახლეობას!

ძველი ლექსებიც წაიკითხა...

ბორჯომ-ბაღის სადგურზე ხალხმა ხელში აიტაცა გალაკტიონი, ისე შეიყვანეს მატარებლის ვაგონში. (ზოგი შეხვედრა დაწვრილებით იხ. ფ. ნიშნიანიძის „გალაკტიონის რამდენიმე შეხვედრა საქართველოს მშრომელებთან“, ბროშურა, 1960 წ.).

* * *

აგვისტოს ბუღში გახვეულ თბილისში, მთაწმიდის პანთეონში*, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 50 წლისთავს დაესწრო გალაკტიონი, დიდებული გვირგვინით შეამკეს მან და გიორგი ლეონიძემ ვაჟას საკრძალი. დიდხანს დადიოდა ღრმად დაფიქრებული გალაკტიონი პანთეონში. სევდიანი თვალებით უმზერდა ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს. ამბობენ, კაეშნიანი ღიმილით მიმართა მახლობლად მყოფ ლიტერატორებს:

---

* ეს იყო 1955 წ.

— როდესაც ამქვეყნად აღარ ვიქნები, ნეტავ აქ ახლოს გამითხარონ სამარე.

ხელი ჩაიქნია და მარტოკა დაეშვა დაღმართზე.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ გალაკტიონი წყნეთის (რკინიგზელთა ბავშვების) პიონერთა ბანაკმა მიიწვია. ბანაკი მისი აგარაკის გვერდით იყო განლაგებული. პიონერები სასულე ორკესტრით მიადგნენ პოეტის ეზოს და ქართული მარში დაუკრეს. გალაკტიონი სიცილით გამოეგება ყმაწვილებს და მათ შორის ჩადგა. ბანაკის ეზოში პოეტი საპატიო პიონერად აირჩიეს და წითელი ყელსახვევი გაუკეთეს. პატარები ეალერსებოდნენ მგოსანს, მისალმებანი და ლექსები წაუკითხეს. გალაკტიონმა რამდენიმე პატრიოტული და თემატურად საყმაწვილო ლექსი წაიკითხა, მათ შორის ამ შეხვედრისათვის სპეციალურად დაწერილი ლექსიც:

ბევრი რამ მაქვს მე თქვენთან
საძმო, საამხანაგო,
რკინიგზელთა შვილების
პიონერთა ბანაკო!
(იხ. ტ. VII)

ცხადია, „იმ რკინიგზელებში“ პოეტი გულისხმობდა თავის თანამოაზრეებს, ძველი რევოლუციური კერის, თბილისის დეპოს მუშებს, რომელთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ოქროს ასოებითაა აღბეჭდილი ისტორიაში.

* * *

განსაკუთრებით უყვარდა გალაკტიონს მუშები. მეტად გაუხარდა, როდესაც 1956 წლის სექტემბერში ტყიბულის მეშახტეებმა მიიწვიეს. გზადაგზა ისევ შეხვედრები და ოვაციები... სოფლები ორპირი და ხრესილი, ბოლოს ტყიბულსაც ეწვია.

გულისცემით ათვალიერებს მოხუცი პოეტი ტყიბულის მიდამოებს. აქ, ტყიბულის ერთ-ერთ სოფელში, დიდი ხნის წინათ, მასწავლებლად მუშაობდა პოეტის მამა, ვასილ ტაბიძე, რომელიც გალაკტიონის დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა. გალაკტიონი მანამდე არასოდეს ყოფილა ტყიბულში და ამ კუთხის ნახვა მეტად ესიამოვნა. იგი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მაღაროებს. ერთ-ერთ მაღაროში მუშებმა ნათურით დამშვენებული მოვერცხლილი მეშახტის ქუდი უსახსოვრეს წარწერით.

* * *

არანაკლებ უხვი იყო შეხვედრებით 1957 წელი. 22 მაისს გალაკტიონი თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-19 სკოლამ მიიწვია, შემდეგ ზედიზედ მიიწვიეს სკოლებსა და ტექნიკუმებში. განსაკუთრებული სიყვარულით გაუმართა შეხვედრა თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმმა. თავმჯდომარე ი. ადეიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ მთავარი მოხსენება „ხელოვნების საკითხი გ. ტაბიძის შემოქმედებაში“ წაიკითხა ამ სტრიქონების ავტორმა. მისალმებებითა და ლექსებით გამოვიდნენ გ. ტაბიძის სახელობის ლიტერატურული წრის წევ-

რები (ტექნიკუმში დღემდე არსებობს ეს წრე). ფოიეში მოწყობილი იყო პოეტის წიგნების, ხელნაწერების, პორტრეტების და ქანდაკებების გამოფენა.

მახსოვს, შეხვედრის შემდეგ გალაკტიონმა ნაყინზე მიგვიწვია. კაფეში გალაკტიონი ოხუნჯობდა, შინაურულად იქცეოდა, უცნობებს ესაუბრებოდა. ხალხი ალერსიანი ღიმილით მისჩერებოდა პოეტს და თავაზიანად პასუხობდა შეკითხვებზე.

იმავე წლის 8 ივნისს ა/კ თბილისის რკ. გზ. კლუბმა (რკინიგზელის სახლში) მოაწყო პოეტთან შეხვედრა. ბესარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ და იმდენი ლექსებიდან მოიტანა ზეპირად ვრცელი ციტატები, რომ აღტაცებული აუდიტორია დიდხანს უკრავდა ტაშს. მე, პოეტის გვერდით ვიჯექი პრეზიდიუმში. გალაკტიონმა გაბრწყინებული სახით გადმომხედა და თქვა:

— ხედავ, რა ბრწყინვალე მეხსიერება აქვს ბესოს?!

სხვათა შორის, ამ საღამოზე გამოვიდა აწ გარდაცვლილი პოეტი გიორგი ლეჟავა (რომელიც წარმოშობით გალაკტიონის სოფელ ჭყვიშიდან იყო) და წაიკითხა ჯერ გალაკტიონისადმი მიძღვნილი, ხოლო შემდეგ გალაკტიონის ლექსები.

ფოიეში აქაც მოწყობილი იყო გალაკტიონის შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

* * *

ახლოვდებოდა ქართული ხელოვნების დეკადა, რომელიც მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო 1958 წელს. 10

მარტს გალაკტიონი ვინახულე. იწვა, კანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა, ხელ-ფეხი უთრთოდა, არიტმულად უცემდა გული. ექიმს გაუსინჯავს. უთქვამს, კოჯორში წაიყვანეთო დასასვენებლად.

— მოსკოვში ერთად უნდა წავიდეთ... როგორც მოვილაპარაკეთ... ხომ წამოხვალ? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეუბნებოდა გალაკტიონი. დიდხანს არ გამიშვა სახლიდან. ჩათვლემდა და მეორე ოთახში გავდიოდი. ისევ გაახულდა თვალებს, დამიძახებდა, მელაპარაკებოდა, ათას რამეს მეკითხებოდა, მგზავრობისათვის გეგმებს აწყობდა...

ვამგზავრების წინდღით მე გავხდი ავად, მაგრამ გავრისკე და ჩემოდანს მოვკიდე ხელი. გალაკტიონის ძმისწულმა ნოდარმა დროზე შემატყობინა, რომ მატარებელი 19, 40-ზე გადიოდა და არა 20,20-ზე როგორც ეს ტალონზე იყო აღნიშნული. სასწრაფოდ დავიჭირე ავტო... აძრულ მატარებელს შევახტი... აღელვებული გალაკტიონი ადვილად ვიპოვნე კუპეში (ის ხომ ყოველი მგზავრობისას ერთი საათით მაინც ადრე გადიოდა ხოლმე სადგურში), რომ დამინახა, გაუხარდა, გადამკოცნა.

არც ერთი სიტყვა ლიტერატურაზე! მთელი საღამოს განმავლობაში საოხუნჯო ამბებს ვყვებოდით, რადიო გვქონდა ჩართული და ჯაზურ სიმღერებს ვისმენდით.

როდესაც რადიომიმღები მიყუჩდა, ზემო საწოლზე მოვიკალათე და გამადიდებელი შუშით სარკინიგზო რუქას ვათვალიერებდი. გალაკტიონმა ნელ-ნელა ტანთ გაიხადა და პიჟამაში დარჩა. ქვემო საწოლზე მიწვა და მამინ-სიბირიაკის სქელი წიგნი გადაშალა. ჩამოვხედე და ხმამაღლა გამეცინა.

— რას იცინი? — მკითხა გალაკტიონმა.

— მგზავრობაში უფრო მსუბუქი წიგნი ჯობია, ამხელას რა წაგაკითხებთ? — ვუპასუხე.

მან ბავშვურად გაიღიმა, წიგნი გადადო, წამალი და წყალი მომაწოდა და მითხრა:

— აბა, ეს აბი გადაყლაპე!.. მე რომ მაძალებდით წამლებს, შენ და ნინა... ახლავე დალიე, თორემ... ხომ იცი, ექიმები რა ბრაზიანი ხალხი ვართ?!

წამალმა ვერაფერი მიშველა. ავადმყოფობამ დამძლია. ყრუდ მესმოდა გალაკტიონის ძილის წინ ნელი ოხვრა, მატარებლის ბორბლების დაგადუგი და საკუთარი მაჯის აჩქარებული ცემა...

საუზმის შემდეგ გალაკტიონმა ისევ მამინ-სიბირიაკი გადაშალა.

კუპეში შემოვიდა ჟურნალ „ნიანგის" მხატვარი-კარიკატურისტი გ. ფირცხალავა და პოეტის ხატვას შეუდგა.

სოჭში მატარებელი დიდხანს იდგა რკინიგზაზე ჩამოწოლილი ზვავის გამო. გულდაწყვეტილი გალაკტიონი დავარწმუნე, რომ მარტოდ მგზავრობას შევძლებდი და სოხუმს მივაშურე მეგობარი ექიმების იმედით.

* * *

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მეორე დეკადა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. მოსკოვის თეატრებში 1958 წლის 21 მარტს დაიწყეს გამოსვლა საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა, მწერლებმა, პოეტებმა.

დეკადა შესავალი სიტყვით და ლექსით გალაკტიონმა გახსნა. წაიკითხა ამ დღისათვის საგანგებოდ დაწერილი ლექსი „დეკადის დროშები“:

ხელოვანნი ვართ,
    და სწორედ ახლა,
ცხრაას ჩვიდმეტმა
    რომ განაახლა
სამშობლო —
    გვმართებს
კვლავ ვასახელოთ.
    ამხანაგებო,
        დროშები მაღლა!..

პოეტს ჰქონდა დეკადისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ლექსი, რომლის ხელნაწერი მატარებელში წამიკითხა, მაგრამ რატომღაც იმ ხანებში არ გამოაქვეყნა.

მომდევნო დღეებში გალაკტიონი შეხვდა თავის ძველ მეგობრებს რუსი პოეტებისა და ლიტერატორების წრიდან, დაათვალიერა რამდენიმე გამოფენა, დაესწრო კრემლში გამართულ ბანკეტს, სადაც პირადად გაეცნო საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელ ამხანაგებს. უამრავმა ფოტორეპორტიორმა აღბეჭდა ფირზე გალაკტიონის კოლორიტული გარეგნობა.

მოსკოვში გალაკტიონი ისე შინაურულად გრძნობდა თავს, როგორც თბილისში. მოინახულა რევოლუციის ბობოქარი დღეების ამსახველი მემორიალური დაფებით „მკერდდამშვენებული“ ძველი შენობები, პოეტისათვის ახალგაზრდობიდან ნაცნობი წმიდა ადგილები. გზადაგზა ახალი ლექსებიც გაჩნდა გალაკტიონის უბის წიგნაკში. ხშირად სეირნობდა ქართველ

ხელოვან ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან, აღტაცებით უამბობდა მეხსიერებაში გაღვიძებული რევოლუციური ბრძოლების შესახებ და სასტუმროსკენ დინჯი ნაბიჯით მიმავალი დაკვირვებით უჭვრეტდა ელნათურებით გაბრწყინვებულ უნაპირო მოსკოვს.

იმ დღეებში ქართველ მწერალთა შორის ლიტერატურული პაექრობის მოწმე გამხდარა პოეტი, თვითონ კი გადახდენია თავს ორიოდე კურიოზული ამბავი, რასაც შემდეგში არაერთხელ მოუთხრობდა სიცილით თბილისელ მეგობრებს...

* * *

7 აპრილს მოსკოვის დეკადიდან ჩამოსულმა გალაკტიონმა მინახულა. თავს უკეთ ვგრძნობდი, მაგრამ მაინც წოლა მირჩიეს ექიმებმა. კარგახანს მესაუბრა და გამამხნევა...

ერთ დღეს (10 მაისს) ტაბიძეებთან შევიარე. გალაკტიონი შინ არ დამიხვდა. ქ-ნმა ნინომ მიამბო გალაკტიონის მოსკოვური ეპიზოდების, კრემლში გამართული ბანკეტისა და სხვა შეხვედრების შესახებ. რაღაცას წუხდა, შფოთავდა... ვანუგეშე და რომ გამემხიარულებინა, პიანინოს მივუჯექი.

უცებ ხმაურით შემოვიდა გალაკტიონი, რიხიანად მოგვესალმა და თავისი კაბინეტიდან გამოუშვა ორი მტრედი, რომლებიც წინა საღამოს იურისტებს ეჩუქებინათ რესტორან „თბილისში“ ჩვენი პოეტისადმი მიძღვნილ ბანკეტზე. მტრედები ჭერთან დასხდნენ ლავგარდანზე. კარგახანს ამაოდ ვეწვალეთ სიცილ-ხარხარით, ვერ ჩამოვიყვანეთ იქიდან.

— გაუშვით, იფრთხიალონ თავისთვის!.. ახლა კი ვისადილოთ, — წამოიძახა გალაკტიონმა.

ნასადილევს რუსთავიდან ჩამოსულმა მწერალმა კარპე

მუმლაძემ და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელმა „ზიმი“ მოაყენეს გალაკტიონის სახლს. რუსთაველის მეფოლადეების სახელით გალაკტიონი მიიწვიეს... რამდენიმე წუთს ვისაუბრეთ და რუსთაველისაკენ გავქროლდით.

რუსთაველის ქარხნის მოგუგუნე საამქროებში ბევრი მუშა და ინჟინერი გააცნეს გალაკტიონს. გიგანტურ ღუმელებში კაშკაშებდა სითხედ ქცეული ფოლადი. ყურთასმენა არ იყო. იქ მომუშავენი კი სასტვენებით „ელაპარაკებოდნენ“ ერთმანეთს. გალაკტიონმა რაღაცის თქმა დააპირა, ხელით მიმითითა გავარვარებულ ღუმელზე, მაგრამ თავისი ხმა თვითონვე რომ ვერ გაიგონა, გაიცინა და ხელი ჩაიქნია. ერთ საათს ვათვალიერებდით საამქროებს. გარეთ რომ გამოვედით, პოეტი მომიბრუნდა:

— იმას გეუბნებოდი... ისეთი ცეცხლი იქნებოდა ალბათ დანტეს ჯოჯოხეთშიც.

ქარხნის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად სასტუმროში წავიხემსეთ. შემდეგ ქალაქში გავისეირნეთ. რამდენიმე ფოტორეპორტიორი დაგვყვებოდა და ყოველ ნაბიჯზე სურათებს უღებდნენ პოეტს.

იმ საღამოს რუსთაველის კულტურის სახლში ამავე სახლის წრეებისა და სტუდენტების ძალებით გალაკტიონს გრანდიოზული შეხვედრა გაუმართეს. პრეზიდიუმში პოეტთან ერთად ვისხედით გ. გელაშვილი (იქაური გაზეთის რედაქტორი), ფ. ნიშნიანიძე (რომელიც სიტყვითაც გამოვიდა), მე და სხვ.

ტრიბუნაზე ასულმა მოქალაქეებმა საკმაოდ კარგი მოხსენებები წაიკითხეს. ერთმა მათგანმა კი გალაკტიონის სიჭაბუკის დროინდელ ლექსებზე კრიტიკაში აწ მოძველებული შეხე-

დულებახი გადძოაფიხა და პოეტის ადრინდელი შემოქმედება ახსენა როგორც დეკადენტურ-სიმბოლისტური და რეალისტურ ნიადაგს მოწყვეტილი ხელოვნება.

გალაკტიონს ჩვეულებისამებრ მსხვილი ფანქარი ეკავა ხელში და ნიკაპთან იტრიალებდა. კარგახანს ნაწყენად, მაგრამ დამცინავად იქნევდა თავს.

საკონცერტო ნაწილის დაწყებამდე ფოიეში გამოსული ხალხი გალაკტიონის ცხოვრება-შემოქმედების ამსახველ, მართლაცდა, კარგ გამოფენას ათვალიერებდა. სტენდებზე გამოფენილი იყო გალაკტიონის თხზულებათა თითქმის ყველა გამოცემა და უკანასკნელი წლების პერიოდული პრესის ფურცლები, რომლებზეც პოეტის ლექსები ელვარებდა.

კონცერტის შემდეგ ისევ სასტუმროში წაიყვანეს პოეტი. გულუხვი მასპინძლები თავს ევლებოდნენ სტუმარს. ბანკეტზე თავი მოიყარეს მუშებმა და ინტელიგენციამ. რუსთაველებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს გალაკტიონზე. თითქოს საგანგებოდ შეურჩევიათო, ერთი-მეორეზე უკეთესი ჭაბუკები და ქალიშვილები შემოსხდომოდნენ სუფრას და მამაპაპური სიდარბაისლით თქმულ სადღეგრძელოებს ფოლადივით წკრიალა ხმიერი „მრავალჟამიერი“ და სხვა სიმღერები აგვირგვინებდა.

გალაკტიონი გახალისდა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, თბილისისკენ რომ გამოვეშურეთ. მანქანაში ექვსნი ვისხედით და ხმამაღლა ვმღეროდით. ალბათ ამიტომ გაგვაჩერეს თბილისში შემოსულნი ავტოინსპექტორებმა, მაგრამ იცნეს გალაკტიონი და გზა დაგვლოცეს.

* * *

ერთხელ ისევ მშენებლობის სამინისტროში წავყევი გალაკტიონს. იქ გველოდებოდა ჩემი ნათესავი პეტრე ფალავა. მან აგვიხსნა, თუ რომელი ინსტანციებისათვის უნდა მიგვემართა და გულისხმიერი დახმარება გაუწია პოეტს (ეს იყო 1957 წ. 7 მაისს).

სამინისტროს მუშაკები მოწიწებით ხვდებოდნენ გალაკტიონს და მეგობრულ რჩევა-დარიგებას აძლევდნენ...

წყნარი ნაბიჯით გავყევით გალაკტიონი და მე რუსთაველის პროსპექტს. იმ დღეს განსაკუთრებით სასიამოვნო შესახედი იყო პოეტი. მოხდენილად იყო ჩაცმული და ჭაბუკური სილაღით მიაბიჯებდა. დიდ-პატარა მას შესცქეროდა და ესალმებოდა.

ვ. გურგენიძე შეგვხვდა, გაზონებისკენ გავინაპირეთ და კარგახანს ვისაუბრეთ. გალაკტიონს გადასცა მოსკოვში დეკადაზე გადაღებული ფოტოსურათები. გალაკტიონმა წიგნების მაღაზიაში „ნიკორწმიდის ბარელიეფების“ ორი ეგზემპლარი და რამდენიმე სხვა წიგნი იყიდა და მისი სახლისკენ გავეშურეთ.

გალაკტიონის ბინაზე მისი მეუღლე და ზეინაბი დაგვხვდნენ. ახალი ამბები ვუამბეთ ერთმანეთს.

საღამოს სამუშაოს მივუსხედით.

შესვენებისას პოეტმა შორეულ ფიქრებს გააყოლა თვალი და მიამბო:

— დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ შექმნა რუსულ-ქართული პოეტური ტექსტების, საბრძოლო ლოზუნგებისა და ფაშისტების წინააღმდეგ მიმართული მძაფრი

სატირით აღსავსე კარიკატურების პლაკატი, რომელსაც ეწოდებოდა „ხიშტით და კალმით“. ამ 500-1 000 ტირაჟიანი მებრძოლი ფურცლების შედგენა და ბეჭდვა ღამის საათებში ხდებოდა. გარიჟრაჟზე თბილისის ქუჩებში უკვე გაკრული იყო „ცხელი“ პლაკატები, სადაც ჩვენი მებრძოლების ლეგენდარული გამარჯვებები იყო არეკლილი... ასახული იყო საბჭოთა ქალაქების გათავისუფლების უახლესი ამბები, მომდევნო ხანებში კი — ფაშისტური ბნელი ძალების საბოლოო განადგურების საკვანძო მომენტები... ომის მძიმე წლებში „კომუნისტის“ რედაქციაში დამიდგეს მაგიდა: ფრონტელებისაგან მიღებულ ლექსებსა და წერილებს ვასწორებდი. სხვათა შორის, სამხედრო პოეტებიდან ზოგს მშვენიერი ლექსები ჰქონდა და ვაქვეყნებდით. ამავე დროს სხვა პოეტებთან და მხატვრებთან ერთად მიმიწვიეს და ჩამაბეს ჩემს საყვარელ მუშაობაში. პლაკატში თანამშრომლობამ ახალგაზრდული ძალ-ღონით ამავსო და ბევრი ლექსი დავწერე.

ენერგიულად იბრძოდა გალაკტიონი მახვილი კალმით ფაშისტური ურჩხულის წინააღმდეგ. ჩემ წინაშეა ჟამთა ვითარებით ოდნავ მოოქროვილი საბრძოლო ფურცლები, რომელთა შორის მრავალს ამშვენებს გალაკტიონის სტრიქონები. აი, დონის ბასეინთან წითელი არმიის გამარჯვების სიხარულით ფრთაშესხმული სიმღერა:

დონის ბასეინი

დანდობა არ იყოს,
ბასეინო დონის,
ჩვენს გულმართალ ხალხთან
ომის გამომგონის.

ბასეინო დონის,
    დღეს რადიო ქუხდა,
რომ კვლავ გამარჯვების
    ცეცხლი ამოდუღდა!...
(„ხიშტით და კალმით“ — 1943 წ. 8 სექტ.)

აქვეა ჰიტლერელებისაგან დნეპროპეტროვსკის გათავისუფლების დღეებში აელვარებული სიტყვები:

დნეპროპეტროვსკი

ამ შემოდგომის გრიგალი —
დნეპროპეტროვსკის გრიგალი,
ხვალ თუ ზეგ ჰიტლერისათვის
სამარის ქვაა ფიქალი.

მტერი უბედურ დღეებს სთვლის,
მტერი თავისთავს იმეტებს
და ცეცხლში ნასროლ სიცოცხლის
სწვავს უკანასკნელ იმედებს.

...დნეპროპეტროვსკი ჩვენია,
ჩვენს კუნთებს უშენებია,
სინათლით აღუდგენია,
ბაღები უმშვენებია.

მის მოდარაჯე მხნე თვალებს
რული არ მოეკიდება —
მამულის ხსოვნას ავალებს
სამარადისო დიდება!
(„ხიშტით და კალმით“)

ვერაგი მტრისადმი ასეთი მომაკვდინებელი სიძულვილის

გრძნობით ეღერდა იმ წლებში გ. ტაბიძის ჩანგი. მისი ლექსის ყოველი სტრიქონი საბჭოთა ადამიანების უმაღლეს იდეალად, არსებობის უმაღლეს დანიშნულებად სახავდა თავდადებულ ბრძოლას მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად. მან ხომ ჯერ კიდევ სამამულო ომამდე (1941 წ. თებერვალში) დაწერა პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელშიც მოახლოებული ძნელი ბრძოლებისა და დიადი გამარჯვების წინათგრძნობა ჩააქსოვა:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!
ქარმა მიანგრ-მოანგრია
ძველი ქვეყნის საბუდარი,
აწ სხვაგვარნი ქარნი ქრიან,
ჩვენ მხარე გვაქვს საკუთარი.
ის ვერ ითვლის გმირთა მხარ-მკლავს,
ვერც სიუხვეს გენიისა,
და ბრწყინვალეს ანთებს ვარსკვლავს —
ვარსკვლავ აკადემიისა.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ერთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ!

„ყოველდღიური პრესის ფურცლებიდან, ლექსთა საგანგებო კრებულებიდან თუ დედაქალაქის ქუჩებში გაკრული საბრძოლო პლაკატებიდან გ. ტაბიძის ლექსი დიდების შარავანდედით მოსავდა წმიდა სამამულო ომის გმირულ დღეებს“ (ბ. ეღენტი):

ძალით, სიცოცხლით, გატაცებით,
მკლავით, გონებით,
ადამიანთა მღელვარებენ მილიონები.

პოეტს ღრმად სჯეროდა საბჭოთა ხალხის გამარჯვება მტერზე, რომელსაც „საწამლავით ხელში მოსულს მას სიკვდილი მოსდევს მხლებლად“ და სწორედ ამიტომ მოუწოდებდა თანამოძმეთ, რომ „ახლა არის ყველაფერი — მასთან ბრძოლა, მასთან ბრძოლა“.

ომის გავარვარებულ ქურაზე გამოჭედა პოეტმა გორდას ხმალივით ფოლადური ლექსები: „მფრინავი“, „გმირს გამარჯვება“, „სიმართლის დროშა“, „დიდო არმია“, „ჩვენ შევქმენით, ჩვენი არის“, „მიაგდებს მერანს მხედარი“ და სხვ.

ამ ლექსებში აირეკლა წითელი არმიის ლეგენდარული ბრძოლების ცოცხალი სურათები, საბჭოთა ხალხის გმირული ეპოპეის ძლევამოსილი შუქი.

წითელი არმიის ჯარისკაცი „წინ მიიწევდა სწორუპოვარი“ და ფრონტული ცხოვრების სასტიკ ქამს ასე მიმართავდა სამშობლოს:

არ გიღალატებ სანამ
მზე გვინათებს და მთვარე,
ყოველ მხარეზე კარგო,
ჩემო სამშობლო მხარე.
(„არ გიღალატებთ“).

კავკასიონის მისადგომებთან მოსულ ფაშისტურ ურჩხულს სასტიკად შეერკინა წითელი არმია და თვალუწვდენ კლდეთა ტინებზე გადაუმსხვრია ხერხემალი ჩვენი ხალხისა და მიწა-

წყლის დაპყრობის მოსურნეთ. დაიწყო ახალ გამარჯვებათა დღეები და გალაკტიონის ჩანგიც კვლავ ახლებურად აჟღერდა.

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთჰოვენს,
აგუგუნება კაიშაურის.

(„ღრუბლები ძაუგთან")

ამ სტრიქონებში ნათელია ის მაღალჰუმანური გრძნობა, რომლითაც აღსავსეა დიდი ქართველი პოეტი ბეთჰოვენის უკვდავი მუსიკისადმი. მას ღრმად აქვს შეგნებული, რომ წითელი ჯარი გოეთესა და შილერის, მოცარტისა და ბეთჰოვენის გერმანიას კი არ ებრძვის, მილიონობით პატიოსან მშრომელ გერმანელთა და მათი მრავალსაუკუნოვანი კულტურის წინააღმდეგ კი არ ლაშქრობს, არამედ შინ მომხდურ ბილწ ფაშისტურ ურდოებს ანადგურებს.

ახლაც მაგონდება: ომის ბოლო დღეებში საბჭოთა ჯარი რომ მისსავე ბუნაგში, ფაშისტურ ბერლინში. ანადგურებდა მტერს, ჩვენი ქალაქების რადიო სწორედ ბეთჰოვენის სიმფონიებს გადასცემდა — ეს იყო დიდი სიმბოლო იმ მაღალი ინტერნაციონალური გრძნობისა, რომელიც ესოდენ მკაფიოდ ახასიათებს ჩვენი ქვეყნის ადამიანის კეთილშობილურ ბუნებას, მის მისწრაფებას, თვით ბრძოლის დროსაც კი ხელი გაუწოდოს ყველა ქვეყნის მუშასა და გლეხს, დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციის.

ზემოთ მოყვანილ ლექსში არანაკლებ საყურადღებოა

სტროფი, სადაც გალაკტიონს თავის უშუალო მოვალეობად მიაჩნია პოეტური სიტყვის ისტორიაში უკვდავი ძეგლის აღმართვით შემოუნახოს შთამომავლობას სამშობლოს მიწ-წყლის დამცველი რაინდების ბუმბერაზული შემართება:

> იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო,
> უნდა აღვმართო წყებათა-წყება,
> ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
> გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!
>
> („ღრუბლები ძაუგთან")

განზოგადებულ სახეთა გარდა, გალაკტიონის ამ ლექსებში ვხვდებით კონკრეტული გმირების სახელებსაც. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „აჭარელი მფრინავი", სადაც პოეტი ქებას ასხამს საბჭოთა კავშირის გმირს ჯინჭარაძეს:

> ვინ იყო, რომ ოცდაათი
> საოცარი გაფრენით
> ყოველი დღე და საათი
> აანთო აღმაფრენით?
> ...ვინ დაესხა თავს, რომელმა
> მტერს სიკვდილი არგუნა?
> — ჯინჭარაძემ! — ჯარმა მთელმა
> ერთხმად დაიგუგუნა.

ბრძოლების ქარცეცხლი პოეტის შემეცნებაში წარუშლელ მოვლენად დარჩა სამუდამოდ. სწორედ ამიტომ მისმენდა თვალანთებული, როდესაც ომის დამთავრებიდან შვიდი-რვა წლის შემდეგ ვუამბობდი, თუ როგორ აიტანეს მამაცმა საბ-

ჭოთა ალპინისტებმა და ჯარისკაცებმა დაშლილად საზენიტ-ო არტილერია და ტყვიამფრქვევები ყაზბეგზე და კავკასიონის სხვა მწვერვალებზე, შემდეგ ააწყეს ეს მრისხანე იარაღები და ალმოდებული ფაშისტური თვითმფრინავები უფსკრულებსა და ხეობებში ჩაასამარეს.

— ეს მე არ ვიცოდი... საგმირო თემაა, ამაზე უნდა დაიწეროს რამე! — წამოიძახებდა ხოლმე გალაკტიონი.

1943 წლის ნოემბერში, სამამულო ომის ვითარებაში, საზეიმოდ აღინიშნა გ. ტაბიძის დაბადებიდან 50 წლისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავი. იმავე წელს პოეტი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ხოლო 1944 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურის დეკადაში და ტრიბუნებიდან წაიკითხა თავისი ახალი ლექსები, რომლებიც იმავე დღეებში თარგმნეს რუსულსა და სხვა ენებზე.

* * *

აგვისტოს მცხუნვარე დღეებში ორი კვირით ქობულეთში ჩავიდა პოეტი დასასვენებლად (1944 წ.). მაგრამ თითქმის ყოველდღე ახალგაზრდები შეხვედრებს უმართავდნენ კლუბებში, დაწესებულებებში, მოსვენებას არ აძლევდნენ პოეტს ახალი სიტყვის მოსმენის მოსურნენი.

ზღვის სანახები ახალ-ახალ ასოციაციებს იწვევდნენ მგოსნის ფიქრებში. დაუღალავად წერდა ახალ სტრიქონებს, სადაც ყოველდღიური განცდის კაშკაშა ანარეკლი სახიერდებოდა...

— ოქრო ლაჟვარდში, ეს არის ოქრო ლაჟვარდში, გესმის, ნინა, ეს არის ოქრო ლაჟვარდში! — აღტაცებით ეუბნებოდა გალაკტიონი თავის მეუღლეს ზღვის სანაპიროზე და შავი პიჯაკის ჯიბეში სათუთად ინახავდა ლურჯი ტალღების „ნაეშმაკარ“ ნავისებური მოყვანილობის აქატისფერ ქვას, რომელიც ქალიშვილებმა უსახსოვრეს.

...ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ გამოცემულ გალაკტიონის ლექსთა კრებულს სათაურად ამშვენებდა „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“.

დაუვიწყარი საიუბილეო საღამო მოუწყვეს გალაკტიონს ქუთაისის თეატრში 1945 წლის თებერვალში. ასეთივე საღამო განმეორდა ქალაქის პედინსტიტუტში, სადაც პოეტისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის გამოირჩეოდა ახალგაზრდა ლიტერატორის სერგო (ნინელ) ჭეიშვილის ლექსი „გალაკტიონი ზღვასთან“, რომელიც დაწერილი იყო 1944 წელს და ზღვის პირად, აქატისფერი ქვით პოეტის აღფრთოვანებას შეეხებოდა.

ქუთაისურმა ნიავმა სიჭაბუკის ფრთები შეასხა გალაკტიონს. ერთ თოვლიან დღეს იქაურ ახალგაზრდა სტუდენტ პოეტებს განუცხადა:

— ახლა ჩვენ უნდა ვნახოთ ადამიანი!

„მწვანე ბაზარში“ გალაკტიონმა ლეჩხუმური ლობიოიანი მჭადი, მწვანილი და რამდენიმე ბოთლი ღვინო იყიდა და ახალგაზრდების ამალით წმ. გიორგის ტაძრისკენ გაემართა „ქვეითად“.

გზად სურათი გადაიღეს ფოტოგრაფთან გალაკტიონმა, მისმა მეუღლემ და სტუდენტებმა.

მიდიოდა აღმართში თოვლის ფიფქებით მხრებშეეერცხ-ლილი გალაკტიონი, თითქოს სიმბოლურად მიუძღოდა ჭაბუ-კებს აღმართის დასაძლევად, მაღლა ასასვლელად, მაგრამ უფ-რო რომანტიკული იყო ის მომენტი, როდესაც ტაძრის გარშე-მო მიმოფანტულ საფლავებს შორის ერთ-ერთს მიუახლოვდა. სვანური ქუდი მოიხადა, ქვიდან თოვლი გადაწმინდა, ერთი ჭიქა ღვინო გადააღვარა და ემთხვია, ეამბორა. ყურძნის წვე-ნი და პოეტის ბაგე თბილ ლოცვად დაეფინა სამარეს, სადაც განისვენებს პოეტი მამია გურიელი.

ვიღაცამ წყნარად წარმოსთქვა გურიელის ცნობილი ლექ-სი „ადამიანი“... შემდეგ ისევ ლექსები...

ამბობენ: შეიქმნა ტრადიცია — ყოველი წლის თებერვალს, იმავე რიცხვში ქუთაისელი პოეტები და ლიტერატორები მა-მია გურიელის საფლავთან მიდიან, პოეტური სიტყვის კოცონს ანთებენ და სვამენ მამია გურიელის მოსაგონარს... ახლა კი გალაკტიონისასაც.

ქუთაისი ხშირად აგონდებოდა პოეტს. ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული გალაკტიონის ბავშვობა და ყრმობა, მისი სი-ჭაბუკე და მრავალი ლექსი; ერთი მათგანი კი დღესაც ამშვე-ნებს ქუთაისელი მოქალაქის მიხეილ კაკიტელაშვილის ოთახს. იქ გაათია ერთი ღამე (1944—45 წლებში) გალაკტიონმა და რამდენიმე სტრიქონი მიაწერა ფანქრით კედელს, რომელსაც სახლის პატრონი არასოდეს არემონტებს — ეს ხომ მისი ოჯა-ხის რელიქვიაა.

* * *

ამ სტრიქონების ავტორმაც დიდი სამამულო ომის დღე-ებში გავიცანი გალაკტიონი. საქართველოს მწერლების კავშირ-

ში შევიარე. თან მახლდა ჩემი სტუდენტობის მეგობარი გიკი ხუნდაძე. როდესაც ქუჩაზე გამოვედით, დავინახეთ გალაკტიონი და ვიღაც კაცი. დინჯად სცემდნენ ბოლთას შენობის ფასადის წინ. ჩვენ შევჩერდით და მორიდებით ვადევნებდით თვალს.

გალაკტიონი მოგვიახლოვდა. მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და გვკითხა:

— სტუდენტები იქნებით? რაზე გარჯილხართ, დახმარება ხომ არ გჭირდებათ? — კარგახანს გვესაუბრა.

ეს იყო ჩვენი პირველი საუბარი (1944 წ. 29 თებერვალს), რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

გალაკტიონი მაშინ წვერმოპარსული დადიოდა, თავს მხნედ გრძნობდა და ბევრს წერდა. მისი ლექსები ხშირად ქვეყნდებოდა პრესაში თუ კრებულების სახით.

მეორეჯერ იმავე წლის 4 მარტს ვნახე გალაკტიონი, გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში, ლიფტიდან ხელი დამიქნია, გამარჯობა ჩამომძახა და თავისი უბადლო ღიმილით ამავსო.

რას ვიფიქრებდი ომის იმ მძიმე დღეებში, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ქართული სიტყვის ამ გოლიათის მახლობელი გავხდებოდი.

გალაკტიონი შინ და საავადმყოფოში

როგორც ადრე მოგახსენეთ, გალაკტიონის დაუშრეტელი ოცნება იყო შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა. ამაში თავს იყრიდა პოეტური, ეთნოგრაფიული და სპორტული ინტერესი. საათობით მიამბობდა მოსკოვში, ლენინგრადში და

პარიზში, მსხვილსა და მცირე ქალაქებსა და სოფლებში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, მიზიარებდა ვარძიით, ნიკორწმიდით, ნარიყალას ბურჯებითა თუ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებით მიღებულ პოეტურ ზეშთაგონებას და ნაოცნებარ ასოციაციებს. მაგრამ გალაკტიონი მარტოოდენ ნანგრევთა სურნელებას როდი ეალერსებოდა. პოეტის გულში აღტაცების გამოძახილად გუგუნებდა ყოველი ახალი ნაგებობა, ახალი მანქანა და ტექნიკის უახლესი მიღწევანი. ყველაფერში სიახლის მაძიებელ მის ფიქრებს ფრთებს ასხამდა მოტორების რიტმული გუგუნი, მეტროპოლიტენის მატარებლის სრბოლა, რეაქტიული თვითმფრინავის ცაში სრიალი, ატომური ენერგიის ზღაპრული ძალა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, ელექტრონიკა თუ კიბერნეტიკა. ადამიანის შრომის შემსუბუქება მანქანების საშუალებით, გალაკტიონის, როგორც თავისი საუკუნის პოეტ-ტრიბუნის თხზულებათა უპირველესი თემა იყო.

ზაფხულობით ხშირად საღამოებს მის აივანზე ვატარებდით, გავცქეროდით მარჯანიშვილის ქუჩას, მტკვრისა და მთაწმიდის მიდამოებს, პაპიროსს ვაბოლებდით და ვსაუბრობდით... მუხლის გასაშლელად პლეხანოვის პროსპექტზე გავისეირნებდით, ფერადი ნათურებით გაშუქებულ ვიტრინებს ვათვალიერებდით, თითო ჭიქა ლუდს დავლევდით და ნაცნობ-მეგობრებთან ვლაღობდით.

ისევ პოეტის სახლში დავბრუნდებოდით, გადავიკითხავდით ჟურნალ-გაზეთებს და ვსაუბრობდით.

გალაკტიონთან საუბრების მუდმივი თემა იყო ლიტერატურული მიმართულებანი, პუშკინი, სევერიანინი, ბელი, ბალ-

მონტი, ჰიუგო, უაილდი, გოეთე, ბალზაკი, მეტერლინკი, ფრანგული ბალადის ჟანრობრივი თავისებურებანი, სიტყვის მუსიკა და პოეტური სახეები. მის მოტანილ ციტატებში წუთით ცოცხლდებოდნენ რემბო, ვერლენი, გოტიე და მალარმე, ქართველი კლასიკოსები და ფოლკლორის შედევრები...

* * *

მუდამ როდი ეცალა საუბრისათვის. წერას რომ შეუდგებოდა, ცეცხლის ხაზზე გასულ გმირსავით აენთებოდა თვალები და მისი პოეტური სამყაროს შეხება სიტყვას კი არა, ბგერასაც არ შეეძლო.

როდესაც ტექსტების რედაქციაზე ერთად გვიხდებოდა მუშაობა, უმეტესად მხოლოდ საქმეზე ვლაპარაკობდით და... ასე გაფრინდებოდა მთელი დღე.

ხოლო იშვიათად შევისვენებდით და გალაკტიონი გატაცებით მიამბობდა რევოლუციის, ძველი მოღვაწეების, ლიტერატურული დისკუსიების, სალონებისა და ოცდაათიანი წლების პარიზის ამბებს:

— ერთხელ კონგრესის დელეგატმა მწერლებმა ბალმონტი ვნახეთ. ეტლით ჩაგვიქროლა და შორიდან ქუდის მოხდით მოგვესალმა.

ვფიქრობ, პოეტის ეს სიტყვები აბათილებს არასწორ ვერსიას, თითქოს პარიზში (1935 წლის ანტიფაშისტურ კონგრესზე ყოფნისას) გალაკტიონს პირადად ესაუბროს ბალმონტთან.

ზაფხულობით დილის საათებში ვმუშაობდით. შემდეგ დასიცხულ ქალაქში გამოვიდოდით და ცივი სასმელით მოვითქვამდით სულს. ერთხელ ტექსტების შედარება მოვათავეთ და მარჯანიშვილის მოედანზე გამოვედით სასეირნოდ (1953 წ.

11 ივნისს). ჟურნალისტი ჰენრიხ კობიძე შეგვხვდა. გალაკტიონმა გრილ სარდაფში ჩაგვიყვანა, ლუდი და საუზმე მოითხოვა. გამხიარულდა პოეტი. დაიჩემა, ვიმღეროთო და თავისი საყვარელი სიმღერა „ოზურგეთი და მერია“ წამოიწყო...

ბოლოს გალაკტიონმა ოფიციანტი გააფრთხილა:

— ამ სტუდენტებისაგან ფული არ მიიღო! დღეს მე ვხარჯავ!

— სტუდენტობა ორი წელია მოვათავეთ! — თავი გამოვიდეთ მე და ჰენრიხმა.

— ვიცი, ვიცი, ჩემო კარგო! — გაიცინა პოეტმა და დანახარჯი გადაიხადა.

* * *

მაღალი გრძნობების მესაიდუმლე და დახვეწილი გემოვნების პოეტი პირად ცხოვრებაში რიგითი მშრომელი კაცის ფსიქოლოგიით ხასიათდებოდა. უფრო მეტიც, ზოგი თვისება ძალიან უბრალო ჰქონდა: უბრალო ტანისამოსი მოსწონდა და საჭმელ-სასმელში კი ეკალა, სალათა, მაწონი, „ბლინჩიკები“ და ლიმონათი უყვარდა. ქართული სიტყვის ექსტაზში შესულს და კალმით ამღერებულს კი, საერთოდ ავიწყდებოდა ჭამა-სმა.

როგორც ყველა გულკეთილ ადამიანს, გალაკტიონს ცხოველები უყვარდა და შინ ყოველთვის ჰყავდა კატა. მახსოვს, ერთხელ ჩვეულებისამებრ მოვეფერე მის ხატაურას. პოეტმა სიცილით მითხრა:

— იცი, ეს იმერული ჯიშის კატაა, გაგიგონია?

— მე ციმბირის ჯიშისა გამიგონია, — ვუპასუხე.

— ჰო-და, გეუბნები, იმერული ჯიშისაა მეთქი, მაგას მჭა-

დი ურჩევნია რძეს და ხორცს... ერთი შეხედე, რა ამაყად გამოიცქირება. სახალხო პოეტის კატაა, უბრალო ეინმე არ გეგონოთ! — ჩაიხითხითა გალაკტიონმა, კატას ხელი გადაუსვა და ადამიანსავით დაუწყო ლაპარაკი.

* * *

დიდუბის პანთეონში პოეტ ალექსანდრე აბაშელს კრძალავდნენ (1954 წ. 3 ოქტომბერს). გალაკტიონს, რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა.

— საწყალი საშა, საბრალო საშა! — ჩაილაპარაკებდა მწუხარედ და ცას მიაპყრობდა მზერას.

იქიდან სადღაც შევიარეთ, გზად ნაცნობებს ვესაუბრეთ. შემდეგ ჩვენსას წავედით.

იმ დღეს გალაკტიონმა და მამაჩემმა დიდხანს ისაუბრეს პოეტის ახალი წიგნის გამოცემის გამო. გალაკტიონი ნაწყენი იყო გამომცემლობაზე, კიცხავდა და დასცინოდა ზოგ მუშაკს, წიგნის ფორმატსა და ტექსტებს მიმახინჯებენო. პატივისცემით ახსენებდა აკად. გიორგი ჯიბლაძეს, რომელმაც დახმარება გაუწია „რჩეულის" გამოცემაში როგორც გალაკტიონს, აგრეთვე მამაჩემს, იმ წიგნის შემდგენელს.

გვიანობამდე ისაუბრეს, რამდენიმე ლექსის ტექსტი დააზუსტეს და გალაკტიონის ახალი ლექსები წაიკითხეს.

* * *

თავისი ასაკისათვის გალაკტიონი საკმაოდ მაგარი ფიზიკური აგებულების კაცი იყო, მაგრამ თავის მოფრთხილება

არ იცოდა და ხან გაცივდებოდა, ხანაც სხვა რამ სატკივარი ჩაგრავდა.

ავადმყოფობის დღეებში შინ ჩაწვებოდა ლოგინად ან სამკურნალო კომბინატში მიიყვანდნენ. იქაც პატარა მაგიდა ედგა სამუშაოდ, ხშირად კი მწოლიარე წერდა. იმ საავადმყოფოში წერდა გალაკტიონი თავის პოემას „აფეთქება“, როდესაც მე და მამაჩემმა ვინახულეთ (1950 წ. 20 ნოემბერს).

1954 წლის 10 იანვარს პოეტი ისევ კომბინატში იწვა. დაწმენდილ სახეზე ვარსკვლავებივით კამკამებდნენ მისი თვალები.

მაგიდაზე ხელნაწერები და ორიოდე ფანქარი ედო...

გაჩაღებული საუბარი შემოსულმა ექთანმა შეგვაწყვეტინა, გალაკტიონს იღლიაში თერმომეტრი გააკეთებინა, წაიბუზღუნა და გავიდა. პოეტმა კი მაშინვე მოიშორა თერმომეტრი და მაგიდიდან ხელნაწერები აიღო.

რამდენიმე ლექსი წამიკითხა და იქვე შეცვალა ტექსტში ზოგი სიტყვა.

ნაწყვეტების კითხვა დაიწყო თავისი პოემიდან „მშვიდობის წიგნი“. კარგახანს მიკითხავდა.

— აქედან განაგრძე! — მიმითითა სტრიქონზე, — თორემ რაცხა დავიღალე!

როდესაც კითხვა დავამთავრე, ზოგი ადგილი გავარჩიეთ...

იმ დღეებში რამდენჯერმე ვინახულე გალაკტიონი. იგი ძნელად ეგუებოდა საავადმყოფოს კედლებში ყოფნას. მართალია, ცალკე ოთახში იწვა, მაგრამ უნებურად უხდებოდა სხვა ავადმყოფებთან მეზობლური ურთიერთობაც.

— რა მინდა აქ? აქ რა გამაჩერებს? — წუხდა პოეტი.

სიჟაბუკეში ჯანმრთელობას ნაჩვევი პოეტი, სიბერეშიც ვერ ეგუებოდა საავადმყოფოს ატმოსფეროს. ერთხელ ძეხვით მოწამლულიყო. შინიდან ფეხი ვერ გაადგმევინეს, შინაურულად უწამლეს. მეორე დღეს უკეთ გამოიყურებოდა (1958 წ. 3 ოქტ.), მაგრამ ოთახიდან არ გადიოდა და კითხულობდა.

იმ საღამოს ნადსონის ლექსებს მიკითხავდა ზეპირად. იგორ სევერიანინზე მიამბობდა, ეს პოეტი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, მასწავლებლად მუშაობდაო.

ახალ პრესას გადავხედეთ. ლექსები წავიკითხეთ. გალაკტიონმა გამიზიარა თავისი გეგმა:

— ჩემი შემოქმედების მუდმივი გამოფენისთვის უნდა ავაშენო დარბაზი. იცი, სადმე მეცნიერებათა აკადემიის ახლოს ავაშენებ... ჩემ საყვარელ წიგნებსაც იქ დავაწყობ... აფსუს, რა მდიდარი ბიბლიოთეკა მქონდა სოფელში! მთლად გაცამტვერდა. აქ კი ცოტა მაქვს წიგნები.

თავისი მახლობლების ავადმყოფობას გალაკტიონი მუდამ გულით განიცდიდა, ინახულებდა, ანუგეშებდა და გაახალისებდა.

პოეტი, თეატრი და მუსიკა

სანახაობითი ხელოვნებიდან გალაკტიონი თეატრალური ცხოვრებით იყო გატაცებული. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ქუთაისურ ჟურნალში „თეატრი და მუსიკა". (მგონი, 1919 წ.) პოეტმა გამოაქვეყნა ჰამლეტისა და ოფელიას შორის დიალოგის პაროდია, რომელშიც თეატრის შესახებ თა-

ვისი მოსაზრებანი გამოხატა. არაერთხელ აირეკლა თეატრის შტრიხები მის პოეზიაში:

> დღეს ნოტრ-დამთან (სნებიან
> ფანტაზიის ნახატი!)
> კალენკორის ფრთებიან
> ანგელოზებს ნახავდი
> („მისტერია წვიმაში")

ან კიდევ:

> გახსნილი არის კრება, ოპერა, ცირკი, კინო,
> ხელთ აუღია თეატრს უზარმაზარი ქნარი
> („ო, ნანა, ნანა, ნანა").

ჭაბუკობიდანვე ოცნებობდა გალაკტიონი, დაეწერა დრამატული ნაწარმოები თეთრ ლექსად, მჭიდრო კავშირში ყოფილიყო დრამატურგებთან და თეატრთან. 1949—50 წლებში მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივმა მეტად ორიგინალური (სალონური) საღამო მოუწყო პოეტს. ასე დაიწყეს: ბნელით მოცულ სცენაზე გაჩნდა წითელი შუქწერტილი, რომელიც თანდათან გაიზარდა და სხივი მოჰფინა გალაკტიონის სახეს. აქეთ-იქით პოეტს მხარს უმშვენებდნენ დასის ლამაზმანები. განათდა ავანსცენაც და მონაწილეებმა წაიკითხეს მისალმებანი და ლექსები. ბოლოს გამოსვლა სთხოვეს გალაკტიონს. აუდიტორია მისგან ახალი ლექსების თქმას მოელოდა, შორეულ ფიქრებში წასულმა პოეტმა კი ჯერ წყნარი ხმით, შემდეგ კი აღფრთოვანებით გაუზიარა დამსწრეთ თავისი აზრები თე-

ატრალური ხელოვნების შესახებ. გაიხსენა პეტერბურგი 1917 წელს, მის მიერ დადგმული სპექტაკლი (პიესა „ტყე“), რომელიც მეტად მოსწონებია მაქსიმ გორკის.

* * *

შესანიშნავი მუსიკალური სმენა ჰქონდა გალაკტიონს. ხშირად საათობით უსმენდა საოპერო მუსიკას, კარგადაც იცნობდა და ხმადაბლა ღიღინით აჰყვებოდა რადიოგადაცემას. სწორედ ამიტომ ვხვდებით ხშირად მის სტრიქონებში ოპერით გამოწვეულ ასოციაციებს:

იყო გრიგალი, იყვნენ ნგრევანი,
მაინც გადარჩა ჩრდილი ამხელა...
იქ ერთადერთი გრძნობა შიშველი
აღარ გაჰკივის სარაჯიშვილი.
(„ოპერის თეატრთან“)

როგორც ვხედავთ, ეროვნული საოპერო მუსიკა გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა და ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს მის ლექსში „ის დირიჟორი“:

იყო უბრალო, მაგრამ მართალი
მისი სიმღერა და სიარული,
და სამუდამოდ იყო ქართული
მისი ჰიმნები გენიალური.
ის ახლობელი იყო სულ შორი,
გამბედაობით სავსე, ძლიერი,
უნდა გენახათ ის დირიჟორი
უდარებელი და მშვენიერი.

ამ ორ ლექსში მძაფრად ჟღერს ქართული მუსიკის გარდასულ ქურუმთა სიმაღლე და მშვენიერება, მათი წვა და მებრძოლი ხასიათი. გალაკტიონის ლექსებში ბეთჰოვენისა და ვაგნერის, მოცარტისა და შოპენის ქმნილებებით აღტაცებასთან ერთად გვხვდება ბურჟუაზიული ქალაქის საოპერო სპექტაკლის დაპირისპირება მშობლიური ქვეყნის ოპერასთან, სადაც იდგმება თუნდაც „ლაკმე“. ლექსში „ჭიანურები“ პოეტი კიდევ ერთხელ იგონებს პარიზს და მუსიკის რიტმით ექსტაზში შესული აცხადებს:

მიდის ოპერა „ლაკმე“,
ბუტაფორიის შეხლა

. .

ხშირად ვიგონებ პარიზს...
ნახე იგი და დაგმე!
ნისლის, სულის და ქარის
ლაკმე, სადა ხარ ლაკმე!

მუსიკა რომ გალაკტიონის პოეზიის მძლავრი წყაროა, ეს აშკარაა მისი ლექსებიდან, სადაც ნახსენებია ლეგენდარული პინდარი, ორფეოსი და სხვ. განსაკუთრებით მძაფრ შთაბეჭდილებებს იწვევდა პოეტში სიმფონიური კონცერტები. მისი აზრით, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაში ბევრია ქართული მელოდია:

სად ზღვის ჰავლებია,
ყვავილთა მთოველი,
კვლავ ვხვდებით ერთმანეთს
მე და ბეთჰოვენი.
ოცნება მგონია,
სიზმარი მგონია...

ქართული მოტივი —
მეცხრე სიმფონია!...
(„მეცხრე სიმფონია“)

ასე პოულობდა სულიერ ნათესაობას მუსიკის მეფესთან, ბეთჰოვენთან, პოეზიის გვირგვინოსანი — გალაკტიონი.

სიმფონია, როგორც მუსიკალური ჟანრი, გალაკტიონის ლექსებში ხშირადაა ნახსენები. თავის ერთ-ერთ პოემასაც ხომ „ოქტომბრის სიმფონია“ უწოდა. საერთოდ, კლასიკურ მუსიკაში ხშირად პოულობდა გამოძახილს პოეტის ფიქრები და გუნებ-განწყობილება.

სამუსიკო ხელოვნების მკაცრი კონსერვატორების საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი დიდი სიამოვნებით ისმენდა ჯაზურ (თუ გნებავთ — საესტრადო) მუსიკას. საკმაოდ კარგადაც იცნობდა მის ჟანრებს და ქალაქის რიტმის ეპოქალურ გაგებასთან ერთად იუმორსა და გამამხნევებელ ოპტიმიზს პოულობდა ამ ჰანგებში.

რამდენჯერ ვიყავი მოწმე, პოეტი რომ სიამოვნებით ისმენდა ძველებურ რომანსებსაც, ხანდახან თვითონაც მოსინჯავდა კლავიატურას ან გიტარის სიმებს, თან იტყოდა:

— საწყალი დედაჩემი უკრავდა კარგად გიტარაზე, თან საამური ხმით დამღეროდა.

სუფრული და სალაღობო ხალხური სიმღერები პოეტის ფიქრებს განუყრელად თან სდევდა: „დელი-დელა“, „მრავალ-ჟამიერი“, „გეშვია“, „ორთავ თვალის სინათლევ“... მის ლექსებშიც ხომ ხშირადაა ჩართული ამ სიმღერების სახელები.

მაგრამ მკითხველმა ისე არ გაიგოს, თითქოს გალაკტი-

ონს ყოველგვარი მუსიკა და ან საკრავი მოსწონდა. პოეტს მეტად თავისებური შეხედულებანი ჰქონდა ამ მხრივ. დოლ-გარმონისა და ზურნა-დუდუკის ხმები პოეტის ბაგეზე გამქირდავ ღიმილსა და სატირულ თქმებს იწვევდა, სამიკიტნო მუსიკას ეძახდა. განსაკუთრებით ვერ იტანდა ბაიათის მოსმენას, უთუოდ სიცილი აუვარდებოდა და თუ რადიო იყო ამაში „დამნაშავე“ — გამოთიშავდა.

* * *

მუსიკა გალაკტიონის ლექსთა განუყოფელი ნიშანია, მისი პოეზია ჰანგებით სუნთქავს:

•

ვმღეროდი დამთვრალ ყვავილთა მტვერში,
ვმღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე —
მსურდა ყოველში და ყველაფერში
მუსიკა, გრძნობა და სილამაზე.
მუსიკა, იგი! ჰოი, მგოსნებო...
(„მიყვარდა ჰანგი“).

აგერ პაგანინის აჩრდილი აბორგებულა ლექსში „ისევ ეფემერა“:

და პაგანინიც... ორგიის ბადეს...
მაესტრო თასით გადაჰკრავს ღვინოს;
ესტრადა ნათელ იმედად ბადებს
აშლილ ვალტორნებს და პიანინოს.
ის დანდობილი იღებს ჭიანურს
და სასახლეებს ჰაერში მოდებს,
რომ მხარეები შეაჭიანოს
და ლეგენდები შორით ისმოდეს...

ჰარმონიულობა, ჰანგების სიახლე, მეტყველი აკორდები, ნოვატორული რიტმები და რითმები, რითაც ესოდენ მდ-ერია გალაკტიონის შემოქმედება, ეფუძნება ერთ დიდ ფაქტურას — მუსიკას.

მუსიკალური ჰანგების განსახიერებაა გალაკტიონის ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „ატმის ყვავილები“, „მუსიკა უეცარი“ და მრავალი სხვ. მუსიკის მელოდიით გამოწვეული პეიზაჟის ნათელხილვას განგვაცდევინებს — „მუსიკა უეცარი“, სადაც ახალი ხმის ჯადოსნური ძალა ვარსკვლავების, ყვავილების, ღრუბლიდან გამონაკრთობი მთვარის შუქისა და იდუმალების ასოციაციებს იწვევს, შემდეგ კი:

ლაქვარდოვან ტბის სარკეზე გასრიალდა ვერცხლის ნავი,
ოდნავ დასწვდა წყალს ნიჩაბი, ვით ნიავი, ვით ნიავი...
მთიდან ნისლი ჩამოცურდა, ნისლი ბნელი, ნისლი შავი,
და გაშალა ტბის სივრცეზე თმა—გიშერი, თმა—ნაწნავი.

.

მწველი იყო ის სიმღერა, ვით შუადღის ბრწყინვალება,
სადაც გრძნობა გზას პოულობს, სადაც ცეცხლი იმალება.

სხვათა შორის, ეს ლექსი რუსულად ვთარგმნე, გალაკტიონმა მომიწონა, ·ხელნაწერი დაიტოვა და მითხრა:

— ასეთი სახის ლექსი ძნელი სათარგმნია. მშვენივრად გაგიკეთებია, ჩანს, დინჯად მუშაობდი. იცი, მხოლოდ ის ნაწარმოები უნდა თარგმნოს კაცმა, რომელიც შეუყვარდება. მაშინ შედეგიც ასეთი კარგი იქნება.

გალაკტიონის ლექსებში გამეფებული მუსიკალობა ჯერ კიდევ ელოდება მძლავრი კომპოზიტორის მზრუნველ ხელს.

მართალია, პოეტის ზოგი ლექსი უკვე გადაღებულია ნოტებზე: „მერი“ (რომანსი), „უცნაური სასახლე“, „წყალტუბოდან ქუთაისში“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“... მაგრამ ეს მხოლოდ ცდებია.

პოეტის ბიოგრაფიიდან

ქმნიდა თუ არა გალაკტიონ ტაბიძე პროზას, პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, თარგმანებს? ამ კითხვას ხშირად სვამენ ლიტერატურულ საუბრებში ჩვენი თაობის მკითხველები. დიახ, ქმნიდა! გალაკტიონის მრავალფეროვანი მოღვაწეობის უკეთ წარმოსადგენად გავიხსენოთ მისი ბიოგრაფიის ზოგი მომენტი:

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წ. (და არა 1892 წ., იხ. ფ. ნიშნიანიძე — „როდის დაიბადა გ. ტაბიძე?“ — გაზ. „თბილისი“, 19 ივლ. 1961 წ.) სოფელ ჭყვიშში, ქუთაისის მახლობლად. ექვსი წლისამ დედისაგან ისწავლა წერა-კითხვა. ათი წლის ასაკში მომავალმა დიდმა პოეტმა ბაგრატის ისტორიული ტაძრის ნაშთებს მიუძღვნა ლექსი „ნანგრევთა საიდუმლო“.

1900—1908 წლებში პოეტი სწავლობდა რევოლუციით აბობოქრებულ ქუთაისში, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშათა დემონსტრაციებში, მიტინგებში. ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში მოწყობილ მეამბოხეთა ერთ-ერთ შეკრებაზე გალაკტიონმა წაიკითხა თავისი ლექსი „პირველი მაისი“.

1908 წელს პოეტმა დატოვა ქუთაისი. საყვარელ ქალაქთან

განშორება გამოხატა ლექსით „ციხის ნანგრევები“ და თბილისში ჩამოსულმა ეს ნაწარმოები გამოაქვეყნა ჟურნალში „ფასკუნჯი“ (1909 წელს). ამ პერიოდის მის ლექსებში მკვეთრად აისახა 1905 წლის რევოლუცია და მისი დამარცხებით გამოწვეული სევდა.

ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში, თბილისის სასულიერო სემინარიაში (1908 წლიდან) პოეტი ლექსებთან ერთად („გადანახული დროშები“ და სხვ.) წერდა მეფის დროინდელი სკოლის მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ სატირულ ფელეტონებს და ბრძოლის მოწოდებით აღსავსე სტატიებს სემინარიის ხელნაწერ ჟურნალში „შუქი“. აქვე გვხვდება პოეტის მიერ შესრულებული ნახატებიც (კარიკატურა და სხვ.). მოწაფეთა ეს ორგანო ჩამოყალიბებული იყო გალაკტიონის ინიციატივით. ჟურნალი დღესაც წარმოადგენს საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტს, საიდანაც ჩანს ცარიზმის დროინდელი სკოლის ცხოვრების ტიპიური სურათები, ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული სულით გაჟღენთილი დირექციისა და ზოგ რეაქციონერ მასწავლებელთა უსულგულო, უხეში დამოკიდებულება მოზარდ თაობასთან, რელიგიის მოციქულთა თავგასულობა და ჯაშუშური საქციელი და სხვ. მაგრამ, რაც მთავარია, „შუქის“ ფურცლებიდან რისხვის ხმად გაისმის რევოლუციურად განწყობილი ჭაბუკების ბრძოლის წყურვილი, მათი შეუპოვარი შემართება მაშინდელი მთავრობის კაბალის წინააღმდეგ.

ჟურნალ „შუქში“ გალაკტიონის გარშემო დარაზმული პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების სახით იწრთო-

ბოდნენ მომავალი გადამწყვეტი ბრძოლების მოწინავე ძალები, რევოლუციის ბარიკადების მეომრები.

გალაკტიონის ლექსები 1909 წლიდან იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ჩვენი კვალი“, „ფასკუნჯი“, „განათლება“, „პირველი ნაბიჯი“, „ლომისი“, „ამირანი“, „აზრი“, „ახალი კვალი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველოს მოამბე“, „თბილისი“, „დროება“, „გრდემლი“, „საქართველო“, „თემი“.

ქუთაისის იუმორისტულ ჟურნალში „ჯოჯოხეთის მაშხალა“ 1912 წ. დაიბეჭდა გალაკტიონის იუმორისტული ფელეტონები „ნამწვავები“, „ძველი ქუდი“ და სხვა ნაწერები (ავტორის ფსევდონიმით — „გალაშკა“). ხოლო 1914 წელს ქალაქ ქუთაისში გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული, რომელშიც შეტანილია: „მე და ღამე“, „მესაფლავე“, „განახლდა გული“, „გურიის მთებს“ და სხვ.[1].

1915—1916 წლებში პოეტი მოსკოვში ცხოვრობდა. შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდა.

თებერვლის რევოლუციის დროს, 1917-ში, გალაკტიონი პეტერბურგშია. მაშინ შეიქმნა მისი ლექსი „დროშები ჩქარა“. პოეტის შემოქმედებაში ნათელი განსახიერება პოვა თებერვლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციებმა.

ორი წლის შემდეგ გამოდის გალაკტიონის მეორე ლექსთა კრებული „არტისტული ყვავილები“ (1919 წ.). ამ წიგნმა სახელი და დიდება მოუპოვა ახალგაზრდა პოეტს.

გალაქტიონი იყო რედაქტორი ჟურნალისა „ლომისი“,

---

[1]. დაწვრილებით, იხ. გ. მეფისაშვილი — „გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი“ (ჟურ. „რიონი“, ქუთაისი, 1959 წ. № 2).

(1921 წ.), რომლის ფურცლებიდან მოწინავე წერილებით მოუწოდებდა ქართველ მწერლებს, ჩამდგარიყვნენ ახალი დროის სამსახურში. 1922 წლის გაზეთ-ბიულეტენში „პოეზიის დღე“, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, გვხვდება გ. ტაბიძის მოწინავე წერილი (სათაურით: „პოეზიის დღე“), ხოლო ქართული წიგნის პალატაში ინახება წიგნი „ზაქარია ჭიჭინაძე“, რომელიც 48 გვერდს შეიცავს. საკატალოგო ბარათზე პოეტს მოგვიანებით, 1950-იან წლებში, თავისი ხელით წაუწერია: ტაბიძე გალაკტიონ (მონოგრაფია)[1].

მეტად ორიგინალური იყო პოეტის მიერ გამოცემული ჟურნალი „გალაკტიონ ტაბიძე“ (1923 წ.). ამ „აკაკის თვიური ჟურნალის“ ტიპის ალმანახში მოღვაწეობდნენ: დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი, გ. ქუჩიშვილი და სხვა გამოჩენილი მწერლები და პოეტები. ამავე დროს გალაკტიონი აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალ „მნათობში“, რომლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი თვითონ იყო.

პოეტის პირველი თხზულებათა სრული კრებული ერთ ტომად გამოიცა 1927 წელს. ამავე წელს გალაკტიონ ტაბიძემ მოსკოვში კომინტერნის მეექვსე კონგრესის დღეებში სხვა დელეგატებთან ერთად იმოგზაურა საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში. შემდეგ დაწერა პოემა „ეპოქა“, რო-

---

[1] ამ წარწერამ დააზუსტა ფსევდონიმი, რომელიც წიგნზე მანამდე იყო აღნიშნული: №№ (ნომენ ნესციო — ე. ი. სახელი უცნობია). გალაკტიონის ავტორობას ადასტურებს აგრეთვე გაიოზ იმედაშვილის და მწერალ ლეო ქიაჩელის ცნობები. პოეტი წერდა (1908—1922 წლებში) ფსევდონიმებითაც: „გალ. ტ-ბ-ძე“, „ტაბი“, „გა“, „გალაშკა“, „ახალი მწიგნობარი“ და სხვ.

მელიც მიეძღვნა ამერიკის, ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებს (გამოაქვეყნა 1929 წ.). გალაკტიონის შემოქმედების ძირითად თემად გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი პერიოდის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები.

1933 წელს ხალხმა ტრიუმფით აღნიშნა პოეტის მოღვაწეობის 25 წლისთავი და საბჭოთა საქართველოს მთავრობამ გალაკტიონ ტაბიძეს საქართველოს სსრ სახალხო პოეტის წოდება მიანიჭა.

გალაკტიონი წარგზავნილ იქნა დელეგატად ანტიფაშისტურ მწერალთა I მსოფლიო კონგრესზე (1935 წ.) ქ. პარიზში. იქ პოეტი კონგრესის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

1936 წ. პოეტს მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს და ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

დიდი სამამულო ომის წლებში გალაკტიონი მუშაობდა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში, აქტიურად მონაწილეობდა პერიოდულ ფურცლებზე „ხიშტით და კალმით“ და წერდა მებრძოლ ლექსებს ომის თემაზე.

1944 წელს გ. ტაბიძე არჩეულ იქნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1953—57 წლებში გალაკტიონი განაგებდა საქართველოს მწერლების კავშირის პოეზიის სექციას.

1953 წ. აღინიშნა გ. ტაბიძის დაბადების 60 წლისთავი, ხოლო 1958 წ. — სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

რაც შეეხება თარგმანს, პოეტის შემოქმედებაში ნაკლებად გვხვდება. ნიმუშისათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ ნაწყვეტი ვ. მაიაკოვსკის ლექსიდან, რაც ციტატის სახითაა ჩარ-

თული გ. ტაბიძის ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ“. აი, ის სტრიქონებიც:

„გრამი შოვნისა ნაყოფია
წელთ მუშაობის,
მოღებულ იქნას და ერთ სიტყვად
უნდა გადადნეს
ათასეული ტონა მთელი
სიტყვიერ მადნის“.

ამრიგად, გალაკტიონის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გვხვდება ბელეტრისტიკის, ჟურნალისტიკისა და თარგმანის ნიმუშებიც.

რაც შეეხება თვით გალაკტიონის ლექსთა თარგმანებს, მათზე დაყრდნობით „გალაკტიონის პოეზია, სამწუხაროდ, კავკასიონს ვერ გადაცდა. მაგრამ მისი ლექსები ისე ღრმად არიან შესული ქართული ენის უსიერ ტევრში, მეორე გალაკტიონია საჭირო, რომ ისინი აქედან გამოიყვანონ“ (კ. გამსახურდია).

პოეტის სიცოცხლის ბოლო დღეები

ჩვეულებისამებრ შევიარე გალაკტიონთან შინ. საავადმყოფოში მეგულებოდა, მაგრამ კარი გამიღო, გადამეხვია და კაბინეტში შემიყვანა.

სცენა. პალტო ეცვა. თავზე ბეწვის ქუდი ეხურა. სახე დაწმენდილი ჰქონდა, ღაწვებთან წვერი ოდნავ შეეკრიჭა. მომღიმარი, მაგრამ დაღლილი, მიმქრალი თვალებით მიცქეროდა. ხელის თითები უთრთოდა, საერთო სისუსტეს გრძნობდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. შევეკითხე, როგორ ბრძანდებით-მეთქი.

— ვერა ვარ კარგად, ჩემო გოგი! საშინელი იყო ჩემთვის საავადმყოფოს რეჟიმი. ავადმყოფების ცქერამ გული შემიღონა... ძალიან მომეწყინა. ადამიანი არავინ მყავდა გვერდში, რომ დავლაპარაკებოდი... როგორ არიან თქვენები, მამაშენი, დედა, ცოლ-შვილი?

— გმადლობთ, არა უშავთ. თქვენი ნახვა მოენატრათ ჩვენებს. მინდოდა საავადმყოფოში შესვლა, მაგრამ ქალაქში ვირუსული გრიპის გამო კარანტინი იყო...

— ვიცი, არ შემოგიშვებდნენ...

— იქნებ სოხუმს გაემგზავროთ?

— ვნახოთ, თუ კარგად ვიქენი, წავალ.

პაპიროსი მივაწოდე. მოვწიეთ.

— მე მინდა ზოგი რამ წაგიკითხო — მითხრა და მაგიდიდან რამდენიმე ხელნაწერი აიღო.

წამიკითხა თავისი მოგონებანი ძველ მოღვაწეებზე, რომელთაგან ზოგს პირადად იცნობდა, ზოგს სხვისი ნაამბობიდან იხსენიებდა...

ტელეფონის ყურმილი აიღო. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში დარეკა. ვერავის დაუკავშირდა, საქმისმწარმოებლის გარდა. მხიარულად გაესაუბრა და... ისევ მოიწყინა.

გამომშვიდობებისას განახევრებული კოლოფით პაპიროსი დავუტოვე.

— აბა, კარგად იყავი, არ დამივიწყო... შემოიარე, გავაკეთოთ რამე, საქმე ბევრია. ისევ შევუდგეთ მუშაობას. გამარჯვებით, არ დამივიწყო! — გულთბილად მითხრა გალაკტიონმა და ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, საბედისწერო მუ-

დარასავით ჩამესმის ყურში ეს სიტყვები, ცოცხალი გალაკტიონისაგან ჩემდამი უკანასკნელად ნათქვამი სიტყვები, რაც ისე ჩვეულებრივად მოვისმინე იმ დღეს, როგორც არაერთგზის მომისმენია.

დერეფანში გამომაცილა. კარი თვითონ გამიღო.

მომჯობინდება და ისევ შევუდგებით მისი ლექსების გამოცემას — ასეთი აზრი მამშვიდებდა და რკინიგზის ინსტიტუტში ლექციის წასაკითხად მივიჩქაროდი.

რას ვიფიქრებდი, ეს იყო გალაკტიონთან ჩემი უკანასკნელი საუბარი.

* * *

ვეღარ მომჯობინდა გალაკტიონი. რამდენიმე დღის შემდეგ გადაწყვიტა ისევ სამკურნალო კომბინატში წოლა. ფიქრობდა, რომ აღიდგენდა ძალ-ღონეს და თვითმფრინავით მოსკოვს გაემგზავრებოდა მწერალთა ყრილობაზე. ექიმები მიშველიან, გულის ტკივილს მოვირჩენ, მოვკეთდები და მგზავრობაში მხნედ ვიქნებიო, გადაუწყვეტია პოეტს...

13 ს,30 წუთზე შევიდა საავადმყოფოს პალატაში, და იმავე დღის 5 თუ 6 საათზე იფერფლებოდა პოეტის გული, წუხდა, ბორგავდა, ჰაერი არ ყოფნიდა. ფანჯარას და აივანს აშურებდა ავადმყოფი, თავბრუ ეხვეოდა... სრულიად ფხიზელი გონება თანდათან ინისლებოდა... მეოთხე სართულიდან გადმოვარდა გულშეღონებული.

თითქოს საბედისწეროდ მოევლინა დიდ გალაკტიონს რიცხვი ჩვიდმეტი. დაიბადა 1891 წლის 17 ნოემბერს, ტრაგიკულად გარდაიცვალა 1959 წლის 17 მარტს.

* * *

ძაძებით შეიმოსა მწერალთა სასახლე. საქართველოს ყოველი კუთხიდან ზღვა ხალხი ნაკადად მიედინებოდა. ემშვიდობებოდნენ გალაკტიონ ტაბიძის ნეშტს. მშობლებს მოჰყავდათ ბავშვები, რომ უკანასკნელად ეჩვენებინათ ჩვენი საუკუნის მართლაც დიდი კაცის სახე.

წარწერებიანი გვირგვინებითა და თაიგულებით აივსო დარბაზები. საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ მწერლები, მეცნიერები, პასუხისმგებელი მუშაკები, შორეული სტუმრები.

განსაკუთრებით განიცდიდა წუხილს ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც პირადად იცნობდა პოეტს. ისინი წესრიგს იცავდნენ პანაშვიდებზე, ღამეს უთევდნენ მიცვალებულს და სახიდან თაბაშირის ნიღაბიც კი გადააღებინეს ამ საქმის ოსტატს.

თბილისში ყვავილები აღარ იშოვებოდა. სახალხო გლოვა მოედო ქალაქებსა და სოფლებს, იმართებოდა სამგლოვიარო მიტინგები.

21 მარტს 4 საათზე გალაკტიონის ნეშტი გამოასვენეს. სახლების ფანჯრებიდან, აივნებიდან, სახურავებიდან გადმოდგარნი ემშვიდობებოდნენ, ტიროდნენ...

ქუჩებში ტევა აღარ იყო. ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა. მთაწმიდის კალთები, ფუნიკულიორის ბანი და აივანი ხალხით დაიხუნძლა. წესრიგის დამცველნი ვეღარ აკავებდნენ ადამიანთა ტალღებს. გლოვის ზარად გუგუნებდა მიწა მოქალაქეთა ფეხქვეშ.

დროგამოშვებით მთიდან ისმოდა უზარმაზარი რადიორეპროდუქტორების ხმა. დიქტორი სთხოვდა ხალხს, არ შეეშალა ხელი პროცესიის სწორად მსვლელობისათვის, არ გაეთელათ ერთმანეთი და პანთეონი. მიეცათ მუშაობის საშუალება კინოოპერატორებისათვის.

პანთეონში გამართულ მიტინგზე გულში ჩამწვდომი სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი პოეტები, მეცნიერები, მოძმე რესპუბლიკების საზოგადო მოღვაწენი...

ჟურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია, ფოსტა-ტელეგრაფი გალაკტიონის სახელს ატარებდა ქვეყანაზე, ეთერში და პოეტი თავისი ლექსის ჩაუმქრალი თვალებით მარად ცოცხალი ბუმბერაზივით აღზევებული გასცქეროდა სამყაროს.

* * *

კლასიკოსი პოეტის შემოქმედების შესაფასებლად, მისი სახელის უკვდავსაყოფად ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა და მოღვაწეებმა არაერთი პირდაპირი მოსაზრება გამოთქვეს.

მოხდენილად სთქვა ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა: „გალაკტიონის წიგნებისათვის ყველაზე უკეთესი წინასიტყვაობა იქნება შიგ შეტანილი ლექსების სარჩევი“...

დღეს გალაკტიონის სახელი და სურათი ამშვენებს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, კლუბებს, თეატრებს, სკოლებს, ქუჩებს, ლიტერატურულ წრეებს. მისი პოეზიის შესახებ იწერება სამეცნიერო დისერტაციები, პოეტის ცხოვრება აისახა მონოგრაფიებში, მოგონებებში, მემუარებში, ნარკვევებში, ლექსებში.

არაერთმა მხატვარმა და მოქანდაკემ გააცოცხლა ფერსა და ქვაში ქართული პოეზიის მედროშის სახე.

ქუთაისში 1961 წლიდან მუშაობს საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საწარმო — გ. ტაბიძის სახელობის სტამბა.

თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის კარგად მოწყობილ წიგნების მაღაზიას ახალგაზრდები ემსახურებიან.

დღესასწაულებში რუსთაველის ძეგლთან კი ცისფერი შუქწერით კაშკაშებს გალაკტიონის სიტყვები:

„რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერარ გაგონილს,
ვაშა ამ დიად საქართველოს, ვაშა შენებას!“

ამ მეტყველი ლამპიონიდან გადმოღვრილ სხივთა აჩრდილი თითქოს გზას უნათებს გალაკტიონის გიგანტურ გემს, რომელიც მსოფლიო ოკეანეებს სერავს და იერიქონის მძლეთამძლე საყვირით გასძახის სამყაროს მარადისობას.

* * *

როდესაც წლების განმავლობაში დიდი პოეტის შესახებ ნაგროვები ჩანაწერები ბლოკნოტებიდან, დღიურებიდან, თაბახისა თუ საშრობი ქაღალდებიდან... პაპიროსის კოლოფების თავსახურიდანაც კი გადავათვალიერე და სულხან-საბა ორბელიანის სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩალხი ვკარ“, სხვაზე მეტად ერთმა უხერხულობამ დამაღონა, თითქმის ყველა ზმნა აწმყოდან ნამყო დროში გადავიდა, რადგან გალაკტიონ ტაბიძე ცოცხალი აღარ იყო.

ახლა კი მესმის, რატომ წარმოსთქვამდა ხანდახან გალაკტი-

ონი მისთვის ძვირფასი შენობების სადღეგრძელოს. სალოცავ ტაძრებად მესახება დღეს ის სახლები, სადაც მასთან ვმუშაობდი, ვსაუბრობდი. განსაკუთრებით მიყვარს მარჯანიშვილის ქუჩაზე მისი ყოფილი ბინა და კ. კობერიძის ბინა საიუველირო მაღაზიის პირდაპირ.

და როგორც გალაკტიონის შესახებ ვწერ ან სადმე ლექციას ვკითხულობ, იმ დღეს ვალმოხდილად, დამშვიდებულად ვგრძნობ თავს, როგორც ბერი გულმხურვალე ლოცვის შემდეგ...

ამ წიგნს რომ ვწერდი, ზოგი მასალა (თარიღები და სხვ.) დამაზუსტებინეს გ. ტაბიძის მეუღლე ნინომ, ქართული წიგნის პალატის მუშაკებმა: თინათინ ნაკაშიძემ, ლევან მალაზონიამ, ნანული ახობაძემ, პროფესორებმა: ვარლამ დონდუამ, დიმიტრი ჯანელიძემ... მოწიწებით მადლობას მოვახსენებ მათ. გალაკტიონზე სათქმელი დიდხანს არ გამომელევა.

გულთამხილველი მკითხველი გამიგებს, თუ რაოდენ ძნელია წერა ისეთი ბუმბერაზი პოეტის, მასწავლებლისა და მეგობრის შესახებ, როგორიც იყო გალაკტიონი... რადგან ლიტერატურული მოვალეობის გრძნობასთან ერთად არის მუსიკალური ნიუანსივით უფაქიზესი, სამყაროსავით უსაზღვრო და მარადიული პოეტური ხილვა, რომელსაც ვერასოდეს გამოხატავს მარტოოდენ სიტყვა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვრები: ო. ქოჩაკიძე ი. ჩიკვაიძე, ა. სლოვინსკი
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი ლ. პაპკორია
კორექტორი ლ. არჩვაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XII-65 წ.
ქაღ. ზომა 70×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 6,85.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,52.
უე 02735. ტირაჟი 3000. შეკვ. № 1008.

ფასი 44 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок